პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 12—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- — ავსტრია ახალ ელჩს ნიშნავს მოსკოვში.
- — ინგლისის კომპარტიის მოწოდება.
- — ამხ. სერებროვსკი ნიუ-იორკში ჩავიდა.
- — საფრანგეთის მთავრობამ დაარსა ეკონომიური-საბჭო.
- — კამათი ინგლისის თემთა პალატაში საბჭ. კავშირთან ვაჭრობის შესახებ.
- — გარდაიცვალა ამხ. ა. ა. იოფფე.
- — მოსკოვში დაიხურა ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონფერენცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი, 19 ნოემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 262 (2007)

საქართველოს კომპარტიის (ბ) მეხუთე ყრილობა

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ

18 ნოემბრის დილის სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. შ. ელიავა. დღის წესრიგში დგას სოფლად მუშაობის საკითხი. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ამხ. ფილიპე მახარაძეს (მქუხარე ტაში. დელეგატები ფეხზე სდგებიან და ესალმებიან ამხ. მახარაძეს).

პარტია ლენინურ პოლიტიკას ატარებდა

ამხანაგებო, ჩემს მოხსენებას სოფლად მუშაობის შესახებ დავიწყებ იმაზე მითითებით, რომ თეზისები ჩემი მოხსენებისა უკვე გამოქვეყნებული იყო პრესაში და ამხანაგები, ვფიქრობ, მათ უკვე გაცნობილნი არიან. მეორეს მხრით, ამხანაგები, ალბად გაეცნენ ამხ. მოლოტოვის თეზისებსაც, რომელნიც დადასტურებულ იქნენ საკავშირო კომპარტიის ცეკას მიერ და რომელთა შესავალი ნაწილიც საფუძვლად დაედვა ჩვენი მოხსენების თეზისებსაც. გარდა ამისა, თქვენ გაეცანით აგრეთვე ოპოზიციის თეზისებსაც და იმ პასუხს, რომელიც გასცა მათ ცეკას უმრავლესობამ.

ეს გარემოება, რასაკვირველია, ერთგვარად აადვილებს ჩემს ამოცანას.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩემი მოხსენების თეზისებს დასჭირდება ერთგვარი გადამუშავება, ზოგი რამის დამატება, ან შეცვლა, რათა იგი უფრო სრული იქნეს.

ხაზი უნდა გაუსვა აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მოხსენებით სოფლად მუშაობის შესახებ მე ზედი-ზედ სამჯერ მიხდება გამოსვლა ჩვენ პარტიულ ყრილობებზე. ამ საკითხის შესახებ მე მოხსენება გავაკეთე პარტიის მე-3 და მე-4 ყრილობაზე და ეხლა იმავე საკითხის შესახებ გამოვდივარ მე-5 ყრილობაზეც. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე დიდი სპეციალისტი ვარ ამ საკითხში, მაგრამ ეს აგრეთვე მაჩვენებელია ერთგვარი თანამიმდევრობისა, რაც მე მაძლევს შესაძლებლობას თვალი გადავავლო ჩვენს პოლიტიკას ამ საკითხში წარსული წლების განმავლობაში. სოფლად მუშაობის საკითხში ჩვენ რამდენიმე ეტაპი განვლეთ.

რა იყო წარსულში

რა იყო წინათ? თქვენ კარგად იცნობთ იმ დროს, როდესაც ჩვენმა პარტიამ გადმოისროლა ლოზუნგი: „პირი სოფლისაკენ". რათქმა უნდა, საამისოდ ფრიად საფუძვლიანი მოსაზრებები არსებობდა. ახლა ეს ლოზუნგი აღარ საჭიროებს გამართლებას. ის უკვე ლოზუნგი აღარაა ,რადგანაც პარტიამ საფუძვლიანად მოჰკიდა ხელი სოფლად მუშაობას.

საინტერესოა უკან მივიხედოთ და გავიხსენოთ სოფლის ცხოვრების უმთავრესი მომენტები.

ავიღოთ 1923 წელი. ეს, ამხანაგებო, მძიმე წელიწადი იყო; მაშინ განსაკუთრებული სიმწვავით წამოიჭრა „მაკრატლის" საკითხი, ე. ი. საკითხი სამრეწველო და სასოფლო მეურნეობის საქონელზე ფასების განსხვავებისა, რომელიც პროგრესიულად იზრდებოდა. იმ დროს, როდესაც სამრეწველო საქონლის ფასები მაღლა იწევდა, სასოფლო - მეურნეობის საქონლის ფასები პროგრესიულად ეცემოდა. მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. პარტიამ ამას სერიოზული ყურადღება მიაქცია. ჩვენ ყველას გვახსოვს, რომ იმ ხანებში გლეხს რამდენიმე ფუთ ხორბლის ან სიმინდის გაყიდვიდან აღებული ფულით არ შეეძლო უბრალო ქალამნების ყიდვაც კი, მანუფაქტურაზე რომ არა ვთქვათ რა. ვიმეორებ, პარტიამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და ზემოხსენებული მძიმე მდგომარეობიდან ჩვენ უკვე დიდი ხანია გამოვედით. - რასაკვირველია, შეუძლებელია ითქვას, რომ ამ დარგში შემდგომი გაუმჯობესება საჭირო აღარ იყოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში აღსანიშნავი ისაა, რომ გამწვავებული მდგომარეობა უკვე თავიდან მოვიცილეთ.

გავიხსენოთ 1924 წელი. ჩვენთვის, საქართველოში მომუშავეთათვის, ეს წელიწადი ფრიად მძიმე იყო. შეიძლება იმაზე უფრო მძიმეც, ვიდრე 1923 წელი, თუ მხედველობაში მივიღებთ მენშევიკურ ავანტიურას. ჩვენ დიდი დეფექტები გვქონდა ჩვენს მუშაობაში, ამაში აუცილებლად უნდა გამოვტყდეთ. იმ ხანებში ჩვენ ჯერ კიდევ განთავისუფლებული არ ვიყავით სამხედრო კომუნიზმის ნაშთებისაგან. მწვავედ იდგა სარწმუნოების საკითხი. ძალიან გართულებული იყო აბრეშუმის პარკის საკითხი. გლეხები (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) ღრმა უკმაყოფილებას აცხადებდენ კოოპერატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ და საამისო მიზეზიც ჰქონდათ. მაგრამ, ამხანაგებო, ყველა ამ განსაცდელიდან პარტია გამარჯვებული გამოვიდა. რასაკვირველია, შეუძლებელია ვთქვათ, თითქოს ახლა ჩვენ უკვე აღარავითარი დაბრკოლება არ გვიდგას წინ, მაგრამ, ვიმეორებ, ზემოხსენებული მძიმე მდგომარეობიდან პარტია გამარჯვებული გამოვიდა.

1925 წელი აღინიშნა უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად იმით, რომ წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა სოფლის ეკონომიური მდგომარეობა. წელს კი ეკონომიური კეთილდღეობის ამაღლებასთან დაკავშირებით წარმოიშვა ახალი ამოცანები.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ამ დროისათვის ჩვენი საბჭოები ისეთ ორგანოს წარმოადგენდენ, რომლებიც საგრძნობლად იყვნენ დაშორებული მასებს. საბჭოების მუშაობა სუსტი იყო, მთელი ცხოვრება თითქმის მიმდინარეობდა არა საბჭოების კალაპოტით, არამედ მათ გარეშე. პარტიის მხრით საჭირო იყო დიდი მეცადინეობა იმისათვის, რომ ეს მდგომარეობა შეგვეცვალა. ლოზუნგი, რომელიც დაახლოვებით ამ პერიოდში წამოაყენა პარტიამ—იყო ლოზუნგი საბჭოების გამოცოცხლებისა. რას ნიშნავდა ეს? ეს ნიშნავდა იმას, რომ უნდა გამოგვეღვიძებინა გლეხობაში დაწყებული თვითმოქმედება და აქტივობა სწორედ ამ საბჭოების მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

გლეხობის დაყოფა ფენებად

ამ პერიოდის მეორე ამოცანა, რომელიც არსებითად დაისვა პარტიის წინაშე, იყო ჩვენი დამოკიდებულება გლეხობაში უკვე გამოაშკარავებული სხვადასხვა ფენებად დანაწილების მიმართ. ორი—სამი წლის წინად ბევრი ამხანაგი სერიოზულად ამტკიცებდა, რომ ყოველ შემთხვევაში ჩვენში, საქართველოში, არავითარი დანაწილება გლეხობისა არ სწარმოებს,რომ ჩვენში „კულაკი" თითქმის არ არსებობს. რასაკვირველია, ეს შეცდომა იყო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის განმტკიცება, საქონლის, უმთავრესად სასოფლო პროდუქტების, თავისუფალი ბრუნვა და გაცვლა-გამოცვლა, ცხადია, ასეთ დანაწილებას იწვევდა, ვინაიდან ჩვენ არ შეგვეძლო ერთი დაკვრით მოგვესპო ის უთანასწორობა, რომელიც, რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიქმნია, მაგრამ რომელიც ისტორიულად მემკვიდრეობით გადმოგვეცა. და აი, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში,ეს უთანასწორობა თავისთავად იწვევდა გლეხობის დანაწილებას, ხოლო ეს კი პარტიამ თავის დროზე შეამჩნია. ჯერ კიდევ პარტიის მე-13 ყრილობის დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ

„სოფლად პარტიის მუშაობის საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა გამოვდიოდეთ მთელი ისტორიული პერიოდის ძირითადი ამოცანიდან—მუშათა კლასის გლეხობასთან დაკავშირების განხორციელების, სახელმწიფო მრეწველობის სასოფლო-მეურნეობასთან სამეურნეო დაკავშირების ამოცანიდან".

შემდეგ:

„ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ არსებითად გაამართლა თავისი დანიშნულება. სოფლად სასოფლო მეურნეობის ნაყოფიერება და გლეხობის ფართო წრეების კეთილდღეობა, თუმცა ნელა, მაგრამ შეუწყვეტლივ იზრდება. ამასთან ერთად მრავლდება ღარიბ-ლატაკთა რიცხვიც. სოფლად ამჟამად წარმოებული გლეხობის დანაწილების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ დღევანდლამდე ძირითად ელემენტს წარმოადგენს იმდენად არა მიწა, რამდენადაც ვაჭრობა, მუშა, საქონელი, ინვენტარი, რაც გადაიქცა დაგროვების საშუალებად და ნაკლებად შეძლებული ელემენტების ექსპლოატაციის იარაღად".

ეს დადგენილება მიღებულ იქნა პარტიის მე-13 ყრილობაზე, ე. ი. ჯერ კიდევ 1923 წელს.

პარტია უკვე ცხადად ამჩნევდა იმ პროცესებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა სოფლად და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად ხდება გლეხობის დიფერენციაცია, რომ, ერთის მხრით, ძლიერდება „კულაკობა", მეორეს მხრით, მატულობს ღარიბი გლეხობის ექსპლოატაცია.

იმავე სურათს ვხედავთ შემდეგ 1924 წელს. მე-14 კონფერენციამ ესეც ხაზგასმით აღნიშნა. ბოლოს კი, 1925 წლის დასასრულს მოწვეულმა მე-14 ყრილობამ აღნიშნა:

ამხანაგებო, თუ მე აქ ხაზგასმით აღვნიშნავ ჩვენი პარტიული ყრილობების დადგენილებებს, ამას მაიძულებს ის გარემოება, რომ ე. წ. ახალი ტროცკისტული ოპოზიცია დღიდან თავისი ჩასახვისა ყველგან ამბობს, თითქოს პარტია ჩქმალავდა იმ პროცესებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა სოფლად, ის თითქოს აფერადებდა სინამდვილეს. თქვენ იცით, რომ ამას წინად არალეგალურად გამოცემულ თავის პლატფორმაში ოპოზიცია ამბობს, თითქოს პარტია ხელს უწყობდა „კულაკობას" და ივიწყებდა უღარიბეს გლეხთა ინტერესებს.

სოციალისტური თუ კაპიტალისტ. გზით

ახალი ეკონომიური პოლიტიკა

როგორი—ღა უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება გლეხობისადმი? იქნება დადგა ის დრო, როდესაც გაუქმებულ უნდა იქნეს ახალი ეკონომიური პოლიტიკა? იქნება ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ უკვე შეასრულა თავისი ამოცანები?

მაგრამ, ამხანაგებო, ოპოზიციაც კი, რომელსაც ძლიერ უყვარს მემარცხენე ფრაზები, მაინც ვერ ახერხებს ამ ლოზუნგის პირდაპირ წამოყენებას, თუმცა ოპოზიციის ყოველი მოქმედება აქეთკენაა მიმართული.

მე ვამბობ: ვიდრე სოფლის მეურნეობაში და ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალი ეკონომიური პოლიტიკა არსებობს, მანამდე აუცილებელი იქნება სოფლის მოსახლეობის დანაწილება, დაჯგუფება. მაშ როგორ უნდა მივუდგეთ ამ საკითხს? წარმოებს სოფლის დაყოფა, დანაწილება: ერთის მხრით, „კულაკობა" ძლიერდება, ხოლო, მეორეს მხრით—იქმნება ლატაკი გლეხკაცობა. აი, სწორედ აქაა საჭირო აიწონდაიწონოს ყველა პირობა, გარემოება და მართებულად სწორად გადაწყდეს საკითხი. ცხადია, ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსებობა ართულებს ჩვენს დამოკიდებულებას გლეხკაცობის სხვადასხვა ფენებთან. სოფლად სწარმოებს ბრძოლა სხვადასხვა ფენებს, სხვადასხვა კლასებს შორის. როგორ ვუყურებთ ამ ბრძოლას?

თავიდანვე პარტიამ აღნიშნა ის გარემოება, რომ არსებულ პირობებში ახალი ეკონ. პოლიტიკა ჯერ კიდევ აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს ჩვენი შემდგომი ზრდისათვის. 1925 წლის დამლევს, მე-14 პარტკონფერენციის, მე-14 ყრილობისა და ჩვენი მე-4 ყრილობის დადგენილებებში ამ მხრით გარკვეული ხაზია აღებული. რა თქმა უნდა, პარტია სცნობს ახალი ეკონ. პოლიტიკის არსებობას, მაგრამ ამასთანავე, რათა სისწორით იქნეს გატარებული პარტიული გეზი სოფლად მოსახლეობის დანაწილების საქმეში, პარტია ორ საფრთხეს აღნიშნავს.

ერთის მხრით, ჩვენში არსებობს იმის საფრთხე, რომ შეიძლება სათანადოთ ვერ იქნეს შეფასებული ახალი ეკონ. პოლიტიკის უარყოფითი მხარეები თქვენ იცით, თუ რაში მდგომარეობს ეს უარყოფითი მხარეები. მეორეს მხრით, საჩიფათოა ჩვენი განვითარების ეხლანდელი პერიოდში ახალი ეკონომიური პოლიტიკის მნიშვნელობის სათანადო შეუფასებლობაც. ამიტომ საჭიროა ვხედავდეთ ახალი ეკონ. პოლიტიკის უარყოფით მხარეებს და ვებრძოლოთ მათ და ამასთანავე უნდა გვესმოდეს ამ ეკ. პოლიტიკის მთელი დადებითი მნიშვნელობა გლეხობის ძირითად მასასთან დაკავშირების საქმეში ამაში გამოიხატებოდა ამ ორი—სამი წლის წინად აღებული პარტიული გეზი, რომელიც ამჟამადაც ძალაში რჩება.

განვითარების ორი გზა

ამხანაგებო, ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობდით ოპოზიციაზე. მე ვფიქრობ, რომ ეს იყო აუცილებელი. ტყუილად არ ჰკარგავს პარტია ამდენ ძალღონეს ოპოზიციასთან ბრძოლაში. მგონია, ამოწურულია ყოველივე ის, რაც შესაძლებელი იყო გვეთქვა და შეიძლება ზედმეტია ეხლა ამის შესახებ ლაპარაკი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ოპოზიციამ წარმოადგინა ეხლა ჩვენს წინაშე თავისი კონტრ - თეზისები სოფლად მუშაობის შესახებ და უნებლიეთ გვიხდება იარაღის მიმართვა იმათ წინააღმდეგ.

ამხანაგებო, ჩვენ გამოვდივართ იმ თვალსაზრისიდან, რომ მიუხედავათ ახალი ეკონომიური პოლიტიკისა, მიუხედავათ გლეხობის დანაწილებისა, ახლა სოფლად არსებობს განვითარების ორი გზა. განვითარების ერთი გზა არის სოციალისტური, მეორე — კაპიტალისტური. არც ერთ სხვა სახელმწიფოში ამას ადგილი არა აქვს. იქ არის განვითარების ერთი განსაზღვრული გზა — კაპიტალისტური. ჩვენში სოფლად ბრძოლა სწარმოებს განვითარების ორ გზას შორის — სოციალისტურისა და კაპიტალისტურ გზებს შორის. და აი, ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ახლა სოფლად კაპიტალისტური განვითარება სჭარბობს. თავის კონტრ - თეზისებში ოპოზიცია ყოველ ნაბიჯზე ამ დებულებას უსვამს ხაზს. „უკანასკნელ წლებში სოფელმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ სოფლის მოსახლეობის დანაწილების მხრით; შეიქმნა კაპიტალისტური განვითარების ელემენტებიო". კრიტიკაც არ არის დაძრული იმის შესახებ, თუ რა ხდება მეორე პოლიუსზე. არაფერია ნათქვამი კოოპერაციის როლის შესახებ, არაფერია ნათქვამი სახელმწიფოებრივი ორგანოების შესახებ, რომლებიც ამზადებენ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებს, არაფერია ნათქვამი პროლეტარიატის დიქტატურის მნიშვნელობის შესახებ, არაფერია ნათქვამი სხვა ფაქტორების შესახებ, რომლებიც აძლიერებენ სოციალისტური მშენებლობის ელემენტებს სოფლად და, ამასთანავე ერთად, აძლიერებენ ღარიბი ნაწილის პოზიციას.

ჩვენში და კაპიტალისტურ ქვეყნებში

ჩვენ ვამბობთ, რომ არ შეიძლება ჩვენს სახელმწიფოში იმსჯელო ისე, როგორც ოპოზიციონერები მსჯელობენ. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენში არსებობს ფაქტორები, რომლებიც ან ვითარებენ სასოფლო მეურნეობას სულ სხვა გზით, ვიდრე ეს ხდება კაპიტალისტურ სახელმწიფოში.

რა ხდება კაპიტალისტურ სახელმწიფოებში და რა ხდებოდა ჩვენში ცარიზმის დროს? რა პროცესები სწარმოებდა გლეხობაში? რომელი ფენები ძლიერდებოდენ?

ამხანაგებო, მე არ მინდა დავამძიმო თქვენი ყურადღება იმ დროის ციფრებით. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ მაშინ დიფერენციაციას სხვა ხასიათი ჰქონდა. იზრდებოდა ორი უკიდურესი კატეგორია, — ერთის მხრით „კულაკობა" და მეორეს მხრით უღარიბესი მოსახლეობა. რაც შეეხება საშუალო შეძლების გლეხობას, ზოგი „კულაკების" რიგებში გადადიოდა, ზოგი კი ნადგურდებოდა და ლატაკდებოდა. აი, როგორი მდგომარეობა გვქონდა ჩვენ წინათ და რა მდგომარეობა გვაქვს დღეს ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში.

მაგრამ ნუ თუ შეიძლება გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა ჩვენს სოფელში? თუ ჩვენ სოფელში მართლაც ხდება ასეთი პროცესები, თუ მართლაც ჩვენ ვითარდებით კაპიტალისტური გზით, მაშინ ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ არა გვაქვს პროლეტარიატის ძალაუფლება, არა გვაქვს გატარებული მიწის ნაციონალიზაცია, არა გვაქვს სოციალისტური სახელმწიფოს მრეწველობა, რომელიც მიუძღვის სოფელს და სხვ.

მაშ რისთვის გვინდოდა ჩვენ ოქტომბრის რევოლიუცია, რისთვის გვინდოდა პროლეტარიატის დიქტატურა, რისთვის გვინდოდა მიწის ნაციონალიზაცია, თუ ჩვენ ისევ კაპიტალიზმის გზით უნდა განვითარდეთ? ოპოზიციის მთელი უბედურებაც იმაში მდგომარეობს რომ ის სინამდვილეს ვერ ამჩნევს, ან არ სურს შეამჩნიოს.

ვინ იზრდება

მაშ რა ხდება ჩვენში? ჩვენში ხდება საშუალო გლეხობის გაძლიერება, რასაკვირველია, თავისებურ პირობებში, ჩვენი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების დახმარებით. მეორეს მხრით, ხდება უმიწაწყლო გლეხობის შემცირება, რომლის ერთი ნაწილი გადადის საშუალო გლეხობის რიგებში და მეორე კი პროლეტარიატის რიგებში.

რამდენიმედ იზრდება აგრეთვე „კულაკების" რიცხვიც, ამის უარყოფა ჩვენ არ გვსურს,არ გვსურს იმიტომ, რომ ეს უარყოფა იქნება სინამდვილის დაფარვა. მაგრამ „კულაკების" რიცხვი იზრდება ძალიან სუსტად და ამიტომ რაიმე სერიოზულ საშიშროებას ჩვენთვის ეს არ წარმოადგენს.

ჩვენს სახელმწიფოს მოეპოვება ისეთი მძლავრი ორგანოები, რომლებიც აჩერებენ სოფლის კაპიტალიზმის გზით განვითარებას, ეღობებიან „კულაკების" შემდგომ ზრდასა და გაძლიერებას. ცხადია, ამხანაგებო, ეს არავინ არ უნდა გაიგოს ისე, თითქოს ჩვენ მივმართავდეთ ადმინისტრატიულ ზომებს. არაფერი ამის მსგავსი. სწორედ ჩვენ ხაზს უსვამთ იმას, რომ ყოველივე ეს ხდება ეკონომიური ზეგავლენით.

ყველასათვის ცნობილია მარქსის და ლენინის ძირითადი დებულება იმის შესახებ, რომ ქალაქი უწევს ხელმძღვანელობას სოფელს.

ბურჟუაზიული წესწყობილების პირობებში, როგორც სახელმწიფოებრივი ძალა - უფლება, ისე ქალაქის მრეწველობაც ერთგვარ გავლენას ახდენენ სოფლის განვითარებაზე, სახელდობრ, — მასზე კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებაზე; ვითარდებოდა კულაკობა, სოფლის ბურჟუაზია, თანდათან ქრებოდა საშუალო გლეხობა, ხოლო მეორე პოლიუსზე ვითარდებოდა და ძლიერდებოდა ღარიბი გლეხობა, გაპროლეტარებული გლეხობა. ამ პროცესს ხელს უწყობდა თვით კოოპერაციაც. კაპიტალისტურ პირობებში ის ხელს უწყობდა იმას, რომ უფრო გაეძლიერებია და დაეჩქარებია ეს პროცესი.

არც ერთი ფაქტი

ოპოზიციას მექანიკურად გადმოაქვს და უფარდებს იმ პროცესებს, რომლებსაც ადგილი აქვთ სოფლად ბურჟუაზიული წყობილების დროს, იმას, რაც ხდება ამჟამად ჩვენს ქვეყანაში. ოპოზიცია აბრუნებს სოფლად მუშაობის იმ თეზისებს, რომლებიც მოიწონა ც. კ. და ხმა მაღლა აცხადებს, რომ სოფლად სწარმოებს ღარიბთა რიცხვის ზრდა და „კულაკობის" გაძლიერება. საშუალო შეძლების გლეხობის გაძლიერებას ის სავსებით უარყოფს და მასთან ერთად ამტკიცებს, რომ ც. კ. პოლიტიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოს „კულაკობის" და საერთოდ სოფლის კაპიტალიზმის გზით განვითარებას. მათის აზრით, ყოველივე ის, რაც სიმართლეს შეიცავს ამხ. მოლოტოვის თეზისებში, — მათგან ნასესხებია. მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი ლაყბობაა.

მოვიყვან რამდენიმე ადგილს ოპოზიციის თეზისებიდან:

„ცეკასათვის ლენინური საკითხი „ვინ-ვის" უკვე აღარ არსებობს. ცეკას თეზისები აფერადებენ სინამდვილეს, ასუსტებენ პროლეტარიატის სიფხიზლეს კაპიტალიზმის ელემენტების წინაშე და ამით ხელს „უწყობენ სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდას".

ამხანაგებო, მე უკვე დავასახელეთ წინანდელ ყრილობების დადგენილებანი, რომელნიც ცხადად მოწმობდენ, რომ პარტია არასოდეს არ ალამაზებდა სინამდვილეს, არასოდეს არ ასუსტებდა თავის ყურადღებას იმისადმი, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს „კულაკების" ზრდას. ოპოზიციას კი არ მოეპოვება არც ერთი ფაქტი, არც ერთი ციფრი, რომელიც მათი მოსაზრებების სიმართლეს ამტკიცებდეს.

რას გვეუბნებიან ნამდვილი ციფრები

ერთი „გაუგებრობა"

თავის თეზისებში ოპოზიციას მოჰყავს ერთი შეხედვით თითქო საყურადღებო ციფრები, დამუშავებული სახ. საგეგმო კომისიის მიერ, მაგრამ ამ თეზისებში დახატულია სურათი, რომელსაც სინამდვილესთან საერთო არა აქვს რა. გამოუცდელ მკითხველს ეს ციფრები შეიძლება საგულისხმოდ მოეჩვენოს. იმ დიდ ცხრილს, რომელიც მოთავსებულია კონტრ - თეზისებში, მე აქ არ წავიკითხავთ, ამის საჭიროება სრულიადაც არაა. ჩემის აზრით, საჭიროა ოდნავი განმარტება იმისა, თუ საიდან არის ამოღებული ციფრები და როგორ უნდა მოვეპყრათ მათ. თურმე ეს ციფრები მიღებულია შემდეგნაირად: მთელს ს. ს. რ. კ-ში გამოკვლეულია 1.200 მეურნეობის ბიუჯეტი სამუშაო საქონლის მიხედვით და ამ 1.200 მეურნეობის გამოკვლევიდან მიღებულ დასკვნებს ოპოზიცია ავრცელებს მთელი საბჭოთა კავშირის 25—26 მილიონ მეურნეობაზე. მართალია, ასეთ ხერხს ხმარობენ ხოლმე სტატისტიკური გამოკვლევების დროს, მაგრამ დიდი სიფრთხილით. ამ შემთხვევაში თვით აღნიშნული ცხრილების ავტორებს არ გაუკეთებიათ ისეთი დასკვნები, როგორსაც აკეთებს ოპოზიცია. ოპოზიცია არაფერს არ ლაპარაკობს იმ დასკვნების შესახებ, რომელიც გამოყავს ამ ცხრილების ავტორს, ამხ. გაისტს, რომელიც სულ სხვას ლაპარაკობს. მაგრამ ყველაზე უფრო დაუშვებელი ის მოვლენაა, რომ ოპოზიცია ნამდვილ სიყალბეს სჩადის. ოპოზიციონერები, 5 ჯგუფიდან მეოთხე და მეხუთე ჯგუფებს აერთიანებენ ერთად „კულაკურ" ჯგუფში. რას ამტკიცებს ეს? ეს ამტკიცებს ოპოზიციის სურვილს, რომ გაიზარდოს „კულაკური" ჯგუფი მე-4 ჯგუფის მიმატებით, რომელიც ყველა თავისი ნიშნებით და მკვლევართა აზრით ეკუთვნის საშუალო გლეხობას.

აქედან გამომდინარეობს ყველა ის დასკვნები რომლებიც გამოჰყავს ოპოზიციას. ყველა მათი დასკვნები სასოფლო - სამეურნეო მანქანებისა, სამუშაო საქონლისა და სხვ. შესახებ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. ერთად-ერთი, რითაც ისინი ამტკიცებენ თავის შეხედულებას - ეს არის ის, რომ საშუალო გლეხობა, სოფლის ეს ცენტრალური ფიგურა, თითქო თანდათანობით ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და სამაგიეროდ ძლიერდება „კულაკები", ე. ი. სწარმოებს კაპიტალისტური განვითარება ისე გამოდის, რომ თითქოს ჩვენ არ გვქონდეს საბჭოთა ხელისუფლება, პროლეტარიატის დიქტატურა და ისეთი ფაქტორები, როგორიც არის სახელმწიფო მრეწველობა, კრედიტი და სხვ. ოპოზიცია ამბობს:

„1925—26 წ. ცნობების შედარება გვიჩვენებს, რომ იზრდება შეძლებულ მეურნეობათა წონა, როგორც მესესხებელთა რიცხვის მხრით, ისე იმ თანხების რაოდენობის მხრით, რასაც ეს მეურნეობანი სესხად იღებენ. სასოფლო - სამეურნეო კრედიტი არ უნდა იყოს მარტო სოფლის შეძლებული ფენების პრივილეგია. უნდა მოისპოს დღევანდელი მდგომარეობა, როცა ღარიბთა ისედაც უმნიშვნელო ფონდები ხშირად არ იხარჯება თავისი დანიშნულების მიხედვით და ემსახურება სოფლის შეძლებულ და საშუალო გლეხობას".

ამრიგად, ამხანაგებო, ყველაფერი ყირამალა გამოდის. ცხადია, ჩვენ არ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არ ჰქონდეს ადგილი პარტიულ, ან საბჭოთა დირექტივების დარღვევას. ასეთი შემთხვევები არის და ამის შესახებ ამხანაგებმა შეიძლება უფრო მეტი იციან, ვიდრე მე. მაგრამ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეს დარღვევა ცენტრალური კომიტეტის მითითებით ხდებოდეს ცილისწამებაზე მეტია.

ოპოზიცია—ლენინის კოოპერატიული გეგმის წინააღმდეგ

ოპოზიციის თეზისების დედა - აზრი სრულიად უყურადღებოდ სტოვებს კოოპერაციის არსებობას და საერთოდ უარყოფს ლენინის კოოპერატიულ გეგმას. როდესაც ჩვენ მათ ამ გეგმის ლიკვიდატორებს ვეძახით, ისინი ამაზე აი რასა სწერენ:

„აქ აშკარად მოსჩანს მიჩქმალვა „კულაკის" როლისა, მისი მისწრაფებისა დაიმორჩილოს კოოპერაცია, გახადოს იგი თავისი გამდიდრების იარაღად. ლენინიზმის ლიკვიდატორები თეორიისა და პრაქტიკაში არიან ისინი, ვინც ორი წლის განმავლობაში, დაწყებული მე-14 ყრილობიდან, საქმით ატარებდენ „კულაკის" დაფარვის პოლიტიკას და დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდენ იმათ წინააღმდეგ, ვინც მიუთითებდა „კულაკის" ზრდაზე, მისი გავლენის გაძლიერებაზე".

რა საფუძველით ლაპარაკობენ ყოველივე ამას? ეს, რასაკვირველია, აღნიშნული არ არის, შემდეგ ისინი დაასკვნიან:

„პირველ ყოვლისა, აღიარებულ უნდა იქნეს ოპოზიციის შეხედულების სამართლიანობა სოფლად „კულაკის" როლის გაძლიერების შესახებ და ამასთანავე ეს გარემოება უნდა აცნობონ პარტიასა და მუშათა მასას".

თითქოს ეს ამბავი საიდუმლოებას წარმოადგენდეს პარტიისათვის. მესამე—და ეს ყველაზე უფრო მთავარია მათთვის: „საჭიროა გამოვიტანოთ აქედან პრაქტიკული და პოლიტიკური დასკვნებიო". ეს ნიშნავს იმას, რომ გავკიცხოთ ცეკა, რადგან მან „გადაუხვია ლენინიზმს", „უარი სთქვა კოოპერატიულ გეგმაზე" და „კოოპერაცია მისი პოლიტიკის წყალობით „კულაკების" ინტერესებს ემსახურება".

ნათესობის მიხედვით

ამხანაგებო, ვფიქრობ, რომ საჭირო არ არის ციფრების მოყვანა იმ ზღაპრის წინააღმდეგ, რომელსაც ავრცელებს ოპოზიცია გლეხობის ძირითადი მასის ე. ი. საშუალო გლეხობის მნიშვნელობის შემცირების შესახებ. მე მაინც მოვიყვან ზოგიერთ ციფრებს. ავიღოთ, მაგალითად, გლეხობის დაჯგუფება ნათესობის მიხედვით: 1922 წელში ნათესი არ ჰქონდა 6,9 პროცენტს, 1923 წ. — 5,3 პროც., 1924 წ. — 4,8 პროც., 1925 წ. —4,2 პროც. ორი დესეტინა ნათესი ჰქონდა იმავე წლებში — 46, 40, 36, 37 პროც. მაშასადამე, აქ ჩვენ ვამჩნევთ შემცირებას. 2-დან 6 დესეტინამდე ნათესი ჰქონდა იმავე წლებში: 40,3 პროც., 44,4 პროც., 46,7 პროც. და 49 3 პროც. 6-დან 10 დესეტინამდე ნათესი ჰქონდა: 5,6 პროც., 7,8 პროც., 9 პროც. და 10,2 პროც. 10 დესეტინაზე მეტი: — 1,2 პროც., 2,2 პროც., 2,9 პროც. და 3,3 პროც.

ეს ციფრები ეკუთვნის რუსეთის ს. საბ. ფ. რესპუბლიკას, სადაც პურის მოყვანა უმთავრეს როლს თამაშობს გლეხობის მეურნეობაში. 2-დან 6 დესეტინამდე ნათესის მეპატრონე გლეხობა ჩვენ თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ საშუალო გლეხობას.

ის გლეხკაცობა, რომელსაც 6 დან 10 დესეტინამდე აქვს ნათესი, აგრეთვე საშუალო გლეხობას წარმოადგენს, ხოლო 10 დესეტინაზე მეტის პატრონი, უკვე შეძლებულთა ფენას ეკუთვნის. ეს არის განაწილება ნათესის მიხედვით. რასაკვირველია, აქ შეიძლება სხვა ნიშნებიც იყოს.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

მდგომარეობა ჩვენში

სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს სწორი ცნობები, მაგრამ აი ის ცნობები, რომელთა მიღების საშუალებაც გვქონდა. ამ დღეებში ამხ. რუხაძემ გამოაქვეყნა მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შედეგები საქართველოში 1926 და 1927 წწ.. აი რა სურათს მივიღებთ მთელი საქართველოს მასშტაბით ამ შერჩევითი გამოკვლევის მიხედვით. დაუთესავი და მცირედ დათესილი მეურნეობა,—დაახლოებით 0,1 დესეტინამდე 1926 წ. იყო 5,8 პროც., 1927 წელს კი—7,3 პროც. ეს საერთოდ; ცალკე რაიონების მიხედვით კი სხვა ციფრები გვაქვს, მაგრამ მათ ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

0,1 დესეტინიდან 2 დესეტინამდე 1926 წელს ჩვენ გვქონდა — 78,4 პროც., 1927 წელს კი—79,6 პროც. ეს კატეგორია რამდენიმედ გაზრდილა. რასაკვირველია, ეს ციფრი ძალიან სწორი ვერ იქნება, რადგან ის მაინც შედეგია შერჩევითი გამოკვლევისა, რომელიც ყველა მეურნეობას კი არ ეხება, არამედ განსაზღვრულ პროცენტს, არ ვიცი რამდენს (ხმა ადგილიდან: 10 პროც.). შეიძლება 10 პროც. იყოს. ეს დასკვნები მეურნეობათა 10 პროც. შესახებ ამ შემთხვევაში ყველა მეურნეობაზე ვრცელდება.

ჩვენში, საქართველოში, სულ სხვა პირობებია, ვიდრე რუსეთში: ჩვენ გვაწუხებს უმიწობა და მიწის სიმცირე, ეს ერთი. მეორე გარემოება ის არის, რომ ჩვენში როლს თამაშობს არა მარტო ნათესები, არამედ მეურნეობის სხვა დარგებიც: მესაქონლეობა, მევენახეობა, მეთამბაქოობა და სხვ. და სხვ. ამას ყურადღება არა აქვს მიქცეული.

ამ ნათესების უმაღლესი ჯგუფები რომ ავიღოთ — 2,1 დესეტინიდან 4,1 დესეტინამდე, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: მთელს საქართველოში 1926 წელს ჩვენ გვქონდა 13 პროც., 1927 წელს —კი 11 პროც. ამგვარად, რამდენიმედ შემცირებულა ეს კატეგორია, რომელიც შეიძლება ითქვას, უფრო შეძლებულ ელემენტებს წარმოადგენს, ვიდრე საშუალო ელემენტებია ჩვენში.

ახლა ორიოდე სიტყვა იმისთანა მეურნეობათა შესახებ, რომელნიც ოთხ დესეტინაზე მეტს სთესენ.

საქართველოში ასეთი მეურნეობანი 1926 წ. 2,8 პროც. იყო, ხოლო 1927 წ. — 2,1 პროც., აქაც, მაშასადამე, შემცირებასთან გვაქვს საქმე, თუმცა იგი უმნიშვნელოა. აქედან ცხადია, რომ ჩვენში „კულაკის" ხვედრითი წონა მცირდება. ამასთან ერთად ხდება ნაკლებ მამულიანთა რიცხვის ზრდა. ეს აიხსნება, უმთავრესად, მიწის ნაკლებობით, ან სრული უქონლობით, აგრეთვე გაყრით, რის გამოც მიწა ნაწილდება და, ამგვარად, იზრდება პროცენტი მცირე მამულიანთა ან და ისეთებისა, რომელთაც მიწა სულ არ მოეპოვებათ. უმიწაწყლო გლეხი საქართველოში ამჟამად თავს თითქმის ვერაფრით უშველის, რადგან მრეწველობა სუსტადაა განვითარებული, ხოლო თავისუფალი მიწის მწვავე ნაკლებობაა. მას საშუალება არა აქვს თავისი მარჯვენა სადმე გამოიყენოს. რუსეთში მდგომარეობა უფრო სხვანაირია: იქ მრეწველობაც განვითარებულია და მიწაც ბლომადაა.

გარდა ამისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტიქიურ უბედურებებს. სტიქიონისაგან მრავალი გლეხი სრულიად პარტახდება. სრულიად ეკარგება ნათესები. წყალდიდობა ხშირად მთლად ანადგურებს ნათესებს. ეს ხდება დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოშიაც.

თუ ჩვენ ავიღებთ გლეხის მეურნეობას სამუშაო საქონლის რიცხვის მიხედვით, აქ სხვა სურათი წარმოგვიდგება, აღმოსავლეთ საქართ. ისეთი მეურნეობა, რომელსაც სრულიად არ მოეპოვება სამუშაო საქონელი, 1926 წელს იყო 40,2 პროც., 1927 წ. — 35,5 პროც. მაშასადამე, უსაქონლო მეურნეობათა რაოდენობა მცირდება და ამ პროცესს ადგილი აქვს მთელს საქართველოში, ყველა რაიონში, დასავლეთ საქართველოშიაც, აჭარაშიაც, აფხაზეთშიაც და სამხრეთ-ოსეთშიაც. ეს იმას მოწმობს, რომ ღარიბი გლეხობის ნაწილი თანდათან საშუალო გლეხობის მდგომარეობაში გადადის და ღარიბი გლეხების მდგომარეობა უმჯობესდება.

ვის ეძლევა კრედიტი? ამის შესახებაც არის ცნობები. უკანასკნელი წლის განმავლობაში გამოკვლეულ იქნა 45 საკრედიტო ამხანაგობა. ამ ამხანაგობათა წევრებია ღარიბი გლეხობა 63 9 პროც., საშუალო გლეხობა 33,4 პროც., შეძლებული — 2,7 პროც.

მესესხებელთა რიცხვი: პირველი ჯგუფისა—63.4 პროცენტია, მეორისა, ე. ი. საშუალო გლეხობისა—33,8 პროც. და შეძლებულთა—2.8 პროც.

ამხანაგებო, აქედან სრულიად არ სჩანს ის, რასაც ამბობს ოპოზიცია. მე ვლაპარაკობ იმ გადახრების შესახებ საერთო ხაზიდან, რაც ხდება ადგილებზე. ეს სულ სხვა საკითხია. ამ ციფრების მიერ მოცემული საერთო სურათი ღაღადებს იმას, რომ პარტიის სათანადო დირექტივა საკმაო წარმატებით ტარდება ცხოვრებაში.

იქნებ სასურველი იყო, რომ საკრედიტო ამხანაგობებში სრულიად არ ყოფილიყო შეძლებული ელემენტები, 2 პროცენტიც კი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ, თუ საჭირო იქნება, პარტია ამას ადვილად შეასრულებს. არავითარ საშიშროებას არ ვხედავ მასში, რომ ამ ორგანიზაციებში მოიპოვება შეძლებულთა სულ რაღაც ორი-სამი პროცენტი, არავითარ მიზეზს, რომ ღირდეს განგაშის ატეხა ამ საკითხის ირგვლივ.

საბჭოთა კავშირის სოციალური შემადგენლობა

როდესაც ოპოზიცია გაჰკივის იმის შესახებ, რომ ჩვენი კავშირის მოსახლეობაში სწარმოებს, ერთის მხრით, ბურჟუაზიის, კულაკის ზრდა, და მეორეს მხრით,—ღარიბი გლეხობის თანდათანობითი ზრდა, და არავითარი დამამტკიცებელი საბუთები მას ამის შესახებ არ მოჰყავს, საინტერესო იქნებოდა ამ განცხადებათა დაპირისპირება ამხ. ლარინის წერილთან, რომელიც დაბეჭდილი იყო ამას წინად „პრავდას" საიუბილეო ნომერში, სათაურით: „ს. ს. რ. კ. სოციალური სტრუქტურა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე". საქმე იმაშია, რომ ა. წ. მაისში სახალხო კომისართა საბჭომ მოაწყო განსაკუთრებული კომისია უაღრესად კომპეტენტურ მეცნიერთა, სახელმწიფო საგეგმო კომისიის, ფინსახკომის, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და კომუნისტური აკადემიის პასუხისმგებელ მომუშავეთაგან. და აი, ამ კომისიამ ამოსწურა ყველა ის მასალა, რაც მოიპოვება ჩვენს ლიტერატურაში, ს. ს. რ. კ. სოციალურ სტრუქტურის საკითხის შესახებ. ეს კომისია შემდეგ დასკვნამდე მივიდა მე აქ არ წავიკითხავთ მთელ წერილს. ვისაც სურს შეუძლია პირადათ გაეცნოს ამ წერილს. მე წავიკითხავთ მხოლოდ ზოგიერთ საბოლოო დასკვნებს.

თუ მხედველობაში გვექნება მარტოოდენ სოფლის მოსახლეობა, საკითხავია რა ხდება ამ სოფლის მოსახლეობაში?

წერილში ნათქვამია:

„მთელს საბჭოთა კავშირში 1924—25 წ. პროლეტარულ სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობა შეადგენდა 4.000.000-ს. 1925—26 წ.—5,4 მილიონს, 1926—27 წ.—5.8 მილ.

ღარიბი მოსახლეობა: 1924—25 წელს—26,5 მილ., 1925 26 წ.—23,6 მილ., ხოლო 1926—27 წელს—22,4 მილ.

საშუალო შეძლების მოსახლეობა: 1924—25 წ.—74,7 მილ., 1925—26 წ.—75,2, ხოლო 26—27 წ. — 76,7 მილ.

კულაკური მოსახლეობა: 4,5 მილ.—4,7 მილ,. 4,9 მილ.

ამგვარად, ჩვენში ხდება პროლეტარული ნაწილის ერთგვარი ზრდა. ძალიან მკაფიოდ მოსჩანს ღარიბი მოსახლეობის შემცირება, ასევე მკვეთრად მოსჩანს საშუალო ქონების პატრონთა ნაწილის ზრდაც. ამასთან ერთად სწარმოებს „კულაკური" ნაწილის ერთგვარი ზრდაც, მაგრამ არა ისე საშიში, როგორც ეს ოპოზიციას ეჩვენება.

ამნაირად, სოფლის განვითარება არ მიიმართება იმ გზით, რომელზედაც ოპოზიცია გველაპარაკება, ამ განვითარების პროცესში საბჭოთა ხელისუფლებას უფრო და უფრო მეტი ნიადაგი ეძლევა.

ვფიქრობ, უდავოა ის ფაქტი, რომ ჩვენს პირობებში სოფლის სრულიად ახალი განვითარება ხდება იმ მხრივ, რომ იგი სოციალისტური გზით მიიმართება, გლეხკაცობის კეთილდღეობა იზრდება, იზრდება საშუალო გლეხკაცობის მოსახლეობაც, ხოლო ლატაკი მოსახლეობა თანდათანობით მცირდება და მცირედნაწილად მატულობს, კულაკობა".

სახელმწიფო სავაჭრო ორგანოები და კოოპერაცია თანდათან ხელთ იგდებენ და ეპატრონებიან სასოფლო მეურნეობის ძირითადი პროდუქტების რეალიზაციის საქმეს, და აგრეთვე გლეხობისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების საქმეს.

სწარმოებს გლეხობის თანდათანობით ჩაბმა სოციალისტურ განვითარებაში, სხვადასხვა კოოპერატიულ ორგანიზაციების, არტელების, ამხანაგობების და სხვ. მოწყობა-დაარსების გზით. მეორეს მხრით, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებიც, გლეხობის კოოპერატიულ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებათა დადების საშუალებით, იდევ უფრო აძლიერებენ მის კოოპერატიულ შეკავშირებას, სოფლის მეურნეობას, წარმოების გაუმჯობესებას და ტეხნიკური ბაზის ამაღლებას.

იმ გზას რომ დავადგეთ, რომელზედაც მიგვითითებს ოპოზიცია თავის თეზისებში, ყოველივე ეს უნდა უარვყოთ. რას ამბობენ ისინი? ისინი ამბობენ, რომ ტეხნიკური ბაზის გარეშე, მაღალი ინდუსტრიის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების და სოფლის კოოპერაციაში ჩაბმის შესახებ. ჩვენ რომ მოგვეცადა, სანამ ყოველივე ეს არ მოხდებოდა, და მხოლოდ შემდეგ შევუდგომოდით გლეხობის კოოპერაციაში ჩაბმას, ვერ მივიღებდით ასეთსავე შედეგებს. ჩვენ ერთსა და იმავე დროს ვაუმჯობესებთ ტეხნიკურ ბაზას, კოოპერატიული შეკავშირების გზით ვაძლიერებთ ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობებს, ვაუმჯობესებთ ტეხნიკას. ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ ამას არსებულ პირობებში გლეხობის მხოლოდ და მხოლოდ კოოპერაციაში ჩაბმის გზით. გამოცდილებამ ეს დაამტკიცა და სავსებით გაამართლა. აი, რანაირად ვიზიდავთ ჩვენ გლეხობას სოციალისტურ აღმშენებლობაში.

ეს, რასაკვირველია, არ არის ადვილი, ეს ძნელი საქმეა; თითოეულ ნაბიჯზე ჩვენ გვიხდება ამის დაცვა, და მიღწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩვენ ხელიდან გაუშვებთ სადავეს, თუ ჩვენ სოფლის მეურნეობაში სტიქიურ განვითარებას მივსცემთ გასაქანს, მივიღებთ სულ სხვა შედეგებს. მაგრამ პარტია მტკიცედ და გარკვევით იცავს თავის ხაზს და ეს ხაზი, მე მგონია, გამართლებულია ცხოვრების მიერ.

ყოველივე ის, რაც მე ვთქვი, შეეხება სოფლის მეურნეობის განვითარებას საბჭოთა კავშირში.

სასოფლო მეურნეობის განვითარება ჩვენში

განსაკუთრებული პირობები

თუ ჩვენ შევხედეთ საქართველოს, ვნახავთ სპეციფიურ პირობებს. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ სახალხო მეურნეობა საქართველოში ერთგვარად განსხვავდება თავისი სტრუქტურით საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისაგან. ავიღოთ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის როლი. აქ ამხ. კასიანს მოჰყავდა ციფრები, მაგრამ მე ვფიქრობ—ხაზი უნდა გაუსვათ იმას, თუ რა როლს თამაშობს ჩვენში სოფლის მეურნეობა.

1923—24 წ. იგი შეადგენდა მთელი სახალხო მეურნეობის 86,1 პროცენტს, 1924—25 წ.—83 პროცენტს, 1925—26 წ. — 78,1 პროც., 1926—27 წლის ცნობები მე ჯერ არა მაქვს, მაგრამ შეიძლება ითქვას რომ სოფლის მეურნეობის როლი დაეცა და დავიდა 75 პროცენტამდე. ეს ციფრები გვიჩვენებენ იმას, რომ ჩვენში მრეწველობა უფრო სწრაფად ვითარდება, ვინემ სოფლის მეურნეობა. უკანასკნელის ზრდა უკან ჩამორჩება მრეწველობის ზრდას.

შევუფარდოთ ეს ციფრები საერთო მდგომარეობას მთელ საბჭოთა კავშირში. 1924—25 წ. სოფლის მეურნეობა შეადგენდა მთელი სახალხო მეურნეობის 76.2 პროცენტს, 1925—26 წ.—64,1 პროცენტს, ხოლო 1926—27 წელში—62 პროცენტს მაშასადამე, საკავშირო მასშტაბით სოფლის მეურნეობა უფრო ნაკლებ როლს თამაშობს, ვინემ ჩვენში. აქედან ჩვენთვის აშკარაა რამდენად ჩამორჩენილი ვართ მრეწველობის განვითარების მხრით.

თქვენ იცით, რომ უკვე მიმდინარე წლის დასაწყისში საქართველოს სოფლის მეურნეობამ მიაღწია ომამდე არსებულ დონეს და კიდევაც გადააჭარბა მას 4,4 პროცენტით. რაც შეეხება ტეხნიკურ კულტურებს, ამ მხრით ომამდე არსებულ დონეს გადავაჭარბეთ—16,8 პროცენტით. მესაქონლეობის დარგში ომამდე არსებულ ნორმას გადავამეტეთ 11,8 პროცენტით. ეს ციფრები ჩვენ მოგვცა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა.

ჩვენ ავიღეთ კურსი ტეხნიკური კულტურების განვითარებაზე.

მიწის სიმცირის დასაძლევად

ეს, ამხანაგებო, მეტად მნიშვნელოვანია. ცხადია, ხორბლეულობის კულტურაზე ჩვენ ვერ ვიტყვით უარს და არც ვიტყვით, მაგრამ მთავარი ყურადღება ჩვენ უნდა მივაქციოთ ტეხნიკურ კულტურის განვითარებას. თქვენ იცით, რომ ჩვენ ამ ხაზით აჩქარებული ტემპით უნდა წავიდეთ წინ, რადგან ჩვენში მიწის სიმცირეა. მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობების მიხედვით, ჩვენში დაახლოვებით 467 ათასი სული საჭიროებს მიწას. შეიძლება ეს რიცხვი ცოტა გადამეტებული იყოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენში ძალიან ბევრია უმიწა-წყლო და ნაკლები მიწის მქონე გლეხები. როგორ უნდა მოვაწყოთ გლეხობის ეს ნაწილი? ამისათვის არსებობს რამდენიმე გზა: პირველი, მრეწველობის განვითარება, რომელიც მოიზიდავს ამ გლეხობის უმრავლესობას. მეორე—მიწების მორწყვა და ჭაობების ამოშრობა; ჩვენ ამ მუშაობას უკვე შევუდექით, მაგრამ ჯერ-ჯერობით საგრძნობი შედეგები ვერ მივიღეთ, ვინაიდან ეს სამუშაო ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, — შესაძლებელია, ერთ—ორ წელიწადში ის დასრულდეს. მესამე, ჩვენ შეგვიძლია მიწის პატარა სივრცეზე მოვიყვანოთ ბევრი ჭირნახული ტეხნიკური კულტურის განვითარებით; მეოთხე საშუალება არის გადასახლება, თქვენ იცით, რომ შესაფერისი ორგანოები უკვე აწარმოებენ ამ მხრით მუშაობას. საქართველოში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი გადასახლებელი ფონდის შექმნა მეტად ძნელი საქმეა. უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს (ამ შემთხვევაში უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით რ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭოს) დადგენილებით ამ მიზნისათვის (სოჭის ოლქი) მოგვეცა 40.000 დესეტინა მიწა. ამ ხაზით სწარმოებს მუშაობა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს მუშაობა მნიშვნელოვან თანხებს მოითხოვს.

ყველა ამ ღონისძიება საშუალებით, ჩვენ ასე თუ ისე, შევსძლებთ აგრარული მოსახლეობის სიჭარბის დაძლევას, ცხადია ეს არ მოხდება ერთ ან ორ წელიწადში,რადგან ეს საქმე ყოველმხრივ მოითხოვს დიდ ხარჯებს და დიდ შრომას.

საკუთარი პური არ გვყოფნის

ვნახოთ; თუ როგორია დღეს ჩვენი სასოფლო სამეურნეო მდგომარეობა. ვიხელმძღვანელებთ იმ ცნობებით, რომლებიც ჩვენ მოგვაწოდეს. ამ ცნობების მიხედვით ირკვევა, თუ დაახლოვებით რამდენი საგლეხო მეურნეობა მიდის იოლად იმ სახსრით, რომელსაც სასოფლო მეურნეობა იძლევა. ამხ. რუხაძე ამბობს, რომ თავისი მეურნეობის სახსრით იოლად მიდის 92,4 პროცენტი. ,

საკითხავია, როგორ მიდიან იოლად? აქ ის გვაწვდის მეორე ცხრილს, რომელიც ზოგიერთ ფიქრებს გვიძრავს. აქ მოყვანილი ცნობების მიხედვით, ჩვენ უკვე შეგვიძლია ვსთქვათ; თუ რამდენ მეურნეობას ჰყოფნის საკუთარი მოსავალი: მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში საკუთარი მოსავალი პური ჰყოფნის მოსახლეობის 31 პროცენტს, დასავლეთ საქართველოში—37,8 პროც., აფხაზეთში—49 პროცენტს, აჭარაში—39 პროცენტს, სამხრეთ-ოსეთში— 28,9 პროცენტს, საერთოდ მთელს საქართველოში პურის საკუთარი მოსავალი ჰყოფნის მოსახლეობის 36,9 პროცენტს, ხოლო დანარჩენ უმრავლესობას, 60,5 პროცენტს, პური არ ჰყოფნის. ზედმეტი პური მოჰყავს მოსახლეობის 3:6 პროცენტს. მე არ შემიძლია ამ ციფრების სისწორე დავიდასტუროთ, მაგრამ ის ფრიად დამახასიათებელია. საქართველოს სასოფლო მეურნეობა მოსახლეობისათვის სამყოფ პურსაც ვერ იძლევა და იძულებული ვართ ყოველწლიურად შემოვიტანოთ 8—9 მილიონი ფუთი. ერთად-ერთი და მართებული გამოსავალი ამ მდგომარეობიდან აქ უკვე დავასახელე. საქართველოს პირობებში სასოფლო მეურნეობისათვის ყველაზე საჭირო იქნება (როგორც საზოგადოდ მთელი კავშირისათვის) ტეხნიკური, ეგრეთწოდებული, შრომის ტევადი კულტურების განვითარება, რაც საშუალებას მოგვცემს დავაკმაყოფილოთ უფრო მეტი გლეხობა; ვიდრე აქამდე ვაკმაყოფილებდით.

ტეხნიკური კულტურები

რა არის განზრახული სასოფლო მეურნეობის დარგში უახლოესი 5 წლისთვის? მე უნდა მოგახსენოთ, რომ ის შავად შედგენილი პროექტი, რომელიც ამჟამად საგეგმო კომისიას მოეპოვება (პროექტი, რომელიც ალბად შეთანხმებულია მიწათმოქმედების კომისარიატთან), შემდეგ უფრო დაწვრილებით იქნება დამუშავებული და საბოლოოდ დასამტკიცებლად წარედგინება [illegible] ჯერ [illegible] ჯერობით არაა საკითხი დაკავშირებული ელექტროფიკაციასა და მრეწველობასთან. იქ მხოლოდ სასოფლო მეურნეობის ის დარგებია წინ წამოწეული, რომელნიც უახლოეს ხანებში უნდა განვავითაროთ.

ამ გეგმაში მევენახეობის და მეღვინეობის დარგისათვის განზრახულია საზოგადო სარდაფების შექმნა.

ამ საქმეზე უნდა გადაიდოს დახალოვებით ერთი მილიონი მანეთი. ამ ფულს ვიღებთ ნაწილობრივ გრძელ-ვადიანი სესხის სახით; ნაწილობრივ მოკლე ვადიანი სესხის სახით და ნაწილსაც მოსახლეობის სახსრებიდან.

მეღვინეობა-მევენახეობის დარგში განზრახულია სპირტისა და კონიაკის ქარხნების აგება.

მეხილეობისა და მებოსტნეობის გასავითარებლად ნავარაუდევია 800.000 მანეთის გადადება.

შემდეგ მოსდევს მეთამბაქოობა. ამ დარგის განვითარება საჭიროა ექსპორტისათვის და არა შინა-მოხმარებისათვის. ამ მხრივ ზოგიერთ ამხანაგი მეთანხმება, მაგრამ უმრავლესობა არ იზიარებს ამას. აქ მყოფი ამხ. გეგეჭკორიც კი არ მეთანხმება, მაგრამ ხუმრობა იქით იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარგში განზრახულია დიდი თანხების დაბანდება საშრობთა ასაგებად, პლანტაციების გასაფართოვებლად და სხვა. მე მაინც ხაზს უსვამ იმას, რომ მაინცდამაინც საჭირო არ არის მეთამბაქოობის ნამეტანი განვითარების კურსი ავილოთ, რადგანაც თამბაქოზე გაცილებით უფრო ხელსაყრელი და უფრო სასარგებლო კულტურები მოგვეპოვება. ახლა ამის განხორციელება ყოვლად შეუძლებელია და არც ვგულისხმობ ამას, მაგრამ დადგება დრო, როდესაც ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში მეთამბაქოობა გაუქმდება.

ახლა ჩაის კულტურაზე. (ხმა ადგილიდან: ისიც მავნებელია) ვინ მოგახსენათ, რომ ჩაი მაწყენარია? სრულიადაც არა. ასე თუ ისე, შეუძლებელია ჩაის და თამბაქოს კულტურის შედარება. ჩაის ახალ ფაბრიკების ასაგებათ და არსებული ფაბრიკების გასაფართოებლად განზრახულია ამ ხუთი წლის განმავლობაში გადაიდოს 3.640.000 მან. სულ ჩაის საქმეზე ნავარაუდევია 10.000.000 მან.

მეხაქონლეობის განსავითარებლადაც იქნება მიღებული ზომები. ივივე უნდა ითქვას მეაბრეშუმეობაზე, რომელიც საკმაოდ კარგად ვითარდება.

ნავარაუდევია გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამქირავებელი პუნქტების მოწყობა.

შემდეგ, მნიშვნელოვანი თანხა იხარჯება საბჭოთა მეურნეობათა და მელიორაციის გასაუმჯობესებლად.

საერთოდ, ამ ვარაუდით, სასოფლო-მეურნეობისათვის განზრახულია 50 მილ. მანეთის დაბანდება.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ გეგმაში, რაღაც მიზეზის გამო, გამორიცხულია სამკურნალო მცენარეთა კულტურა, რომელიც ჩვენ ქვეყანაში ფართოდ უნდა განვითარდეს. ჩვენ შეგვიძლია მივაწოდოთ სამკურნალო მცენარეები არა მარტო ჩვენს კავშირს, არამედ საზღვარგარეთაც გავიტანოთ იგი. ამას დღემდე არ ჰქონდა მიქცეული ჯეროვანი ყურადღება.

ახლა შევეხოთ სასოფლო მეურნეობის განვითარებას ექსპორტის მიზნით. გეგმით ეს არ არის გათვალისწინებული. მაგრამ არსებობს სასოფლო მეურნეობის დარგთა მთელი რიგი; შეიძლება ეს დარგები მცირე იყოს, მაგრამ ექსპორტის განვითარებისათვის მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. ავიღოთ თუნდაც მეფრინველეობა. იგი მაინცა და მაინც დიდ ხარჯებს არ მოითხოვს და ამავე დროს ექსპორტისათვის იძლევა ძლიერ გამოსადეგ საქონელს—კვერცხის სახით, ამას ეხლავე უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ამის დაწყებამდე ჩვენ რამდენიმე მილ. კვერცხი გაგვქონდა, ამჟამად კი კვერცხის გაზიდვა ძლიერ [illegible] ომამდე არსებულ დონეს არა თუ უნდა მივაღწიოთ, არამედ კიდევაც უნდა გადავაჭარბოთ იგი. სასოფლო მეურნეობის დარგში ჩვენ მოგვეპოვება ექსპორტის სხვა შესაძლებლობანიც. ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

მიწადმოწყობა

ხუთი წლის ვარაუდში მიწადმოწყობის შესახებ არაფერია ნათქვამი. მიწადმოწყობა წარმოადგენს ერთ-ერთ ფაქტორს ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარებისას. მიწადმოწყობის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მიწის თავისუფალი ფონდის შექმნა. ამას წინად ჩვენ აქ მოვისმინეთ ბორჩალოს მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. რასულ-ზადეს მოხსენება. იგი ამბობდა, რომ ბორჩალოს მაზრაში ადვილად შეიძლება მიწადმოწყობის საშუალებით, მიწის თავისუფალ ფონდის შექმნა. მიწადმოწყობის მხრით ჩვენში ისეთი მდგომარეობაა, რომ ავტონომიური რესპუბლიკების გარდა, (ავტონომიურ რესპუბლიკებისაგან ცნობები, სამწუხაროდ, ჯერ არ მიგვიღია) სოფლის შიგნით მიწადმოწყობა გატარებულია 377 სოფელში, ე. ი. 9,8 პროცენტით, ხოლო სოფელთა შორის მიწადმოწყობა—18 პროცენტით. აქ ჩვენ ძლიერ ნელი ნაბიჯით მივდივართ წინ. ეს არა ერთხელ იყო აღნიშნული. შეფერხებას ქმნის სახსრის ნაკლებობა და აგრეთვე მიწადმზომელთა სათანადო კადრის უყოლობა. წინანდელ ანგარიშით, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს დაახლოვებით 200 (185) მიწადმზომელი ჰყავდა გათვალისწინებული რათა 5 წლის განმავლობაში მიწადმოწყობა დამთავრებული ყოფილიყო, ჩვენ—კი ბევრად უფრო ნაკლები გვყავს—სულ 86 მიწის მზომელები.

ამხ. ფ. მახარაძე

რასაკვირველია, ეს სრულიადაც საკმარისი არაა.

შემდგომ ჩვენ შეგვიძლია ერთი სასიხარულო ფაქტი აღვნიშნოთ. ეს არის ის, რომ მატულობს გლეხობისათვის აგრონომიული დახმარება. მაგალითად, 1923—24 წლებში სოფლად მომუშავე აგრონომიულ პერსონალში ითვლებოდა 33 კაცი, ახლა კი 91-ია. აგრო-პუნქტი იყო—25, ახლა—66. აგროდახმარებისათვის 1923—24 წლებში დავხარჯეთ 19.000 მ. ამ წელს კი 500000 მანეთი.

სას.-მეურნეობის მექანიზაცია

ახლა ორიოდე სიტყვა ჩვენი სასოფლო მეურნეობის მექანიზაციასა და მაშინიზაციაზე. ეს ძალიან სერიოზული საკითხია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ამას წინად, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულზე ჩვენ ვნახეთ ტფილისის ქუჩებში მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ გამართული დემონსტრაცია. იმ ამხანაგებზე, ვინც ეს დემონსტრაცია ნახა, მან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. რა იყო იქ? იქ დაგვანახვეს ჯერ გუთანი, რომელშიაც შებმული იყო ცხრა თუ ათი უღელი კამეჩი და ზედ ეწერა: „ასე იყო". შემდეგ ამას მისდევდა „ჰოლდის" სისტემის ტრაქტორი. მართლაც ხუთი-ექვსი წლის წინათ ჩვენ, არც „ჰოლდები" გვქონია, არც „ფორდზონები"; ახლა კი, მართალია ცოტაა, მაგრამ მაინც გვაქვს.

რა გვაქვს ჩვენ ამჟამად? მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობებით ჩვენ გვაქვს 147 ტრაქტორი, 80 სალეწი მანქანა, 100 ძნისმკვრელი და 700-მდე რკინის გუთანი. რასაკვირველია, ეს წვეთია ზღვაში, რასაკვირველია, ეს არ კმარა, მაგრამ ეს უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯია წინ.

ამიერ-კავკასიაში ამ ბოლო ხანში, მაშინიზაციის საქმეზე დაიხარჯა 4.400.000 მ. აქედან ტრაქტორების შესაძენად ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო ბანკის თანხებიდან გაღებული იყო 563.000 მან., ხოლო სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემით დაიხარჯა 1.600.000 მანეთი. ამ თანხებით შეძენილ იქნა 791 ტრაქტორი: საქართველოსათვის—203 ტრაქტორი, აზერბეიჯანისათვის—302 და სომხეთისათვის—202. ამიერ-კავკასიის მასშტაბის ორგანოთა განკარგულებაში 14 ტრაქტორია.

ამჟამად მთელს ამიერ-კავკასიაში 150 სამანქანო ამხანაგობა ითვლება. პირველი ადგილი უჭირავს აზერბეიჯანს, სადაც 101 სამანქანო ამხანაგობაა. საქართველოში მუშაობს სულ—106 ტრაქტორი, დანარჩენი, როგორც სჩანს, გაფუჭებულია. (გეგეჭკორი ადგილიდან: საქმე ისაა, რომ ჩამოტანილი ტრაქტორები ჩვენი პირობებისათვის ვერ გამოდგენ. ამ წელს შემოვა კიდევ 100 ტრაქტორი).

კოოპერაცია საქართველოში

მიღწევები სამომხმარებლო კოოპერაციაში

ნება მიბოძეთ გადავიდე ეხლა კოოპერაციაზე. ჯერ კიდევ 2—3 წლის წინად, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სამომხმარებლო კოოპერაცია მძიმე კრიზისს განიცდიდა. ჩვენ ძალიან ბევრი შრომა დავხარჯეთ კოოპერაციაზე, რადგანაც იგი ყოველ მხრივ დაავადებული იყო.

ჯერ სამომხმარებლო კოოპერაციაზე ვილაპარაკებ. შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო ხანებში სამომხმარებლო კოოპერაციის დარგში შესამჩნევ შედეგებს მივაღწიეთ. რა თქმა უნდა, ეს წარმატება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიეწეროს მარტო უშუალოთ ხელმძღვანელ ორგანოებს, როგორიცაა, მაგალითად, ცეკავშირი. საქმის ეს წარმატება მეტ წილად წარმოადგენს ადგილობრივი კოოპერატიული ორგანიზაციების თვითმოქმედების შედეგს. რასაკვირველია, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიც და სახკომსაბჭოც, შეძლებისდაგვარად, ყოველმხრივ ხელს უწყობდენ ჩვენი კოოპერატიული ორგანიზაციების მდგომარეობის გაუმჯობესებას. მოვიყვან რამდენიმე ციფრს: 1924 წლამდე სამომხმარებლო კოოპერაციაში თანდათან მცირდებოდა საკოოპერაციო წერტილებისა და მათი წევრების რიცხვი. მაგრამ 1924 წელს კოოპერაციაში მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება: იგი იწყებს სწრაფ ზრდას. 1924 წელს სულ იყო 133 კოოპერატივი; 1925 წ.—141; 1926 წ.—148; 1927 წ.—149. დუქნების რიცხვი წლების მიხედვით ამნაირად მატულობდა: 700, 871, 1005 და 1192. 1922 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის წევრთა რიცხვი შეადგენდა—106.000 კაცს; 1925 წ.—145 ათასს, 1926 წ.—208 ათასს. 1927 წლის ივლისისათვის ჩვენ უკვე ვხედავთ რომ ეს რიცხვი 253 871-მდე ადის. აქ უეჭველ ზრდასთან გვაქვს საქმე.

მოსახლეობის რამდენი პროცენტი იყო ჩაბმული კოოპერაციაში წინად და ახლა? 1924 წ.—22,2 პროც., 1925 წ.—30,5 პროც., 1926 წ.—43,7 პროც.,1927 წ.—53,7 პროც„ ცხადია, ეს უდიდესი წარმატებაა.

ამასთან ერთად იზრდება საპაიო კაპიტალიც. ჩვენ გვქონდა 1924 წელს 189.000 მან.; 1925 წ.—329.000 მ., 1926 წ.—569.000 მან.; 1927 წ.—880.000 მან. აქ სჩანს დიდი ზრდა.

განსაკუთრებით სანუგეშოა ქალების მონაწილეობის ზრდა კოოპერაციაში. 1924 წელს ქალთა მონაწილეობა კოოპერაციაში გამოიხატებოდა 2 პროცენტით;1925 წ.—6,6 პროცენტით; 1926 წ.—6,5 პროცენტით; 1927 წ.—8,6 პროცენტით. მაშასადამე, სამომხმარებლო კოოპერაციაში ჩაბმულ ქალთა რაოდენობა მარტო აბსოლიუტურად კი არ იზრდება, არამედ შედარებითაც; ცხადია, ის, რაც ახლა ჩვენა გვაქვს, სრულებით არ არის საკმაო.

სამომხმარებლო კოოპერაციის გაჯანსაღებას შემდეგი ცნობებიც გვიჩვენებს. 1924 წელს ოქტომბრის 1-სთვის საქონლის ბრუნვა გამოიხატებოდა 21 მილიონი მანეთით; 1924—25 წ. —28 მილიონზე მეტით; 1925—26 წ. —40.500.000 მანეთით; 1926—27 წ.—50 მილიონზე მეტით. საკუთარი სახსარი 1924 წელს შეადგენდა 1 მილ. 44 ათას მანეთს; 1925 წ— 1 მილ. 770 ათასს მან.; 1926 წ.—3 მილ. 300 ათასს მან.; 1927 წ.—4 მილ. 66 ათასს მან.

ჩვენ ვხედავთ, რომ კოოპერაცია ახლა სერიოზულ განვითარების გზას დაადგა; კოოპერაციაში თანდათან უფრო მეტი მოსახლეობა იყრის თავს; იზრდება საპაიო და საბრუნავი თანხაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით სამომხმარებლო კოოპერაციის სოციალური შემადგენლობა. ეს ცნობები მე არა მაქვს. ჩვენთვის, რასაკვირველია, საინტერესოა ვიცოდეთ, თუ ვინ შედის კოოპერაციაში. ცხადია, ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ კოოპერაციაში დიდ უმრავლესობას ღარიბი და საშუალო ელემენტები შეადგენენ, მაგრამ უეჭველია, აქ კულაკებიც არიან. მომავალში უფრო უნდა ვცდილობდეთ, რომ მეტი წარმატება მოვიპოვოთ ამ დარგში, უფრო გაძლიერდეს მოსახლეობის ჩაბმა კოოპერაციაში; ცეკავშირმა უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა, რადგან უკეთესი ხელმძღვანელობის დროს კიდევ უფრო მეტ წარმატებას მოვიპოვებთ.

შემდეგისათვის უნდა გავითვალისწინოთ მოსახლეობის თვითმოქმედების ზრდა და უფრო და უფრო გავაძლიეროთ ყურადღება სამომხმარებლო კოოპერაციის მიმართ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ჩვენ უმთავრეს ბაზას წარმოადგენს და სწორედ მასზე ვამყარებთ მთავარ იმედებს. ჩვენ იმედი გვაქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებით ავაღორძინოთ საშუალო და ღარიბი გლეხობის კეთილდღეობა და ისინი აქტიურად ჩავაბათ სოციალისტური მშენებლობის პროცესში. როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე წლის წინად ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაცია ავად იყო. შეიძლება ესევე ითქვას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიმართაც—იგი კიდევ უფრო მძიმედ იყო ავად. ბევრი შრომა და ენერგია დავახმარეთ ამ სახის კოოპერაციას, რომელსაც „წარმოკავშირი" ეწოდებოდა. 1924—25 წელში ჩვენში სტიქიურად და ძლიერად ვითარდებოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ქსელი. მაგრამ ამ კოოპერაციის მეთაური ხელმძღვანელი ორგანო ვერ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე. მან არ გაუწია ანგარიში იმას, რომ ასეთ სწრაფ ზრდას ჯანსაღი საფუძველი არ ჰქონია. კოოპერატივების რიცხვის ზრდა სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი ჯანსაღ ორგანიზაციებს წარმოადგენდენ. კოოპერატივის სახით ეწყობოდა ჩვენი საბჭოთა კოოპერაციის მოთხოვნილებებისათვის სრულიად შეუფერებელი ორგანიზაცია, რომელიც აუცილებლად უნდა დაგვეხურა. მათ შორის შეიძლებოდა დაგვეტოვებინა მხოლოდ ის ჯანსაღი ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ შეგვეძლებოდა ახალი მუშაობის წარმოება. სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა. ამხანაგებმა ვერ შეასრულეს ეს ამოცანა; ჩვენ დავმარცხდით და დიდი ზარალიც ვნახეთ ბოლოს და ბოლოს ცეკა იძულებული გახდა ეს ორგანიზაცია სავსებით დაეშალა და სრულებით ახალ საფუძველზე დაეწყო ახალი ორგანიზაციის შენება. ამ მიზნით 1926 წ. აგვისტოში სახკომსაბჭომ დაადგინა მოეწყო საორგანიზაციო ბიურო, რომელსაც დაევალა შეერჩევინა მათ შორის ჯანსაღი ორგანიზაციები და ამ ჯანსაღ საფუძველზე დაეწყო ახალი ორგანიზაციის განვითარება-განმტკიცება. ეს ამოცანა სავსებით შესრულებული იქნა. 1926 წ. დასასრულში დაარსებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ახალი ცენტრი, „სოფლის კავშირი". ძველი „წარმოკავშირის" ქსელიდან შერჩეულ და დატოვებულ იქნა დაახლოვებით 55 ჯანსაღი კოოპერატივი. მე მათ აქ არ ჩამოვთვლი, მაგრამ აღვნიშნავ, რომ ახალი ორგანიზაციის მოწყობაში მთავარ როლს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებმა თამაშობდენ. დაახლო-

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

ზით მათი რიცხვი 87-ს უდრიდა დანარჩენები კი სხვა სახის კოოპერატივები იყვნენ.

ეხლა შევეხოთ ამ ორგანიზაციების სოციალურ შემადგენლობას.

სოციალური შემადგენლობა ჩვენ შეგვიძლია გამოვარკვიოთ მხოლოდ ზოგიერთი ორგანიზაციებისა. 55 ორგანიზაციიდან ცნობები მოგვეპოვება მხოლოდ 32-ს შესახებ. ამ ორგანიზაციების შესახებ ჩვენ საკმაოდ სრული ცნობები მოგვეპოვება.

ეს ორგანიზაციები 1926 წელში აერთიანებდენ 400.000-მდე წევრს, რაც შეადგენს, დაახლოებით საქართველოს მოსახლეობის 10 პროცენტს. სოციალური შემადგენლობის მხრივ უნდა ითქვას, რომ აქ საქმე, ცოტად თუ ბევრად, უკეთეს მდგომარეობაში.

იმ ცნობებიდან, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია მოსჩანს, რომ ამ ორგანიზაციების უმრავლესობა შესდგება ღარიბ და საშუალო გლეხობისაგან, ცხადია, რომ ნაწილობრივად მათში „კულაკური“ ელემენტებიც შედიან.

როგორია დღეს — დღეობით მდგომარეობა დაბალ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ან და კოოპერაციაში ჩაბმულ მოსახლეობის ზრდის სფეროში.

1924 — 25 წ. ჩვენ გვქონდა 275 კოოპერატივი. თქვენ იცით, რომ ისინი არ იყვნენ ჯანსაღი ორგანიზაციები.

1925—26 წ. კოოპერატიული ორგანიზაციები იყო 226. დღეს მათი რიცხვი უდრის — 307.

ეხლა გავარჩიოთ, თუ როგორი იყო კოოპერაციაში ჩაბმულ მოსახლეობის პროცენტი. 1924—25 წ. კოოპერაციაში ჩაბმულ მოსახლეობა უდრიდა — 20 პროც., 1925—26 წ. — 23,2 პროც., 1926—27 წ. — 26,8 პროც.

სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის სფეროში, როგორც მე უკვე ვსთქვი, ჩვენ სერიოზული მუშაობა დაგვჭირდება იმიტომ, რომ სწორედ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია წარმოადგენს ჩვენი სასოფლო - მეურნეობის შემდგომი განვითარების საფუძველს.

მე ხაზი უნდა გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენ სასოფლო-მეურნეობა იმდენად უნდა განვავითაროთ, რომ შევეძლოს მრეწველობისათვის აუცილებელ ნედლი მასალის დამზადება. ჩვენი სასოფლო - მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობის პირობებში ჩვენ შორს ვერ წავალთ. წინსვლა კი შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ შევქმნით სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობებს, რომლებიც ჩვენში სამწუხაროდ ძალიან ცოტა მოიპოვება.

ის 307 ორგანიზაცია, რომლების შესახებ ჩვენ მოგვეპოვება ცნობები, სამწუხაროთ ჯერ-ჯერობით კიდევ არ არიან საკმაოდ განვითარებული.

საგლეხო მეურნეობის კოლექტივიზაცია

ჩვენ საგლეხო მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში მეტად ჩამოვრჩით; მდგომარეობა ამ მხრივ მეტად ცუდია. აქ არ არის საჭირო თავის მოტყუება. უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტივიზაცია ჩვენში ხანდახან სავსებით სწორად არ არის გაგებული .სას.-მეურნეობის კოლექტივიზაციის გზას უნდა ვხედავდეთ არა კომუნებში, არამედ პირველ ყოვლისა, სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობებში, არტელებში, ე. ი. გლეხურ გაერთიანების უაღრესად მარტივ ფორმებში. თუ ჩვენ ერთბაშად უმაღლეს ფორმებიდან დავიწყებთ, ეს მიგვიყვანს იმ ავადმყოფ მოვლენებამდე, რომელსაც დღეს ხშირად ვამჩნევთ.

რა საჭიროა იმის დაფარვა, რომ ჩვენმა სასოფლო-სამეურნეო კომუნებმა ვერ გაამართლეს ის იმედები, რომელთაც ჩვენ მათზე ვამყარებდით! მე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ყველაზე უფრო შესაფერ, მისაღებ და მიზანშეწონილ გაერთიანებებს გლეხურ მეურნეობის პირობებში წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი და არტელები სასოფლო-სამ. მანქანების შეძენის და სასოფ.-სამ. საქონლის გასაღების ნიადაგზე. ჯერ კიდევ შარშან საკავშირო მთავრობის დადგენილებაში ჩვენ გვქონდა ასეთი დირექტივა:

„კოლექტიურ სასოფლო - სამეურნეო აღმშენებლობის ცდა გვაჩვენებს, რომ დღევანდელ პირობებში კოლექტივიზაციის უაღრესად მასიურ ფორმას წარმოადგენს უმარტივესი საწარმოო გაერთიანება — ამხანაგობა მიწის საზოგადოებრივ დამუშავებისათვის, სამანქანო ამხანაგობანი და სხვ. კოლექტიურ მეურნეობის განვითარების ამ ტენდენციების გამო, საჭიროა კომუნის უფრო რთულ ფორმების განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. უმარტივეს ფორმების განვითარება-განმტკიცებას, მათში გლეხობის ფართო მასების, პირველ რიგში, ღარიბთა ფენების ჩაბმით“.

მაგრამ, როდესაც ჩვენ ამ დირექტივას უფარდებთ ჩვენს სინამდვილეს, ჩვენ წინ იშლება სამწუხარო სურათი. ამას წინად მე ვინახულე ერთი ასეთი კომუნა და დავრწმუნდი, რომ ამ კომუნის წევრება დაუწყიათ ყოველგვარ გეგმის, ყოველგვარ ხელმძღვანელობის გარეშე; ყველაფერი განუსაზოგადოებრივებიათ. განსაზოგადოება იქამდე მისულა, რომ მათ აიძულეს კომუნის წევრები დაენგრიათ თავიანთი ქოხები და დასახლებულიყვნენ ერთად რამდენიმე ოჯახებით. გამოუგონიათ ტანსაცმელის განსაკუთრებული ფორმა, ყველა დაუვალდებულებიათ ატარონ განსაზღვრული ფერის ტანსაცმელი და სხვ. რას ამტკიცებს ეს? ეს ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ გადავაჭარბეთ, ერთი სიტყვით დავიწყეთ ბოლოდან, იმის მაგიერ, რომ თავიდან დაგვეწყო.

საქმე უნდა დავიწყოთ თავიდან, ნელ-ნელა, როგორც ამას ლენინი გვირჩევდა. მას სწამდა მასის კოოპერაციაში გაერთიანება უმარტივესი ფორმების საშუალებით.

ჩვენ კომუნების უმნიშვნელო რაოდენობა მოგვეპოვება საქართველოში—სულ 7. არ ვიცი რამდენია მათი რიცხვი აფხაზეთსა და აჭარაში. საჭიროა ამ კომუნებს დახმარება გაუწიოთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ვინაიდან ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს გლეხობაზე, როდესაც საქმე რაიმე დიდი ზეიმით და რიხით დაიწყება, ამყარებენ მასზე დიდ იმედებს და ეს საქმე კი სწრაფად იღუპება. ამიტომ მე ვამბობ, რომ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ამ კომუნებს უნდა დავეხმაროთ, თუ მათ ჯანსაღი საფუძველი აქვთ; თუ ისინი დახნეულებულ ორგანიზაციას წარმოადგენენ, უნდა შევეცადოთ მათ გაჯანსაღებას.

ამას წინად სასოფლო უჯრედების მდივნების თათბირი იყო მოწვეული და იქ გამოირკვა, რომ სამთავისის კომუნა, რომელიც მეურნეობათა მნიშვნელოვან რიცხვს—19-ს მეურნეობას აერთიანებს კრიზისს განიცდის. არიან უკმაყოფილო ელემენტები, საეჭვო პირები, რომელთაგან კომუნა აუცილებლად უნდა განთავისუფლდეს. ეჭვს გარეშეა, პარტიამ უნდა გააძლიეროს თავისი ხელმძღვანელობა ამ კომუნებზე. მაგრამ უნდა განვაცხადო ისიც, რომ ამჟამად არ უნდა გაგვიტაცოს ამ ფორმამ. ჩვენ უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა განვითარებას, როგორც ეს ნათქვამია ჩვენს დირექტივებშიც.

შინამრეწველობის კოოპერაცია

არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა არ მოგახსენოთ შინამრეწველობის კოოპერაციის შესახებ. სამწუხაროდ მისი განვითარება დღევანდლამდე ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული. ძალიან კარგად მოგეხსენებათ, რომ ერთ დროს შინამრეწველობის კოოპერაციას ყურადღებას არ ვაქცევდით, ვინაიდან ჩვენ ვფიქრობდით, რომ კოოპერაციის ეს ფორმა თვითონ მოისპობა ანდა ჩვენ ჩავკლავთ მას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს შემცდარი პოლიტიკა იყო. ეხლა მეტად დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ შინამრეწველობის კოოპერაციის განვითარებას, მით უმეტეს საქართველოში, სადაც მრავალი ხელოსანი და შინამრეწველი მოგვეპოვება. მათი რიცხვი თითქმის 80.000-მდე აღწევს, ხოლო შინამრეწველობის კოოპერაციის წლიური შემოსავალი 7.000.000 მანეთამდე აღწევს.

ჩვენ ამ კოოპერაციას მივაქციეთ სათანადო ყურადღება უკანასკნელ ხანებში. ამ კოოპერაციის ცენტრიც მოეწყო.

ამჟამად ქალაქებში არის 80-მდე ასეთი ამხანაგობა, პროვინციაში—28; ისინი აერთიანებენ 58 საწარმოო-კოოპერატიულ ნაძს და 7 საკრედიტო ამხანაგობას, რომელთა წევრების რიცხვი უდრის—2.395 და საპაიო კაპიტალი აქვთ 50.000 მანეთი.

რასაკვირველია, ეს ცოტაა და შემდგომ ამას უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

პროდუქტების დამზადების საქმე

როგორ სწარმოებს ეხლა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება: 1926—27 წელი წინა წელთან შედარებით, გვიჩვენებს—21,8 პროცენტით ზრდას. ზრდის უმთავრესი პროცენტი მოდის თამბაქოზე. მისი რაოდენობა ავიდა თავიდან 200.000 ფუთამდე. მატყლისაც აგრეთვე სხვა პროდუქტების დამზადებაც, გარდა ბამბისა და აბრეშუმის პარკის დამზადებისა, რადგან ამ უკანასკნელთა მოსავალი მცირედი იყო.

როგორია სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის ბრუნვა? საინტერესოა ვიცოდეთ სახელმწიფო და კოოპერატიულმა ორგანოებმა რამდენად შესძლეს ყველაფერის თავის ხელში აღება. სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების ბრუნვა 1926 წელს შეადგენდა 99 მილიონ მანეთზე ცოტა მეტს. სახელმწ. ვაჭრობის ხვედრითი წონა 1925—26 წელს უდრიდა 37,5 პროცენტს და 1926 წელში—40,3 პროცენტს. ამავე წლებში კოოპერაცია იძლევა 41 პროც. და 25 პროცენტს. კერძო ვაჭრობა—21,5 და 14 პროცენტს. ამგვარად სახელმწიფო კოოპერატიული ვაჭრობა გაიზარდა კერძო ვაჭრობის ხარჯზე.

რა პროდუქტებით ვაჭრობს კოოპერაცია და სახელმწ. ვაჭრობა თითქმის მონოპოლიურად? ესაა თამბაქო, ბამბა, ჩაი, ტყავი, მატყლი, აბრეშუმის პარკი, ჯაგარი და ბეწვეულობა. აქ კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა ბატონობს, ყველა დამზადებას ისინი ეწევიან. ვერაა კარგად ღვინის, ხორცის და ხილის ვაჭრობის საქმეები.

ჩვენი შემდგომი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენმა სახელმწიფოებმა და განსაკუთრებით კი კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა თანდათანობით ხელში ჩაიგდონ დანარჩენი პროდუქტებიც. სხვათა შორის აქ ერთი დიდი ნაკლია—ხშირად კოოპერაცია და სახელმწიფო ორგანოები პარალელურ მუშაობას ეწევიან და ერთი-მეორეს მეტოქეობას უწევენ. ეს დიდი ნაკლია, რომელსაც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

საბჭოთა გადარჩევა სოფლად

ახლა გადავიდეთ საბჭოთა და პარტიულ მუშაობაზე სოფლად. არ შევჩერდები საბჭოების გადარჩევაზე—ამაზე უკვე იყო ლაპარაკი,—მაგრამ მაინც აღვნიშნავ, რომ საქართველოში უკანასკნელ არჩევნების დროს საბჭოებში გავიდა—59,0 პროც. ღარიბი გლეხკაცობა, 31,5 პროც. საშუალო და დანარჩენი—8,8 პროც.

შესაძლოა, სადმე კულაკებიც შეიპარნენ საბჭოში, მაგრამ ეს გარემოება პანიკისათვის არავითარ საფუძველს არ იძლევა.

თქვენ იცით, რომ საარჩევნო კრებებზე დასწრება საერთოდ დამაკმაყოფილებელი იყო.

აქტიურობა, რასაკვირველია, უფრო მეტი იქნა გამოჩენილი; როგორც მამაკაცების, ისე დედაკაცების მხრით. უმთავრესი მიღწევა ის არის, რომ ამ არჩევნებში ჩაბმული იყო ღარიბ-ღატაკი გლეხობა და შეიძლება ითქვას სავსებით იქნა განხორციელებული საშუალო და უღატაკესი გლეხობის დაკავშირება.

საჭიროდ მიმაჩნია აქ აღვნიშნო ის მთავარი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი, რომელსაც გლეხობა აყენებდა ამ არჩევნების დროს.

ეს არის—მიწათმოწყობის სამუშაოთა ნელი ტემპით წარმოება, ჩუმი და სხვადასხვა სახით წარმოებული ყიდვა-გაყიდვა მიწებისა, ტყეების განაწილებისა და დაცვის საკითხი, კულტურული სამეურნეო მშენებლობის სუსტად განვითარება, სკოლების; სამკურნალო პუნქტების; გზების და ხიდების მდგომარეობა და სხვ.

ყოველივე ამას მეტად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რამდენათაც ისინი კანონიერ მოთხოვნილებებს წარმოადგენენ, რომელთაც ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ.

მუშაობა უღარიბეს გლეხთა შორის

ეხლა შევჩერდები ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხზე—უღარიბესი გლეხობის შორის მუშაობის საკითხზე. ეს მუშაობა დღევანდლამდე მოიკოჭლებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამ დარგშიც მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს.

როგორ უნდა მივუდგეთ ამ საკითხს? იქონიეთ მხედველობაში, რომ უღარიბესი გლეხობის დარაზმვა ეხლა სულ სხვა, ახალი პირობებში სწარმოებს.

მე მახსოვს, გასულ წელს სოფლის უჯრედის ერთი მდივანი თათბირზე ლაპარაკობდა: „ჩვენში კულაკები უკვე აღარ არიან, ჩვენ მათ კისერი მოუგრიხეთო“. მე იმ თათბირზე არ ვყოფილვარ, თორემ შევეკითხებოდი იმ მდივანს, თუ რა ღონისძიებებით მოუგრიხე კულაკებს კისერი. რასაკვირველია, საკითხის დაყენება მარტო ადმინისტრატიული წესით გასწორებაზე არ შეიძლება. ჩვენ ვაყენებთ საკითხს უღარიბეს გლეხობაში მუშაობის, მისი კეთილდღეობის აწევისა და სხვათა შესახებ. ყველა ღონისძიება ამ დარგში ეკონომიური ხასიათისა უნდა იყოს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველაფერი: სასოფლო-სამეურნეო კრედიტიც, ღარიბთა განთავისუფლებაც გადასახადებისაგან და სხვა.

აქ სდგება საკითხი, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ღარიბთა კრებებზე. მე მგონია, ყრილობაზე ამ საკითხზე ლაპარაკი არ ღირს, რადგან ამ უკანასკნელ დროს განმავლობაში საკმაო ინსტრუქციები იყო, თუ როგორ უნდა მოვიწვიოთ ხოლმე ღარიბთა კრებები, ვის მივაღებინოთ მაში მონაწილეობა და როგორ ჩავატაროთ ისინი.

მართალია, ისეთი კურიოზებიც გვხვდება, როცა, მაგ.: ერთ ადგილას სურვილი გამოსთქვეს, რომ კულაკებს მონაწილეობა მიეღოთ ღარიბთა კრებებზე და საბუთად ისიც დაასახელეს, რომ ეს სურთ ღარიბებსო. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთ ჩვენს ორგანიზაციას სრულებით ვერ გაურკვევია ღარიბებთან მუშაობა.

ამ საქმეში ბოლო უნდა მოეღოს ყოველგვარ გაუგებრობას, ჩვენ ვამბობთ, რომ კულაკის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ, საშუალო შეძლების გლეხი ჩვენი მოკავშირეა, ყოველნაირად ვეხმარებით მას, ღარიბს კი მაღლა ვწევთ. რასაკვირველია, ჩნდება ზოგიერთი ტეხნიკური საკითხი; როგორ მოვიქცეთ, მაგალითად კენჭის ყრის დროს? ზოგი ამბობს, რომ საშუალო შეძლების გლეხს სულ არ უნდა მივსცეთ კენჭის ყრის უფლებაო. რა თქმა უნდა, შეიძლება კრება გავმართოთ და ამ კრებაზე განმარტება მივცეთ დამსწრეებს, მოხსენებანი წავიკითხოთ და სხვ.; რადგან არის ისეთი საკითხები, რომლებიც კენჭის ყრას არ მოითხოვენ. მაგრამ არის საკითხებიც, რომელთა გადასაწყვეტად კენჭის ყრა საჭიროა.

მოდით გავერკვეთ, თუ რანაირია ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტის დროს საშუალო გლეხს არ შეუძლია კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღოს. მაგალ., იმ საკითხების გარშემო, რომლებიც ეხება მხოლოდ ღარიბებს, საშუალო გლეხკაცობის აქტივს შეუძლიან მონაწილეობა არ მიიღოს, მაგრამ, მე ვფიქრობ (ეს ჩემი პირადი აზრია, რომელსაც მე ძალიან არ ჟამოვეკიდები), რომ საქართველოს პირობებში არ შეიძლება საშუალო გლეხს კენჭის ყრის უფლება წავართვათ; ამ გარემოებას შეუძლიან სრულებით ჩამოგვაშოროს იგი (ხმა ადგილიდან: მართალია).

ზოგიერთი ამბობს, რომ შეიძლება ღარიბი გლეხი საშ. გლეხის გავლენის ქვეშ მოყვეს, მაგრამ რაღას აკეთებენ პარტია და მისი ორგანიზაცია? მე ვფიქრობ, რომ ყველაზედ სწორი ის იქნებოდა თუ ამ საკითხში გარკვევას თვით ადგილობრივ ორგანიზაციებს მივანდობდით. ზოგიერთი ამხანაგები—ქუთაისელები ამ მხრით უეჭველად აჭარბებენ. ამას არავითარ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ღარიბთა ხელმძღვანელობის დარგში ჩვენ გვაქვს პარტიის ცეკას მითითება და დირექტივები. რას ვაკეთებთ ღარიბებისათვის? ჯერ-ჯერობით, როგორც ვიცით, მატერიალურის მხრით ცოტაა გაკეთებული, რადგან ეს საკითხი დიდი ხანი არ არის, რაც აღიძრა: ჩვენ მხოლოდ შარშანდელი წლიდან გვაქვს ღარიბთა ფონდები, თუმცა, მართალია, ისე მცირეა ეს ფონდები; მაგრამ ზოგიერთი რამ მაინც გაკეთებულია და მომავალში იმედი მაქვს, მუშაობა უფრო ფართოდ გაიშლება.

უნდა აღვნიშნო ერთი დეფექტი, სახელდობრ: ღარიბ-ღატაკი გლეხობის კრებებს ქალები არ ესწრებიან, შეიძლება ითქვას 99 პროცენტით და ეს კი მეტად ცუდი საქმეა.

ამ საკითხზე ქვემოდ უფრო დაწვრილებით შევჩერდები, აქ კი საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ საჭიროა ამ კრებებზე რაც შეიძლება მეტი ქალები, იღებდენ მონაწილეობას (ხმა ადგილიდან—რას შვებიან ქალთა ორგანიზაციები?) მარტო ქალთა ორგანიზაციები არ კმარა. პარტიამ თავის ამოცანათ უნდა დაისახოს ქალების აქტიურად ჩაბმა მუშაობაში, მაგრამ ამაზე შემდეგ.

როგორია ღარიბ-ღატაკთა ფონდი ჩვენში? სულ იყო 275 ათასი მანეთი, ხოლო მთელ საქართველოში ჩვენ გვაქვს ღარიბთა 222.000 მეურნეობა. შედგენილ იქნა განსაკუთრებული კომისია, რომელიც იმის მიხედვით, თუ რამდენია ღარიბთა მეურნეობა აფხაზეთსა, აჭარისტანსა და სამხრეთ-ოსეთში,—ანაწილებდა ფონდს. აქ სასტიკად დაცულ იქნა პროპორცია იმასთან, რაც ადგილებზე იყო.

რასაკვირველია, ღარიბებს კოოპერაცია დახმარებას უწევს. ეს თქვენ იცით. ჩვენ პრაქტიკაში შემოვიღეთ, რომ ღარიბებს კოოპერაცია თავის ხარჯზე სწერს წევრებად.

საერთოდ კი ღარიბთათვის მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლად ვერ არის დაყენებული. მოჯამაგირეთა საქმეც ვერ არის რიგიანად, თუმცა აქაც გვაქვს უეჭველი წარმატება. მოჯამაგირეები ფრიად ცუდ მდგომარეობაში არიან და ძალიან ძნელია მათი ჩათრევა საქმიანობაში, მაგრამ მაინც კეთდება ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია კოლექტიურ ხელშეკრულებათა დასადებად, მათი საჩივრების გასარჩევად, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ, საგანმანათლებლო მუშაობისათვის და სხვ. უნდა ითქვას, რომ 1924 წლის შემდეგ, როდესაც ჩვენ საამისო მუშაობა პირველად დავიწყეთ, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ არ შეიძლება ეს საკმარისად მივიჩნიოთ.

ქალთა შორის მუშაობა

ახლა მე მინდა შევეხო ქალთა შორის მუშაობას. უწინარეს ყოვლისა ავიღოთ საამისო ციფრები. 1924 წლის 1 იანვრისათვის ჩვენს პარტიაში იყო 544 ქალი. 1925 წ. 1009; 1926 წ. 1.329; 1927 წ.—1.610. ეს რომ პროცენტებად გამოვხატოთ მივიღებთ შემდეგ ციფრებს წლების მიხედვით: 4,8 პროც.; 5,5 პროც.; 5,6 პროც.; მაშასადამე, აქ არის გარკვეული ზრდა; როგორც აბსოლუტური, ისე შედარებით, თუმცა სრულიადაც არაა საკმარისი. ამხანაგებო, მე მგონია, უყულად შეუძლებელია მომავალში ქრძოვ ასეთი მდგომარეობის დატოვება, საჭიროა გაცხოველოთ ჩვენს პარტიაში ქალების, სახელდობრ — მუშა-ქალებისა და გლეხის ქალთა ჩაბმის გაძლიერება.

ეს ჩვენი ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანათაგანია. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ ძველი ცრუმორწმუნოების ძირიანად აღმოფხვრა. ქალთა ყრილობის შემდეგ ამხ. რიკოვი ერთ-ერთ თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ არის განხორციელებული ქალების გათანასწორება, რომელიც აღიარებული იყო რევოლიუციის დაწყებიდანვე, ჩვენს დეკრეტებში და დადგენილებებში ყველაფერი თავის რიგზეა, მაგრამ ცხოვრებაში, პრაქტიკულად, ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. ამას მრავალი ფაქტი მოწმობს. თუმცა უნდა ითქვას, რომ მიღწევები უსათუოდ გვაქვს. მაგალითად, მუშაობა ქალ-დელეგატების შორის. საბჭოების ხელ-ახალი არჩევნების დროს ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ არჩევნებში, მაგრამ მრავალ ადგილას ქალებს წინააღმდეგობას უწევენ მამაკაცები. ცხადია, ეს ძველი ნაშთია, ეს ეწინააღმდეგება საბჭოთა ხელისუფლებას და პროლეტარიატის დიქტატურას.

თუ ჩვენ ამ სფეროში ფაქტიურად არ გადავდგამთ მნიშვნელოვან ნაბიჯებს და მხოლოდ ვილაპარაკებთ თანასწორობის შესახებ, ეს შედეგს ვერ გამოიღებს.

აზერბეიჯანის ყრილობაზე, სხვათა შორის, გამოვიდა ამხ. იმკოვა, რომელმაც აღნიშნა; რომ აზერბეიჯანში ქალები არ არიან საკმაოდ ჩაბმულნი წარმოებაში, საზოგადოებრივ მუშაობაში, რომ რევოლიუციონური კანონმდებლობა საკმაოდ ვერ იცავს ქალს, უმთავრესად კორწინების საკითხში. უნდა აღვნიშნოთ,, რომ ასეთ მოვლენებს საქართველოშიაც აქვს ადგილი.

მოსახლეობის მამრობითი ნაწილი კიდევ სარგებლობს პრივილეგიური მდგომარეობით. ქალები კი დღემდე დაჩაგრული არიან. (ხმები: მართალია).

მე უნდა ვსთქვა, რომ ეს შეეხება არა მარტო მოქალაქეებს საერთოდ, არამედ კომუნისტებსაც (ხმები: „მართალია“). ეს არ ვარგა.

თქვენ გახსოვთ ალბათ, რომ მე-4 ყრილობაზე გამოვიდა ამხ. ბაგრატაშვილი, მან ბევრს გაახსენა აქ და მათ შორის მეც გამახსენა,, რომ ქალებზე არავის ულაპარაკნია; ის ამბობდა, რომ ამხანაგები ქალების შორის მუშაობას მეტად გულ-გრილად ეპყრობიან. ყოველი დადგენილება მხოლოდ ქაღალდზე რჩებაო.

ის შემდეგ ამბობდა, რომ კომუნისტები არავითარ ნაბიჯს არ სდგამენ ამ მიმართულებით, არ იძლევიან მაგალითს და პირიქით, საშუალებას არ აძლევენ თავისიანებს მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში ამ გზით განახორციელონ თავიანთი უფლებები. ამხ. იაგორაშვილმა სთქვა: „ჩვენ მუდამ ვცდილობთ აღვადგინოთ ჩვენი უფლებები, მაგრამ პარტიულ ამხანაგების წყალობით ვერაფერს გავხდებართ“-ო. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს განცხადება თუ 100 პროც. არა, 50 პროც. და თითქმის 60 პროც. სინამდვილეა. როგორ უნდა იმუშაოს ქალმა სოფლად, თუ მას დახმარებას არ უწევენ პასუხისმგებელ ამხანაგთა ცოლები. ამ მხრივ კომუნისტებმა უნდა აჩვენონ პირველი მაგალითი, უამისოდ ქალს არავითარი მუშაობის წარმოება არ ძალუძს სოფლად.

მე მაქვს ამას წინად მომხდარ მდივნების თათბირის ოქმიდან ამონაწერი. ამ ოქმიდან სჩანს, რომ მუშაობა ქალთა შორის თუ სრულიად არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში მეტად სუსტია.

ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ კიდევ ერთი სამწუხარო მოვლენა. ერთი ამხანაგი ეკითხება კონტროშის თემის უჯრედის მდივანს: „გვითხარით, თუ შეიძლება, დადიან თუ არა ჩადრით პარტიის წევრთა ცოლები?“-ო. მდივანმა უპასუხა: „მე ვერ დავფარავ, რომ დადიან, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს ძალდატანებით მოვხსნათ მათ ჩადრი“. ამხანაგებო, ამას აცხადებს პარტიის წევრი. სხვისი რა მოგახსენოთ და თურქის ქალი წინააღმდეგი არ იქნება ჩადრის ჩამოხდის. ჩადრი ხომ მონობის ნიშანია, შემოღებული და დაცული მამაკაცების მიერ. წარმოუდგენელია, რომ მუსლიმანი ქალი განთავისუფლების წინააღმდეგი იყოს.

თუ კომუნისტი ამბობს, რომ მას არ შეუძლია აიძულოს თავისი ცოლი მოხსნას ჩადრი, ეს არაფრად არ ვარგა (ხმა ადგილიდან: ის არის „კომუნისტი“ ბრჭყალებში).

მაგრამ, როდესაც ზოგიერთი კომუნისტები საშუალებას არ აძლევენ თავის ცოლებს, ქალიშვილებს, დებს და სხვ. იმუშაონ საზოგადოებრივ და პარტიულ ორგანიზაციებში, ეს იმასვე ემსგავსება, რასაც ჩვენ ვამჩნევთ ჩადრის მოხსნის საქმეში. პარტიამ თავის დროზე უნდა გამოაფხიზლოს ასეთი ამხანაგები.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ეხლა რამდენიმე სიტყვა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. მიუხედავათ იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საქმეში შეტანილია მრავალი გაუმჯობესებანი, ჩვენ გვესმის ხოლმე აქა-იქ საყვედური, უკმაყოფილება. ამის უარყოფა შეუძლებელია. რასაკვირველია, ოპოზიციის განცხადება იმის შესახებ, რომ მთელი ეს გადასახადი ღარიბს აწვება კისერზე, თავიდან ბოლომდე სიცრუეს, ჭორს წარმოადგენს, მაგრამ ჩვენ მაინც სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ უკმაყოფილების შემთხვევებს. სხვათა შორის, ფრიად დამახასიათებელ მითითებას იძლევა ამ მხრივ ფინსახკომი ამხ. მგალობლიშვილი. აღნიშნავს რა უეჭველ გაუმჯობესებას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების საქმეში, ის ამბობს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სუსტი მეურნეობები დატვირთული არიან გადასახადით და, პირიქით, მდიდარი, ძლიერი მეურნეობანი კი თავისუფლდებიან ამ გადასახადისაგანო. რით უნდა აიხსნას ეს მოვლენა? ცხადია, ამაში დამნაშავე არ არიან ცალკე ამხანაგები, არამედ ეს თვით კანონის ნაკლია, რაც მდგომარეობს მეამულეთა კვალობაზე გადასახადის გაწერის პრინციპში. ამ პრინციპის შედეგად, რომელსაც, უნდა ითქვას, რომ მე დიდათ არ თანაუგრძნობ, ხდება ის, რომ მეამულებს ისე უყურებენ, როგორც უარყოფით ელემენტებს; უმრავლეს შემთხვევებში კი მეამულები წარმოადგენენ დადებით მოვლენას, ვინაიდან ისინი იგივე მუშები არიან და თავის მუშაობით ზრდიან და აძლიერებენ მეურნეობას.

რა ხდება სინამდვილეში? გლეხები გაკვირვებას გამოსთქვამენ: რატომ არის, რომ პეტრეს მეურნეობა, სადაც ორი მეამულეა და შემოსავალი კი 150 მანეთი, 14 მანეთით იბეგრებაო, ხოლო ივანეს მეურნეობა, სადაც შემოსავალი 240 მანეთს უდრის და მეამულე კი ათი ითვლება, გადასახადისაგან თავისუფლდებაო? ეს სწორი არ არის. ეს უპირატესობის დაბეგვრას იწვევს. ამას წინად მოსკოვში გამართულ თათბირზე ამას ანგარიში გაუწიეს. ახლა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონში ზოგიერთი შესწორება შეაქვთ იმ მხრით, რომ მეამულე ყველა შემთხვევაში არ ითვლება, როგორც უარყოფითი მოვლენა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ტეხნიკის მხრივ მდგომარეობა აშკარათ გაუმჯობესებულია. დარჩა მხოლოდ წვრილმანი ხასიათის ნაკლი, რომელთა ერთბაშათ აღმოფხვრა ძნელი საქმეა.

ტყის საკითხი

მინდა შევჩერდე კიდევ რამდენიმე მომენტზე.

პირველ ყოვლისა ტყის საკითხზე. ჩემის დაკვირვებით ვიცი, რომ გლეხები უკმაყოფილონი არიან იმ მდგომარეობით, რომელიც ამჟამად ტყის საქმეშია, აქედან წარმოსდგება ტყის ჩეხვა და სხვა.

ჩვენ გვმართებს კოდექსის ზოგიერთი მუხლის შეცვლა.

საძოვრები

შემდეგ საძოვრების საქმე. ცხადია, ძნელია ყველა ნაკლის არიდება, რომელიც კი საძოვრის საქმეში არის, მაგრამ უკვე ბევრი რამ არსებითი გაუმჯობესებაა მიღწეული. ახლა უკვე აღარაა ისეთი დავა საძოვრების შესახებ, როგორც წინად.

გადაწყვეტილი იყო, რომ ტყეებისა და საძოვრების საქმე ერთ ორგანოს ხელში ყოფილიყო თავმოყრილი, მაგრამ ჩვენში ამ საქმეს ჯანმრთელობის კომისარიატიც კი მისდევს. იმის მაგივრად, რომ საავადმყოფოები აშენოს და ხალხს უწამლოს, იგი საკურორტო ხაზით საძოვრებისა და ტყეების საქმეს უძღვება. ჩემის ფიქრით, საჭიროა დადასტურდეს დადგენილება მთელი სატყეო და საძოვრის საქმის გადაცემის შესახებ ერთი უწყების ხელში, ყოვლად დაუშვებელია, (რომ საკურორტო სამმართველო სწყვეტდეს) ამგვარ საკითხებს.

გზები

გზების საკითხის შესახებ. ეს საკითხი ჩვენში ძალიან მწვავედ სდგას.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ზოგი რამ ამ სფეროში გავაკეთეთ, გასაკეთებელი მაინც ბევრი რამ დაგვრჩა. ჩვენ გვაქვს ცენტრისაგან მოწყვეტილი მთელი რაიონები. ცხადია, ყოველმხრივ უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივი მოსახლეობის საგზაო ბეგარა. ჩვენში არის საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მარაგი. სადაც კი ეს შესაძლებელია, რასაკვირველია, საგზაო ბეგარა უნდა გამოვიყენოთ. აქ ბევრი დეფექტებია იმ მხრით, რომ გზატკეცილების სამმართველო სრულებით ანგარიშს არ უწევს სხვა ორგანოებს.

გზატკეცილების სამმართველო თავის თავზე ხარჯავს 99 პროცენტს მთელი იმ თანხისას, რასაც იგი ღებულობს, უმთავრესად სოფლად და სამაზრო ადგილებში. ც. კ. უსათუოდ უნდა დაევალოს დასვას ეს საკითხი სესიაზე, რომ საბოლოოთ გამოვარკვიოთ თუ რისი გაკეთება შეგვიძლია.

წყალი

წყლის საკითხი მე აქ მესმის არა როგორც რწყვა, არამედ როგორც უზრუნველყოფა მოსახლეობისა სასმელი წყლით. ეს საკითხი ძლიერ მწვავეთ სდგას. მე ვფიქრობ, რომ მომავალში ც. კ.-ს უნდა დაევალოს ამ საკითხის მოგვარება,—იმიტომ რომ ჩვენ ხშირად უბრალო წყალსადენის გაყვანასაც ვერ ვახერხებთ ხოლმე.

სავალდებულო დაზღვევა

აგრეთვე საჭიროა სავალდებულო დაზღვევის ჩატარება. სახელმწიფოებრივი დაზღვევის პრინციპის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, არავინ არის, მაგრამ ამ დარგში ერთგვარ აჩქარებას ჰქონდა ადგილი, ამ ცოტა ხნის წინათ. ეს საკითხი აღძრული იყო აჭარისტანში და ზოგ სხვა ადგილებზედაც. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს გამოცდილება ამ დარგში, მე ვფიქრობ, რომ ც. კ.-ს უნდა დაევალოს სათანადო მასალის დაგროვება და არსებულ დეფექტების გამომჟღავნება. ამ დარგში პარტიას და ხელისუფლებას ცოტა რამ აქვს გაკეთებული.

ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

ეხლა გადავალ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაზე, ალბათ ამის შესახებ ამხანაგები კამათის დროს იტყვიან რამეს და მიგვითითებენ ჩვენ ცენტრალურ ორგანოთა დეფექტებზე, მაგრამ მაზრებიც არ უნდა იქნეს დავიწყებული, სადაც ადგილი აქვს ხოლმე საქმის გაჭიანურებას და რევოლიუციონურ კანონების დარღვევას. ამათში რასაკვირველია არ არიან დამნაშავე არც ამხ. ვარძიელი და არც მისი თანაშემწენი. ზოგჯერ საქმეები წყდება არა საბჭოსებურად, ზოგჯერ კანონის მხოლოდ მშრალ შინაარს იცავენ, ამათში კი, ჩვენ ვხედავთ საბჭოთა სამართლის დარღვევას. საჭიროა, რომ მოსამართლე შეგნებულად, და არა ფორმალურად, ეპყრობოდეს მასზედ დავალებულ საქმეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შეიძლება საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟი იქნეს შელახული. ზოგჯერ სასამართლოებში გამოაქვთ ხოლმე დაუშვებელი დადგენილებანი, დამყარებული კანონის მხოლოდ მშრალ შინაარსზე.

ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. უკანასკნელი საკითხი, რომელსაც მე მინდა აქ ხაზი გაუსვა, ეს არის მიწის კოდექსის საკითხი.

მიწის კოდექსი

თქვენ, ამხანაგებო, ალბად გახსოვთ, რომ ერთ დროს ჩვენ დავაწესეთ ნახევარი მიწის ნორმა მუშა-მოსამსახურეების ზოგიერთ კატეგორიებისათვის. ეს მეტად მძიმე პერიოდი იყო 1922 წელი, როცა ჩვენ არ შეგვეძლო მუშა-მოსამსახურეების უზრუნველყოფა ხელფასით. იძულებული გავხდით დათმობაზე წავსულიყავით და მუშა-მოსამსახურეებისათვის მიგვეცა მიწის ნახევარი ნორმა. ხშირად გლეხსაც არა აქვს ნახევარი ნორმა.

მე ვამბობ, რომ ც. კ.-ს უნდა მიენდოს ამ საკითხის გადასინჯვა (ტაში), შესწავლა შეძენილ გამოცდილების და კოდექსში შესაფერ ცვლილების შეტანა.

⁂

მე დავასრულე. რა თქმა უნდა, მე არ შემეძლო შევხებოდი ბევრ საკითხს, იმიტომ, რომ თქვენც დაიღალეთ და მეც. ვფიქრობ, რომ კამათის დროს, ამხანაგები, შეეხებიან ჩემს მიერ გაურჩეველ საკითხებს; მე კი ვეცდები საბოლოო სიტყვაში შევეხო ამ საკითხებს.

ჩემი მოხსენების თეზისები, როგორც მე უკვე მოგახსენეთ, არსებითად სწორია, მაგრამ ალბად საჭიროებენ ერთგვარ ცვლილებას. ამხანაგებს შეუძლიათ ამ საქმის გაკეთება. მე თვითონ უნდა წარვუდგინო ცეკას წინადადებათა მთელი რიგი სასოფლო-მეურნეობის ხუთწლიან გეგმის შესახებ. მე ამას შევასრულებ.

საერთოდ ჩვენი მდგომარეობა გაუმჯობესდა წინა წლებთან შედარებით. პარტიულ და საბჭოს მუშაობის ყველა დარგში ჩვენ წინ მივდივართ სოციალიზმისაკენ.

დარწმუნებული ვარ და ვიმედოვნებთ, რომ ამ ყრილობიდან გამოვალთ უფრო ძლიერი რწმენით და მივაღწევთ მიზანს, რომელიც ჩვენ დავისახეთ ათი წლის წინათ, როდესაც ძალაუფლება მუშათა კლასის ხელში გადავიდა. (მქუხარე და ხანგრძლივი ტაში).

18 ნოემბრის საღამოს სხდომა

კრებას ესწრება საკავშირო კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პარტ-კოლეგიის თავმჯდომარე ამხ. სოლცი. საამ კრება კამათზე გადავიდოდა, პრეზიდიუმი რიგს გარეშე აძლევს სიტყვას ამხ. სოლცს. რომლის ტრიბუნაზე გამოსვლას ყრილობა ხანგრძლივ ოვაციებით და ფეხზე ადგომით ეგებება.

ამხ. სოლცის სიტყვა

მივესალმები საქართველოს კომუნისტურ პარტიის მეხუთე ყრილობას (ტაში). პარტიული ყრილობები მთელ კავშირში არაჩვეულებრივ პირობებში მიმდინარეობენ. დღევანდელ მომენტს ორი მოვლენა ახასიათებს: ჩვენ ოქტომბრის რევოლიუციას, ჩვენს ბრძოლასა და გამარჯვებას შეუსრულდა ათი წელი. ჩვენ გვაქვს პარტიაში ისეთი მოვლენა, როგორსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია. არ ღირს განმეორება იმის, რაც უნდა ვთქვათ ჩვენ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე. თქვენ ალბად იმდენი მოგისმენიათ ამის შესახებ, რომ კიდეც მოგწყინდათ მოსმენილის განმეორებით სმენა. არც შინაპარტიულ საკითხებზე ღირს დაწვრილებით შეჩერება. ეხეც ალბად საკმაოდ გაირჩა თქვენს პარტიულ კრებებზე, კონფერენციებზე და ყრილობებზე.მე მინდა ამ უარყოფითი მოვლენიდან აღვნიშნო ის დადებითი მხარე, რომელიც მას უსათუოდ აქვს. პარტიამ და თვითეულმა მისმა წევრმა ოპოზიციის გამოსვლის შემდეგ იგრძნეს საშიშროება, რომელიც მოელოდა ჩვენ მთლიანობას. პარტია გამოცოცხლდა, ამოძრავდა. მან მეტი აქტივობა გამოიჩინა, მას მეტი ინტერესი დაეტყო საკუთარ ბედ-იღბლისადმი, ვიდრე ეს წინად იყო.

ჩვენ ვაძევებთ პარტიის რიგებიდან ბევრ ისეთებს, რომლებთანაც ათეულ წლობით გვიმუშავნია და შეგვიქნია პარტია.

ეს რასაკვირველია ერთგვარ უკმაყოფილებას იწვევს, მაგრამ ამნაირი გრძნობა გაივლის და დარჩება იშვიათი პარტიული პატრიოტიზმი, რომელმაც თავი იჩინა შინა-პარტიულ უთანხმოების დროს. ბოლშევიკური პარტია იჭედებოდა საკუთარი შეხედულებათა და ხაზის დაცვისათვის ბრძოლაში, პარტია დიდ სურვილს იჩენდა, რომ მშვიდობიანად მოეგვარებია უთანხმოება ოპოზიციასთან, მაგრამ ეს არ მოხერხდა. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში პარტიას აკლდა პასუხისმგებლობის ის გრძნობა, რომელიც საჭირო იყო ჩვენი რიგებისათვის. კრებები მოდუნებულად მიმდინარეობდა. ამხანაგები ფიქრობდენ: არის ზევით ხელმძღვანელები, ძალა-უფლება დაპყრობილი გვაქვსო და ამიტომ თავს არხეინად გრძნობდენ.

მაგრამ, როდესაც გამოირკვა, რომ პარტიას საშიშროება მოელის, ჩვენთვის აშკარა შეიქნა თუ რა ძვირფასი ყოფილა ყოველი ბოლშევიკისათვის პარტიის ინტერესები, როგორც საზოგადოდ, ამ შემთხვევაშიაც ჩვენ მივმართეთ პარტიას და მუშებს. ჩვენ შევეცადეთ გამოგვერკვია, თუ როგორია დამოკიდებულება პარტიისადმი არა მარტო პარტიის წევრებისა, არამედ მთელი მუშათა კლასის. ჩვენ მივმართეთ მუშებს და წინადადება მივეცით მათ. სწორედ ასეთ მომენტში შემოსულიყვნენ პარტიაში დიდი რაოდენობით. აქამდე მუშებს ჰქონდა ასეთი გრძნობა: რათ გვინდა პარტიაში შესვლა, არ არის ასეთი აუცილებელი საჭიროება. პარტიას არაფერი არ ემუქრება, არაფერი გასაჭირი არ ადგია, რატომ წავიდეთ და შევასრულოთ რაღაც ფორმალობა, ვეძებოთ რეკომენდაციები, ვიხადოთ პარტიული გადასახადი. ჩვენ ხომ ვმუშაობთ და მივდივართ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად. ეხლა კი მუშები ხედავენ, რომ არც ისე უბრალოდაა საქმე, რომ ჩვენი პარტიის, ჩვენი აღმშენებლობის მდგომარეობა არც თუ ისეთია, რომ ჩვენ შეგვეძლოს ჯდომა და გულხელ დაკრეფით ყოფნა. მდგომარეობა კომუნისტებისაგან მოითხოვს მეტ თავდადებულობას, მეტ სიმტკიცეს, მეტი სიმაგრის გამოჩენას, ვიდრე ეს იყო წინად.

ალბად პარტიის დიდ უმრავლესობამ იგრძნო ეს და მათთან ერთად განიცადა ასეთივე სულიერი განწყობილება მუშათა მასსებმა. სწორედ ამით აიხსნება ახალი კადრების ლტოლვა პარტიისაკენ, რომლებმაც ჩვენ უნდა მოგვეხმარონ და შეგვივსონ ის დანაკლისი, რასაც ადგილი აქვს დღეს, როცა ბევრმა ამხანაგებმა, რომელნიც ჩვენთან მუშაობდენ, დღეს ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს თავიანთი თავი, რომ პარტიის გარედ მოექცნენ.

საქმე იმაში არ არის, ამხანაგებო, რომ ვიკამათოთ ცალკე საკითხებზე. საქმე იმაშია, რომ პარტიაში უნდა იმუშაონ პარტიულად, უნდა დაემორჩილონ უმრავლესობას, უნდა გეჭიროს

თავი ამხანაგურად. როცა ეს გრძნობა იკარგება, როცა ესა თუ ის ამხანაგი თავის თავს უპირისპირებს პარტიას, როცა ისინი არ გრძნობენ არავითარ საწყენს თავისი ანტი-პარტიული მოღვაწეობისათვის, როცა მათ არაფრად არ მიაჩნიათ წესდება, როცა ისინი ფიქრობენ, რომ შეიძლება გაატარონ ის, რაც თვითეულ მათგანს თავისებურად სწორად მიაჩნია და გაატარონ პარტიის ჩარჩოებს გარეთ, ცხადია რაც უნდა საჭირო ხალხი არ იყვნენ ისინი პარტიისათვის, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია მათი დატოვება პარტიაში.

ყოფილა შემთხვევები, როდესაც პარტიის მასწავლებელი გადამწყვეტ მომენტში წასულა პარტიიდან, ჩვენ გვყავდა მასწავლებელი პლეხანოვი, რომელიც ჩვენ ყველას გვასწავლიდა. შემდეგ კი, გადამწყვეტ მომენტში, ის წავიდა ჩვენგან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძალიან ბევრი იმათგან. ვინც წავიდა ჩვენი პარტიის რიგებიდან, აღიარებს თავის შეცდომას და დაბრუნდება პარტიაში. ჩვენ მხოლოდ გაგვეხარდება ეს. ყველაფერი მხოლოდ მათზეა დამოკიდებული. ჩვენ დიდი მოთმინება გამოვიჩინეთ, ჩვენ ძალიან ხშირად ვამბობდით, რომ მზადა ვართ დავივიწყოთ და ვიცდიდით კიდეც, ვფიქრობდით შეიძლება მათ იგრძნონ თავიანთი შეცდომებიო, მაგრამ ჩვენ მივედით იქამდე, რომ ვუთხარით არა მარტო მათ, არამედ ყველა მუშას, რომ პარტიაში ვერ დარჩება ის, ვინც არ სცნობს თავისთვის სავალდებულოდ დაემორჩილოს პარტიის გადაწყვეტილებას, ის არ სცნობს თავს ვალდებულად დაემორჩილოს პარტიის დისციპლინას და წესდებას. მათზე არის დამოკიდებული ყველა ამ საკითხების გადაწყვეტა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ამ ჩვენი კრებებიდან, ყველა კონფერენციებიდან, ყველა ყრილობებიდან და მე-15 ყრილობიდან, რომელიც იქნება უკანასკნელი აკორდი, პარტია გამოვა კიდევ უფრო გამაგრებული, კიდევ უფრო შეგნებული, კიდევ უფრო შემჭიდროებული, ვიდრე ის იყო აქამდე. (ხანგრძლივი ტაში).

ხაშურის მუშების მისალმება

პრეზიდიუმი აცხადებს, რომ ხაშურის მუშებისაგან მოსულია დელეგაცია მისასალმებლად. სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა ამხ. ღოღაძეს. ყრილობა ფეხზე ადგომით ოვაციებს უმართავს ხაშურის დელეგაციას, რომელიც თანვე გამოაქვს ტრიბუნასთან ყრილობისათვის გადასაცემად წითელი დროშა.

ამხ. ღოღაძე

ამხანაგებო ხაშურის 2.500 მუშა-მოსამსახურის სახელით მხურვალე სალამი საქართველოს კომუნისტურ პარტიის მეხუთე ყრილობას (ხანგრძლივი ტაში). ამხანაგებო, ჩვენ, ხაშურის უპარტიო მუშები, მუდამ თქვენთან ვიქნებით, ჭირშიც და ლხინშიც გვერდში გედგებით (ტაში).

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტური პარტიის მეხუთე ყრილობას. გაუმარჯოს 7 საათის სამუშაო დღეს! გაუმარჯოს სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში! (ტაში).

შემდეგ სიტყვა მისალმებისათვის ხაშურის დელეგაციიდან ღებულობს ამხ. ახალკაცი, რომელიც ლექსებით ამბობს მისალმებას ყრილობისადმი. ყრილობა მხურვალე ტაშით ეგებება ამხ. ახალკაცის მისალმებას.

ამხ. ვანო სტურუას პასუხი

თავმჯდომარე ამხ. ვანო სტურუა საპასუხო სიტყვას ამბობს ხაშურის დელეგაციის მისალმებაზე და ღებულობს დელეგაციის მიერ მიძღვნილ წითელ დროშას, რის შემდეგ ყრილობა გადადის კამათზე ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენების გარშემო.

კამათი ამხ. მახარაძის მოხსენების გარშემო

ამხ. ფირალოვი

მომხსენებელი ამხ. ფილიპე თავის სიტყვაში საკმაოდ ვრცლად არ შეეხო წერა-კით. უცოდინარობასთან ბრძოლის საკითხს. ამავე დროს ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლად. წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ ბევრი ღარიბი ახალგაზრდა, მოწყურებული სწავლას, მოილტვის ქალაქისაკენ, რადგან სოფლად არ მოიპოვება მაღალი ტიპის სკოლა, სადაც შეეძლება მეცადინეობა წერა-კითხვა ახლად შესწავლილ გლეხს. გარდა ამისა სოფლად ცუდ მდგომარეობაშია ბიბლიოთეკები. საჭიროა შეიქნას ბიბლიოთეკების ბაზები, საიდანაც ქოხ-სამკითხველოები მიაწოდებენ საჭირო ლიტერატურას.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ სოფლის შემდეგი მტკივნეული საკითხი. სოფლად არ მოიპოვება კულტგანათლების დარგში მომუშავეთა საჭირო კადრები. ჩვენი კლუბები და სოფლის თეატრები უმწეო მდგომარეობაშია. ისინი მოკლებულნია ყოველგვარ მხატვრულ პროდუქციას. აქ გავრცელებულია ხალტურა. არავითარი ხელმძღვანელობა იმისათვის, რომ ჩვენ თეატრებმა მისცენ სოფელს იდეოლოგიურად გამართლებულ და მხატვრულად დამაკმაყოფილებელი სულიერი საზრდო არ არსებობს.

არც ფიზკულტურის საქმეა სახარბიელო მდგომარეობაში. მართალია არსებობს წრეები, მაგრამ მათ არ გააჩნიათ სათანადოდ მომზადებული ინსტრუქტორები. ასეთვე ითქმის რადიოზე. ჩვენი რადიო-აპარატების მხოლოდ 80 პროც. მუშაობს. ეს იმიტომ, რომ ჯერ ერთი, თვით ეს აპარატები იყო მდარე ხარისხის. გარდა ამისა პოლიტგანს არ გააჩნია სათანადო მომზადებული მუშაკები, რომლებიც შეუწყობენ ხელს რადიოს ნორმალურად მუშაობას.

უნდა ითქვას კიდევ რამდენიმე სიტყვა გლეხთა ექსკურსიების შესახებ. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, რომ საქართველოს გლეხმა იმოგზაუროს აზერბეიჯანში, სომხეთში და სხვ. გაეცნოს იქაურ ყოფა-ცხოვრებას, სამეურნეო მუშაობის ფორმებს და, რაც კარგი იქნება გადმოიღოს თავის მეურნეობაში.

ცუდი მდგომარეობაა აგრეთვე სოფლად კინო-სურათების მხრივ, თუ რაიმე ქალაქში არ გამოდგება, ყველა სოფლებში იგზავნება. სოფლის კულტურულ საჭიროებას მომავალში მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ამხ. სერაფიონ ნამჩევაძე
(ქუთაისი))

სოფლის ერთ მტკივნეულ საკითხს, როგორც მოგეხსენებათ, წარმოადგენს მიწის საკითხი. ამ მხრივ ჩვენს მაზრაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ზოგიერთ თემებში თქვენ წააწყდებით ისეთ შემთხვევებს, რომ მიწის რეფორმა იქ ჯერაც არ არის გატარებული. მიწათმოწყობა ნელი ტემპით მიმდინარეობს. მთელ ქუთაისის მაზრაში ოთხი მიწისმზომელი მუშაობს. ეს ხომ ზღვაში წვეთია? ასეთ მდგომარეობას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ორიოდე სიტყვა სახელმწიფო დაზღვევის შესახებ. დაზღვევა საჭირო და აუცილებელია, ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ არ უნდა ხდებოდეს ისე, რომ სახელმწიფო დაზღვევას მოსახლეობამ უყუროს, როგორც მეორე გადასახადს. გარდა ამისა თვით დაზღვევა თანხები უფრო მიზანშეწონილად უნდა ნაწილდებოდეს. ამ შემთხვევაში საჭიროა საზომად აღებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

ამხ. ნადია გვახარია
(ზუგდიდის მაზრა)

თუ საერთოდ მოიკოჭლებს ღარიბთა შორის მუშაობა, მით უფრო სუსტია ის ღარიბ ქალთა შორის. გამოცდილებით ვიცი, რომ იქ, სადაც ყურადღებას აქცევდენ ღარიბ ქალთა შორის მუშაობას, ქალების აქტივობა მეტი იყო. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ქალს რცხვენია იმის გამხელა, რომ ის მოჯამაგირეა. აღრიცხვის დროს ის ამბობს,—მე შვილებული ვარ, ბიძაშვილი ვარ, დისწული ვარო და სხვა. საჭიროა მათ განემარტოს მოჯამაგირის დღევანდელი მდგომარეობა. მიწა-ტყის კავშირი ამ მხრივ სისუსტეს იჩენს.

როგორ შეიძლება გაფართოებით აწარმოო ქალთა შორის მუშაობა, როდესაც თვით პარტიული მამაკაცები არ უწყობენ ამას ხელს? ზოგიერთ მათგანს არ უნდა, რომ მისი ცოლი საბჭოს წევრი იყოს. ერთმა კომუნისტმა კიდეც განაცხადა: „თუ ჩემი ცოლი საბჭოში აირჩიეთ, სახლში არ შემოუშვებო“.

რამდენიმე სიტყვა სახელმწიფო დაზღვევაზე, სახელმწიფო დაზღვევის თანხა ზუგდიდის მაზრის გლეხობას ბევრ შემთხვევაში ცუდ პირობებში აყენებს. წელს სიმინდის მაზრაში მოსავალი მეტად ცუდი იყო. ამიტომ გლეხები ამბობენ ,ცოტა დაგვაცადონ, წელს არ შეგვიძლია სახელმწიფო დაზღვევაზე ხელის მოწერაო.

ამხ. კ. ჩხენკელი

სახელმწიფო თავისი ორგანოების საშუალებით გეგმიან გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობაზე. სოფლის მეურნეობაში იზრდება სოციალისტური სექტორი.

ერთ-ერთ ორგანოს, რომლის საშუალებითაც პროლეტარული სახელმწიფო ახდენს თავის გავლენას სოფელზე, წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. წინად ამ დარგში ჩვენ დიდი ნაკლი გვქონდა, მაგრამ დღეს სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია თანდათან უმჯობესდება. წარმოკავშირი, რომელიც დღევანდელი სოფლის კავშირის წინამორბედი იყო, ხუთი მილიონი მანეთი დაუჯდა სახელმწიფოს და ეს იმიტომ, რომ ცუდი იყო ამ ორგანოს მუშაობა. საჭიროა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას მეტი ყურადღება მიექცეს. დღეს საქართველოში 200-მდე ტრაქტორია. სოფლის მექანიზაციისათვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მეტად მწვავედ სდგას სოფლად წყლის საკითხი. ამ საქმის გარშემო შეიძლება გლეხობის ასი პროცენტით კოოპერატიულად გაერთიანება, უწყლოდ გლეხს მიწა ზოგჯერ არც კი უნდა. ჩვენში არსებობს სამელიორაციო ამხანაგობები. ამ ამხანაგობათა შემოწმების დროს გამოირკვა, რომ არ არის ხელმძღვანელობა, არაა გეგმიანობა, არაა ანგარიშ-ვალდებულიანობა და სხვა. არის მხოლოდ წესდება. ამავე დროს წყლის ფული ზოგჯერ თითო ქცევაზე 15 მანეთამდე აღწევს. ცხადია, ასეთ დიდ თანხას გლეხი ვერ გადაიხდის და ამიტომ არის, რომ გლეხებს რამდენიმე წლის ვალი აქვთ დადებული.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა დაქსაქსულ კოლექტივების გაერთიანება და მათთვის ხელმძღვანელ ორგანოების შექმნა. ასეთია მაგალითად სამანქანო ამხანაგობები, კოლექტიური მეურნეობა, სამელიორაციო ამხანაგობები და სხვა,როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ კომუნების ამა თუ იმ ნაკლზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ხშირად ეს არის სუსტი ხელმძღვანელობის ბრალი.

ამხ. შელიძე
(რაჭა)

მიწის იყიდვა-გაყიდვა ერთი საჭირბოროტო სენია ჩვენს სოფლებში, მიუხედავად არაერთხელ მიღებულ სასტიკი ზომებისა, ამ ბოროტებას მაინც შეხვდებით დღეს აქა-იქ. მიწა იყიდება იჯარის შირმის ქვეშ. ძველი აზნაურები და კულაკები აწარმოებენ მიწის მალულად ყიდვა-გაყიდვას: სასამართლოებში ეს საქმეები დროზე ვერ ირჩევა. საჭიროა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება.

საქართველოში არის მთელი რიგი მაზრები, სადაც მიწის სივიწროვე განსაკუთრებით საგრძნობია. ასეთ მაზრათა რიცხვს ეკუთვნის რაჭაც. მიწის სივიწროვესთან ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა გადასახლებას. საჭიროა ამ საქმის უფრო ფართოდ დაყენება. ამ შემთხვევაში ისეთ მაზრებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, როგორიცაა რაჭა.

რამდენიმე სიტყვა გლეხობის აქტივიზაციის შესახებ. მუშაობა ამ დარგში დღემდე საგრძნობლად მოისუსტებს. აქტივიზაცია ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს პოლიტ-განმანათლებელ მუშაობის გაძლიერებას. სამისოდ კი ადგილობრივ ორგანოებს სახსრები არ გააჩნიათ.

ამხ. ვასო ქურდაძე
(გორის მაზრა)

თქვენ ალბად გახსოვთ ამხ. ორჯონიკიძის პროექტი, რომელიც შეეხებოდა ადგილობრივ საბჭოების უფლებების გაფართოებას. რუსეთში როგორც ვიცით, ეს უკვე გატარებულია. ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს კი ჯერ ის არც კი განუხილავს. ამ პროექტის გატარებაზე დამოკიდებულია სოფლის ბევრი საჭირბოროტო საკითხების მოგვარება.

ეხლა რამდენიმე სიტყვა ჩვენი საძოვრების შესახებ. არის მთელი რიგი საძოვრები, რომელთაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საძოვრებს ეძახიან, მაგრამ სახელმწიფო ამ საძოვრებიდან შესაფერ მოგებას ვერ ნახულობს. ეგრეთ წოდებული მესამე ხარისხის საძოვრები გაცემულია იჯარათი გლეხებზე და უმთავრესად მდიდარ გლეხებზე, ე. ი. მათზე, რომელთაც ყავთ საქონელი—ცხვარი და თხა.

სამანქანო ამხანაგობათა მუშაობას აფერხებს კრედიტის მოუგვარებლობა. გორის მაზრაში 12 სამანქანო ამხანაგობა არის და ყველას მძიმე ტვირთად აწევს ვალის საკითხი. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ბანკი ვერ იჩენს ამ შემთხვევაში სათანადო მოქნილობას. არის ხშირად შემთხვევები, როცა სამანქანო ამხანაგობას უყენებენ ულტიმატუმს: ან გადაიხადე ვალი ან ტრაქტორს გაგიყიდითო.

მიწადმოქმედების კომისარიატი შესაფერი ყურადღებით არ ეპყრობა გორის მაზრას. ის ყველგან აწყობს რაიმე კულტურულ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებას. ისეთ ვეებერთელა მაზრაში კი, როგორიც არის გორის მაზრა, მას დღემდე არაფერი გაუკეთებია.

რამდენჯერ იყო შემთხვევა, რომ ჩვენ მოვწერეთ მიწადმოქმედების კომისარიატს: გამოიგზავნეთ ირიგჯა საძოვრებისათვისო. ჩვენ რომ ირიგჯა ვეთესავდეთ, საძოვრები გაცილებით უფრო მეტ სარგებელს მოგვცემდა, ვიდრე ეს დღეს არის, მაგრამ მიწადმოქმედების კომისარიატი ყურსაც არ აპარტყუნებს.

ამხ. გ. რთველაძე

ორატორის ტრიბუნაზე გამოსვლას კრება ტაშით ეგებება.

ამხანაგებო, დაიწყო ამხ. რთველაძემ, მომხსენებელმა, ამხ. ფილიპე მახარაძემ არ გააშუქა საკმაოდ სახელმწიფო დაზღვევის საკითხი.აქ გამოვიდა ამხ. გვახარია, რომელიც ამბობდა: გვადროვეთ სახელმწიფო დაზღვევის ფულის შეტანა, რადგან წელს სიმინდის მოსავალი ცუდი იყოვო. ბევრს სახელმწიფო დაზღვევა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გონია. ასეთ გაუგებრობებს ამ დიდად მნიშვნელოვან საკითხში ბოლო უნდა მოეღოს.

ამხ. ბაბუნია
(ქუთაისი)

სახალხო სასამართლოებში მოსახლეობას არ ეძლევა საშუალება დროზე [illegible] თავის საქმის გარჩევა. ეს ხდება იმიტომ, რომ სასამართლოების ქსელი არ არის საკმაო, შტატი ამ ორგანოებისა მცირეა და [illegible] ზოგჯერ არაკვალიფიციური. რომ ამ დაბრკოლებებს სასამართლოს მუშაობაში მოეღოს ბოლო, საჭიროა მთავარი ღონისძიებები მიმართულ იქნას აღნიშნულ ნაკლულოვანებათა აღმოფხვრისაკენ.

ორიოდე სიტყვა ღარიბთა კოოპერატიულად გაერთიანების შესახებ. ბევრ შემთხვევაში მოწმე ვართ, რომ ადგილობრივი კოოპერატივები უხეშად არღვევენ საბჭოთა პრინციპებს. არის მაგალითები, როცა კოოპერაციაში ზოგჯერ ვაჭარიც კი ირიცხება და სარგებლობს კოოპერატივის წევრის ყველა პრივილეგიებით. ასე იყო მაგალითად ქუთაისის მაზრაში. საჭიროა კოოპერაციას ყოველნაირი დახმარება გაეწიოს და გაძლიერდეს მასზე ხელმძღვანელობა. კოოპერაცია უნდა გახდეს ღარიბ გლეხობის შეკავშირების ერთ-ერთი მთავარ საშუალებად სოფელში.

ამხ. ნაფეტვარიძე

ამხანაგებო, ჩვენი კოოპერაცია 1926 წლამდე მძიმე მდგომარეობაში იყო, მხოლოდ ამ წლიდან მოხდა გარდატეხა კოოპერატიულ მშენებლობაში, დაიწყო ცხოველი და გაძლიერდა ეს მუშაობა. ბევრი ადგილობრივი კოოპერატივი ისეთ მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ ის დაკეტის პირას იდგა, მაგრამ თითქმის არც ერთი კოოპერატიული შენაერთი არ გაუქმებულა. ეს მოხდა არა მარტო იმ ამხანაგების წყალობით, რომელნიც სათავეში ედგნენ კოოპერაციას, არამედ ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოების უშუალო და აქტიური დახმარებითაც.

26 წლიდან კოოპერაციაში განმტკიცდა გეგმიანი მუშაობა.

აქ ბევრი საყვედურები ისმოდა საქონლის ნაკლებობის შესახებ ჩვენს კოოპერატივებში. მე მგონია, უნდა გათავდეს ლაპარაკი თეთრეულისა და ბამბეულის ნაკლებობის შესახებ. ყველამ იცის, თუ რა არის ამის მიზეზი. (ხმები: „ცუდი განაწილების ბრალიც არის!“) შეიძლება განაწილების ბრალიც იყვეს, მაგრამ მე უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველ შემთხვევაში, აქ ცენტრალურ პუნქტზე განაწილება გეგმიანი და მიზანშეწონილია. არ ვიცი თუ რაიმე გაუგებრობას აქვს ადგილი ადგილობრივ კოოპერატიულ გაერთიანებაში.

დღეს ჩვენ უკვე ისეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ ის უნდობლობა, რომელსაც იჩენდა მოსახლეობა კოოპერაციისადმი ამ რამდენიმე წლების წინ, აღმოფხვრილია. პარტიამ ბოლო მოუღო გაფლანგვებს, როგორც მასიურ მოვლენას და კოოპერაციის სიმდიდრის მტაცებლობას. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ გლეხკაცობის ეს სულიერი განწყობილება და გავადიდოთ კოოპერატიულად [illegible] სოფლის მშრომელი მოსახლეობის რიცხვი.

სამწუხაროდ ამას ჯერ-ჯერობით ხელს უშლის კოოპერატივის ზოგიერთი ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. კოოპერაციის საბჭოების მაგალითად [illegible] თავიანთ მოვალეობას ისინი ხშირად მხოლოდ ფორმალურად არსებობენ არც სარევიზიო კომისიები იჩენენ [illegible] შემთხვევაში სათანადო აქტივობას, მათი მუშაობა ამოიწურება დროთ გამოშვებითი რევიზიებით. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

ორიოდე სიტყვა ამხ. ჯავახიძის შენიშვნის შესახებ, რომელიც თავის სიტყვაში შეეხო კვერცხის ექსპორტს და აღნიშნა, რომ სამტრედიაში მან ნახა მანიკიურიანი ქალიშვილები, რომელნიც დღეში 180 კვერცხს სინჯავენ და ამისათვის ყოველთვიურად ღებულობენ ორ მანეთსო. მე უნდა განვაცხადო ის, რომ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. თვითეული ქალი ერთ დღეში შესჭამს 180 ცალ კვერცხს, ასე, რომ წარმოუდგენელია ისეთი ფაქტი, რომელზედაც აქ ამხ. ჯავახიძე ლაპარაკობდა. ნამდვილად კი საქმე ასეა: თვითეული ქალი დღეში სინჯავს 5 ათას ცალ კვერცხს, საიდანაც ერთ კვერცხზე ზედნადები ხარჯი მოდის ერთი მეოცედანუთედი კაპეიკის რაოდენობით. ამიტომ, სანამ ამხანაგები რაიმე შენიშვნებით გამოვიდოდენ ამა თუ იმ ორგანოების მიმართ, უმჯობესია ისინი წინასწარ გაეცნონ საქმის ნამდვილ ვითარებას და მხოლოდ ამის შემდეგ იმსჯელონ ამა თუ იმ საგანზე.

—:—

მისალმებანი

ამხ. ნაფეტვარიძის სიტყვის შემდეგ, სანამ კრება დაიხურებოდა, პრეზიდიუმი აქვეყნებს მისალმებებს შემდეგი ორგანიზაციებიდან: **ჩხარის რაიონის მასწავლებელთა კონფერენცია, თელავის უპარტიო მუშა და გლეხ ახალგაზრდობის კონფერენცია, ოჩემჩირის პარტიისა და კომკავშირის აქტივის გაერთიანებული კრება.**

უცხოელი მუშები საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე

ტრანსპორტისა და მიწა-ტყის მუშაკთა საერთაშორისო კონფერენციები მოსკოვში

უცხოელი მუშები საბჭოთა კავშირს აღუთქვამენ დახმარებას მშვიდობიანი შრომის უზრუნველსაყოფად

უცხოელი მუშები მხარს უჭერენ პროფმოძრაობის მთლიანობას

სასოფლო მეურნეობის მუშების საერთაშორისო კონფერენცია

მოსკოვი, 18 ნოემბერი. მოსკოვში შესდგა სატყეო და სასოფლო-მეურნეობის მუშების საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ საფრანგეთის მუშათა უნიტარული ფედერაციის დელეგატები, ფედერაციის გენერალურ მდივნის მოადგილე—ბაუსოს მეთაურობით, ნორვეგიელ სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის დელეგატები, კავშირის თავმჯდომარე ედერგამის მეთაურობით, ფინეთის სასოფლო-სამეურნეო მუშები, კავშირის მდივან ვიზერკოსოვის მეთაურობით და აგრეთვე ესტონეთის, შვეციის, კანადის და ირლანდიის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მუშათა კავშირის წარმომადგენლები. კონფერენციას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო მუშების ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები.

კონფერენციის დელეგატებმა დიდის ინტერესით მოისმინეს მოხსენება საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მუშათა კავშირის მუშაობის შესახებ ათი წლის განმავლობაში.

განსაკუთრებული ინტერესით მოისმინეს დელეგატებმა მოხსენება მთლიანობის შესახებ, რის შესახებ მოსმენილ იქნა ორი მოხსენება—ბაუსონის (საფრანგეთი) და ენცელევიჩის.

საფრანგეთის დელეგაციის მოთხოვნილებით კონფერენციამ განიხილა აგრეთვე საკითხი ომის საფრთხის შესახებ.

ნორვეგიის დელეგაციამ ოფიციალურათ მოიწვია მიწა-ტყის კავშირის ცეკა ნორვეგიაში—ორივე ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატს შორის მეგობრული კავშირის განსამტკიცებლათ. ყველა დელეგაციებმა განაცხადეს, რომ იმ წამსვე, როდესაც ომის საფრთხე რიალური გახდება, ისინი ყოველ ზომას მიიღებენ, რათა უზრუნველყონ საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი შრომის შესაძლებლობა (ადს).

რკინის გზელთა საერთაშორისო კონფერენცია

მოსკოვი, 18 ნოემბერი. მოსკოვში შესდგა რკინის გზელთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ საფრანგეთის რკინისგზელთა უნიტარული ფედერაციის წარმომადგენლები, ინგლისისა და ირლანდიის რკინისგზელები და ავსტრიის, ამერიკის, მექსიკის და საბჭოთა კავშირის რკინის გზის მუშათა კავშირების დელეგაციები.

კონფერენციამ მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის რკინისგზელებს—დაიწყონ ბრძოლა რკინისგზელთა მსოფლიო კონგრესის მოწვევისა და მთლიანი ინტერნაციონალის შექმნისათვის. კონფერენციამ ხაზგასმით აღნიშნა ომის რეალური საფრთხე და დაადგინა შექმნას რკინისგზელთა მთლიანობის კომიტეტი სახელწოდებით: „ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან“.

ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონფერენცია

ტრანსპორტელთა საერთაშორისო კონფერენცია

მოსკოვი, 18 ნოემბერი. დაიხურა ტრანსპორტელთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ ინგლისის, ირლანდიის, საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირების დელეგატები.

კონფერენციამ მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის ტრანსპორტელებს შექმნან ტრანსპორტის მუშათა მსოფლიო ინტერნაციონალი.

ცალკე მიმართვაში კონფერენცია მოუწოდებს ყველა ტრანსპორტელებს გამოვიდენ ომის მზადების წინააღმდეგ და შესწყვიტონ სამხედრო იარაღ-მასალების დატვირთვა იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალისტები შეეცდებიან თავის სამხედრო ზრახვების განხორციელებას.

შუბლმაგართა წინადადება

ლონდონი, 17 ნოემბერი. რეიტერი იუწყება, რომ თემთა პალატის ერთ-ერთმა კონსერვატორ დეპუტატმა წამოაყენა წინადადება რუსეთიდან შემოტანილ საქონელზე გადასახადის დაწესების შესახებ იმ მიზნით, რომ ამ გადასახადიდან მიღებული თანხები გამოყენებულ იქნეს რუსეთში დაზარალებულ ინგლისელ მოქალაქეთა საკომპენსაციოთ.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ ამჟამად მას შეუძლებლად მიაჩნია ასეთი გადასახადის შემოღება. (ადს).

ბოლდუინი უკმაყოფილოა

ლონდონი, 17 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„უპასუხა რა მაკდონალდს, ბოლდუინმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ იმასთან დაკავშირებით, რაც მოხდა პალატაში (ბოლდუინს მხედველობაში აქვს მუშათა პარტიის დეპუტატების მიერ მოწყობილი ობსტრუქცია. მუშათა პარტია მოითხოვდა, რათა ლეინ ფოქსის მაგიერ ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობის საკითხზე გამოსულიყო ბოლდუინი) მას აღარ შეუძლია განაგრძოს კამათი ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობის საკითხზე. მაკდონალდმა განაცხადა, რომ ოპოზიცია მოითხოვს დანიშნულ იქნეს დღე მთავრობის ამ გადაწყვეტილების და პრემიერ მინისტრის პასუხისმგებლობის განსახილველად“.

ინგლისის კომპარტიის მოწოდება

ლონდონი, 17 ნოემბერი. როგორც ვიცით საკონსტიტუციო კანონების განხორციელების შესამოწმებლად ინდოეთში დანიშნულ იქნა საპარლამენტო კომისია. ამასთან დაკავშირებით ინგლისის კომუნისტურ პარტიის ცეკამ სრულიად ინდოეთის ნაციონალურ კონგრესის კომიტეტს მიმართა დეპეშით, რომელშიაც **აცხადებს, რომ ინგლისის მუშათა კლასის რევოლიუციონური ავანგარდი დახმარებას გაუწევს ინდოეთის ხალხთა განმანთავისუფლებელ ბრძოლას.**

დეპეშა მოუწოდებს ინდოეთის ნაციონალურ მოძრაობას არ დაენდოს ინგლისის რეფორმისტებს და ესალმება გადაწყვეტილებას კომისიისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

სამხედრო წესები კანტონში

შანხაი, 18 ნოემბერი. იაპონიის სააგენტოს ცნობით, 16 ნოემბერს ჩან-ფა-გუის ჯარები მოულოდნელად თავს დაესხენ კანტონში დაბანაკებულ ლი-ტი-სინის (კანტონის დიქტატორი) ჯარებს და განაიარაღეს ისინი. ნანკინელებთან მოლაპარაკების მიზნით ლი-ტი-სინი კანტონიდან გაემგზავრა შანხაიში. რამდენიმე დღით ადრე გამგზავრებამდე კანტონში გამოცხადდა სამხედრო წესები. სატელეგრაფო კავშირი კანტონთან შეწყვეტილია. (ადს).

ხაიფუნი—რევოლიუციონური ჯარების ხელში

შანხაი, 18 ნოემბერი. ხაიფუნის რაიონში, კანტონიდან 220 კილომეტრის მოშორებით ი-ე-ტინის რევოლიუციონურ ჯარების დარჩენილმა ნაწილებმა გლეხებთან ერთად შეადგინეს მუშურ-გლეხური რევოლიუციონური არმიის მეორე დივიზია, რომელმაც მრავალ ადგილიდან განდევნა მთავრობის ჯარები. 3 ნოემბერს გლეხებმა აიღეს ქალაქი ხაიფუნი. ხაიფუნში კომპარტიის ხელმძღვანელობით შედგენილია რევკომი, რომელიც ხაიფუნის რაიონის მუშებსა და გლეხებს მოუწოდებს აჯანყებისა და მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების შედგენისაკენ. (ადს).

შანხაიში გაფიცულია 26.000 მუშა

შანხაი, 18 ნოემბერი. უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, რომ შანხაიში გაფიცულია 26.000 მუშა და რომ ყვითელ პროფკავშირებს ძალა არ შესწევთ გაუმკლავდენ მოძრაობას, რომელსაც „ხელმძღვანელობს პროფკავშირთა არალეგალური გენერალური საბჭო“. გაფიცულთა შორის ვრცელდება კომუნისტური ფურცლები. ჩინეთის პოლიცია ქუჩებსა, სასტუმროებსა და საერთო საცხოვრებლებში აპატიმრებს ყველა „საეჭვო“ პირებს. გუშინ შანხაის სამრეწველო ცენტრში—პუტუნში პოლიციამ გარეკა მუშების მიტინგი. შეტაკების დროს პოლიციამ დაჰჭრა ორი მუშა. პუტუნში გამოცხადებულია სამხედრო წესები. (ადს).

ავსტრიის ახალი ელჩი მოსკოვში

ვენა, 17 ნოემბერი. „ნეიე ფრეიე პრესე“ იტყობინება, რომ ავსტრიის ელჩი მოსკოვში—პოლი გადადგა და მიატოვა სახელმწიფო სამსახური. მის თანამდებობაზე ასახელებენ ეგონ ხეინს.

ხეინს ამჟამათ უჭირავს საკავშირო კანცლერის პოლიტიკური ბიუროს უფროსის თანამდებობა. (ადს)

ამხ. სერებროვსკი
ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი. 17 ნოემბერი ნიუ-იორკში ჩავიდა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. სერებროვსკი. (ადს)

ალიოხინი კაპაბლანკა

ბუენოს-აირესი, 17 ნოემბერი. ალიოხინი და კაპაბლანკა შეთანხმდენ თამაშის გაუგრძელებლათ უშედეგოთ ეცნოთ მატჩის მე-30-ე პარტია, რომელიც გადადებული იყო მე-40 სვლის შემდეგ. (ადს)

ამხ. ა. ა. იოფეს სიკვდილი

ექიმების დასკვნა იოფეს ავადმყოფობისა და სიკვდილის შესახებ

მოსკოვი, 18 ნოემბერი. ადოლფ აბრამის ძე იოფე მძიმე ავადმყოფი იყო 1922 წლიდან, როდესაც ის ავად გახდა გაურკვეველი ინფექციით; ამ ინფექციის შედეგად მას განუვითარდა ნერვების ანთება, რომელმაც ავადმყოფი მიიყვანა ფსიქოზის მდგომარეობამდე. ამასთან ერთად იოფეს აღმოაჩნდა მორფის პრეპარატებით ქრონიკულად მოწამვლის მოვლენები. ავადმყოფი იძულებული იყო ეხმარა მორფი აუტანელ ტკივილების გამო. სანატორიუმში, კრემლის საავადმყოფოში და სახლში დიდი ხნის ექიმობის შემდეგ იოფე იმდენად გამოჯანსაღდა, რომ შესძლო დაბრუნებოდა მუშაობას, მაგრამ ტკივილები პერიოდულად უბრუნდებოდა და უმწვავდებოდა სხვა ტანჯვა: ღვიძლის ანთება, კოლიტი, მიოკარდიტი და ტუბერკულიოზის პროცესი ფილტვებში. 1924 წლიდან 1927 წლამდე იოფემ რამოდენიმეჯერ იმოგზაურა საექიმოდ უცხოეთში. მიმდინარე წლის შემოდგომიდან იოფეს ჯანმრთელობის მდგომარეობა მწვავედ გაუარესდა, მას გაუმწვავდა მოვლენები ფილტვების, ნაწლავების, ღვიძლის მხრით და განუახლდა საშინელი ტკივილები ფეხებში, რის გამოც ის იძულებული გახდა ისევ მიემართა მორფისათვის. ადოლფ აბრამის ძეს ძალიერ გაუტყდა გული და სულ უფრო და უფრო შეუმცირდა განკურნების იმედი. სექტემბრის ბოლოს მოწვეულ იქნა კონსულტაცია, რომელზედაც გადაწყდა, რომ იოფეს ესაჭიროება ხანგრძლივი, ერთ წლამდე, ექიმობა დახურულ სანატორიუმში. ის უნდა გამგზავრებულიყო, როგორც კი შეუნელდებოდა მწვავე მოვლენები, მაგრამ მან მოასწრო ამ მომენტს და 17 ნოემბერს საღ. 6 საათზე გაიკრა რევოლვერი მარჯვენა საფეთქელში და მოიკლა თავი.

პლეტნევი, ტარასევიჩი, ლევინი, კანელი, გერშტეინი და ობროსოვი.

ა. ა. იოფეს კუბოსთან

ხუთშაბ. 17 ნოემბ. საღ. განსვენებ. ბინაზე იწყეს თავმოყრა მისმა მეგობრებმა. ღამის 12 საათისათვის უკვე მოეწყო სამოქალაქო საპატიო ყარაული. 18 ნოემბერს დილით სამოქალაქო ყარაულს გარდა მოეწყო აგრეთვე საპატიო სამხედრო ყარაულიც. ბინიდან კუბო გამოიტანეს განსვენებულის მეგობრებმა და დაასვენეს კატაფალკაზე. პროცესია დაიძრა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისაკენ, სადაც კუბო მოთავსებულ იქნა კონფერენც-დარბაზში. კუბოსთან დადგა პროლეტარულ ყარაულის პირველი წყება საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრების—ჩიჩერინის, ლიტვინოვის, კარახანის და როტშტეინის შემადგენლობით.

დაკრძალვა მოხდა შაბათს ნოვოდევიჩიეს სასაფლაოს კომუნისტურ ნაწილში. იოფეს კუბოს ამშვენებს საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას გვირგვინი. იოფეს გარდაცვალების გამო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს სამძიმარი გამოუცხადეს იაპონიის ელჩმა საბჭოთა კავშირში კანაკამ, ლატვიის ელჩმა—ოზოლსმა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წარმომადგენელმა გირსამ. (ადს)

ლენინიზმის სადარაჯოზე—ტროცკიზმის წინააღმდეგ

დღემდე ცეკას თეზისები განიხილა 86 უჯრედმა.—კრებებს დაესწრო 4.423 კაცი.—კამათში მონაწილეობა მიიღო 420 კაცმა, მათ შორის 52 ოპოზიციონერმა.—ცეკას თეზისებს ხმა მისცა—4.355 კაცმა, წინააღმდეგ—45 კაცმა, თავი შეიკავა 23 კაცმა.

აზერბეიჯანის კომპარტიის მერვე ყრილობა

ამხ. ახუნდოვის მოხსენება

ბაქო, 18 ნოემბერი. დღეს, ყრილობის დილის სხდომაზე სახალხო განათლების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. რუჰულა ახუნდოვმა, რომელიც მიმოიხილავს უკეთეს სახალხო განათლების ზრდას აზერბეიჯანში. მომხსენებლის ცნობით, 1914 წელს აზერბეიჯანში ყოველ ათას მცხოვრებზე მოდიოდა 32 მოწაფე, 1926—27 წელს — 79. ხუთი წლის განმავლობაში წ. კ. უ. პუნქტი გაიარა 102.370-მა, რომელთაგან 65.607 თურქია. გადადის რა პირველი საფეხურების სკოლებზე, ამხ. ახუნდოვი საჭიროდ სცნობს 5 წლედების გამრავლებას. მეორე საფეხურის სკოლების რიცხვი, მომხსენებლის აზრით, უცვლელი უნდა დარჩეს და მათ უნდა მიეცეს პედაგოგიური, კოოპერატიული და საბჭოთა - ადმინისტრატიული განხრა. უმაღლეს სასწავლებლებში ყურადღება უნდა მიექცეს პროფესურის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათ უზრუნველყოფას ხელსაყრელ სამუშაო პირობებით.

მასწავლებლებს შორის უნდა გაძლიერდეს საზოგადოებრივი მუშაობა.

ახალი თურქული ალფავიტის შესახებ მომხსენებელი ამბობს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაძლიერდეს იმდენად, რომ 1928—29 წლისათვის მოსახერხებელი გახდეს მეორე საფეხურის სკოლების გადაყვანა ახალ ალფავიტზე, ხოლო 1930—31 წლისათვის ყველა ტიპის სასწავლებლების ყველა სახელმძღვანელოები უმაღლეს სასწავლებლისათვის ამ [illegible] უნდა გამოიცეს ახალ ალფავიტით.

შემდეგ მომხსენებელი ეხება თურქული ენის დამუშავების საკითხს. იგი მოითხოვს შემოღებული იქნეს მშრომელი მასებისათვის გასაგები და ადვილად შესათვისებელი ერთიანი ენა. ამ მიზნით ბრძოლა უნდა სწარმოებდეს სარწმუნოებრივ არაბულ და ფარსულ ტერმინების ხმარებასთან. რუსული ენის შესახებ ამხ. ახუნდოვი ლაპარაკობს შემდეგს: „თუ თურქ მუშას და გლეხს სურს უმაღლესი განათლების მიღება, მან უნდა აუცილებლად შეისწავლოს რუსული ენა. უტოპია იქნებოდა გვეფიქრა, რომ 5—10 წლის განმავლობაში შევსძლებთ ტეხნიკური მეცნიერების შექმნას თურქულ ენაზე. ვისაც სურს თურქულ მასების დაწინაურება, მან პროპაგანდა უნდა გასწიოს რუსული ენის შემოსაღებად თურქულ სკოლებში. რუსული ენის უდიდესი უპირატესობა ის არის, რომ ეს წარმოადგენს ოქტომბრის რევოლიუციის ენასო".

18 ნოემბრის საღამოს სხდომაზე სწარმოებდა კამათი ახუნდოვის მოხსენების გარშემო. ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა (ადს)..

სომხეთის კომპარტიის ყრილობა

ამხ. ამბარცუმიანის მოხსენება

ერევანი, 18 ნოემბერი. ყრილობის მეოთხე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ამბარცუმიანის მოხსენება **სამეურნეო მშენებლობის შესახებ.** მომხსენებელი უკეთებს რა მიმოხილვას სამეურნეო მშენებლობას უკანასკნელ წლების განმავლობაში, ამბობს,—რომ მრეწველობას აქვს უდიდესი მიღწევები და მისი მონაწილეობა სახალხო მეურნეობის ბალანსში აღწევს ომის წინადროინდელ დონეს, მიუხედავათ მრავალგვარ ობიექტიურ დაბრკოლებებისა. მრეწველობის ზრდასთან შეთანაწყობით იზრდება მუშა ხელის რიცხვი, რომელიც უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში 68,4 პროცენტით გაიზარდა. ამჟამად დიდი მნიშვნელობა ეძლევა კვალიფიციურ მუშა ხელის მომზადებას.

სახალხო მეურნეობაში აბსოლიუტურად უმნიშვნელო როლს თამაშობს კერძო კაპიტალი, რომელიც იძლევა საერთო პროდუქციის მხოლოდ 0,6 პროცენტს. უფრო მეტ როლს თამაშობს კერძო კაპიტალი სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადების საქმეში, რომელიც ამჟამად გადადის სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ხელში; ეხება რა სომხეთის ელექტროფიკაციას, მომხსენებელი ჩერდება ძორაგესზე და მეორე ჰიდრო სადგურზე, რომელიც უნდა აშენდეს უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში.

ფასების დაკლების დარგში მომხსენებელი აღნიშნავს მთელ რიგ მიღწევებს და ფასების დაკლების კიდევ უფრო გასაღრმავებლად საჭიროდ მიაჩნია მუშათა ფართო მასსების მონაწილეობის გაძლიერება ამ მუშაობაში. სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ გზაზე გადასაყვანად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია საირიგაციო მუშაობის, სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის გაძლიერება, მიწით სარგებლობის კოლექტიური და საზოგადოებრივი ფორმების მოწყობა და სხვა.

ეხება რა სოფლის ფენებათ დაყოფას, მომხსენებელი სტატისტიკური ცნობებით ამტკიცებს, რომ სომხეთში გლეხობის დიფერენციაციას არა აქვს კაპიტალისტური ხასიათი, რადგან მიწადმოქმედებში საშუალო შეძლების გლეხის მნიშვნელობა უფრო და უფრო იზრდება. სასოფლო მეურნეობის, განსაკუთრებით, ტეხნიკური კულტურების დარგში მომხსენებელი აღნიშნავს საქონლიანობის ზრდას. შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს სოფლად წარმოებულ პოლიტიკურ მუშაობაზე და ახასიათებს მოჯამაგირის ღატაკი გლეხის, საშუალო შეძლების გლეხისა და კულაკის მდგომარეობას.

უკანასკნელ ხანებში კულაკი იჩენს მეტ აქტივობას, რომელიც გამოხატულებას პოულობს დაშნაკური პარტიის იდეოლოგიაში. კულაკთან ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწად - მოწყობის ჩატარებას, სწორ საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკის წარმოებას ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობის სასარგებლოდ.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება სასოფლო-სამეურნეო, სამომხმარებლო შინა-მრეწველურ და საბინაო კოოპერაციაზე და დასასრულ ამბობს.

— „ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში სოციალისტურ ელემენტები კერძო კაპიტალთან წარმატებით აწარმოებდენ ბრძოლას და აქვთ მეურნეობის ყველა დარგებში დიდი მიღწევები. მრეწველობა ვითარდება ნახტომებით. მრეწველობის განვითარების, ქვეყნის საინდუსტრიალიზაციო წარმოებულ მუშაობის დროს ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის განსაკუთრებული მნიშვნელობა ისეთი გლეხური ქვეყნისათვის, როგორიც სომხეთია. ამისათვის უპირველეს და აუცილებელ წინასწარ პირობას წარმოადგენს ჩვენი პარტიის მთლიანობა და რკინის დისციპლინა. აქედან გამომდინარეობს აუცილებელი დასკვნა: **სოციალიზმის შენებისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია ოპოზიციის, რომელიც უკვე მეორე პარტიათ გადაიქცა**" (ადს).

კამათი სომხ. კომ. პარ. (ბ) ცეკას მოხსენების გარშემო

ერევანი, 18 ნოემბერი. სომხეთის კომ. პარ. (ბ) ცეკას საანგარიშო მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა 60 მეტი დელეგატი. კამათს მეტად გაცხოველებული ხასიათი ჰქონდა. საკითხები, რომლებსაც ორატორები ეხებოდენ, იმდენად აქტუალური იყო, რომ ყრილობა გამოსულ ორატორებს უთმობდა მეტ დროს, ვიდრე ეს რეგლამენტით იყო გათვალისწინებული. თითქმის ყველა ორატორები მთავარ ყურადღებას უთმობდენ ტროცკისტული ოპოზიციის მუშაობას. ყოველი დელეგატი მაგალითებით ასურათებდა ოპოზიციის იმ ნაბიჯების ბოროტმოქმედურ ხასიათს, რომლებსაც ის სდგამდა პარტიულ მასებში ხმებისა და უპარტიო მუშა-გლეხებში სიმპატიების მოსაპოვებლად. ამასთან ერთად დელეგატები შეჩერდენ იმ უნიადაგო ბრალდებებზე, რომ თითქოს სომხეთის კომპარტიამ საკმაოდ ვერ შეაფასა იდეოლოგიური მუშაობა და სპეციფიური მემარჯვენე გადახრა. ორატორებმა აღნიშნეს, რომ იდეოლოგიურ ფრონტზე, მართალია, ადგილი ჰქონდა დეფექტებს, მაგრამ ცეკას ხაზი მაინც იყო სავსებით ლენინური; ასე, რომ ყველა ეს ბრალდებები, როგორც სინამდვილეს შეუფერებელი, უკუგდებულია. დელეგატებმა წამოაყენეს მთელი რიგი საქმიანი წინადადებები პარტიული მშენებლობის, დაწინაურების, საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გაღრმავების, ადგილებთან კავშირის გაძლიერების, მუშებისა და გლეხების კავშირის შემდეგი განმტკიცების, მასიური მუშაობის გამოცოცხლების, პერიოდულ გამოცემათა თვისობრივი მხარის გაუმჯობესების, კოოპერაციის, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გაძლიერების დარგში და სხვ.

კამათის პროცესში ყრილობას მიესალმნენ მეზქდავ, მეტყავე, მოჯამაგირე, ლენინაკანის ფეიქარ უპარტიო მუშათა დელეგაციები და წითელი არმიის წარმომადგენლები. დელეგატები თავის მისალმებებში მოუწოდებდენ პარტიის მთლიანობისაკენ, ჰკიცხავდენ პროლეტარულ დიქტატურის დამაქცევარ ოპოზიციონერ. გამოსვლებს და აცხადებდენ, რომ პარტიის პირველდაძახებისთანავე ყველა მუშები და წითელარმიელნი გამოვლენ ისე, როგორც ერთი კაცი.

პირადი განცხადების სახით ოპოზიცია შეეცადა დეკლარაციის წაკითხვას, რომელშიც ყრილობას ტენდენციურობას აბრალებდა. თავხედური ოპოზიციონური დოკუმენტით აღშფოთებულ **დელეგატების უმრავლესობამ მოითხოვა დეკლარაციის ავტორების—მენი არემიანის და პატვაკან გაზარიანის გამორიცხვა პარტიიდან.** ყრილობამ დაადგინა აღნიშნული დოკუმენტი გადასცეს მომავალი შემადგენლობის ცენტრალურ საკონტროლო კომისიას საჭირო ზომების მისაღებად ოპოზიციის „ლიდერების" წინააღმდეგ. 6

ამხ. ოვსეპიანის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში სომხ. კომ. პარ. (ბ) ცეკას მდივანმა ამხ. ოვსეპიანმა, რომელსაც ყრილობა ქუხარე ტაშით შეხვდა, ჯამი გაუკეთა კამათს და მთელი რიგი ციტატებით დაშნაკური გაზეთებიდან დაამტკიცა ადგილობრივ ოპოზიციონერთა სოლიდარობა დაშნაკურ გაზეთებთან.

ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია. რომელშიც სავსებით იწონებს ცეკას მუშაობას და სწორად სთვლის მის პოლიტიკურ და საორგანიზაციო ხაზს.

ცეკას საანგარიშო მოხსენების შემდეგ, მოხსენებით ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. ამირხანიანი.

ლტოლვა პარტიისაკენ

არტემოვსკი, 18 ნოემბერი. დღემდე საოლქო პარტიულ ორგანიზაციებში პარტიაში მიღების შესახებ განცხადება შემოიტანა 2.886 მუშამ.

მოსკოვი, 18 ნოემბერი. მოსკოვის ყველა რაიონებში 17 ნოემბრამდე პარტიაში მიღების შესახებ განცხადება შემოიტანა 3.846 კაცმა.

მოსკოვის გუბერნიაში ასეთივე განცხადება შემოვიდა 1.601 კაცისაგან (ადს).

მოზირი, 18 ნოემბერი. მოზირის ფაბრიკების 110 მუშამ შეიტანა განცხადება პარ. შესვლის შესახებ (ადს).

—იწონებენ ცეკას ხაზს

მოსკოვი, 18 ნოემბერი. 16 ნოემბრამდე მიღებული ცნობების თანახმად მთელ საბჭოთა კავშირში 3.594 უჯრედის კრებაზე მე-15 პარტყრილობის თეზისების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 364528 კაცმა. ცეკას ხაზს ხმა მისცა 360.784 კაცმა, წინააღმდეგ—2.423 კაცმა ან მონაწილეთა 0,7 პროცენტმა. თავი შეიკავა 1.321 კაცმა ანუ 0,4 პროც. (ადს).

მოსკოვი, 18 ნოემბერი. დისკუსიის დაწყების დღიდან 16 ნოემბრამდე ცეკას თეზისები მოსკოვში განხილული იქნა 783 უჯრედში. თეზისებს ხმა მისცა 65.719 კაცმა, წინააღმდეგ 1.249 კაცმა. თავი შეიკავა 437 კაცმა.

ამასთანავე თეზისები განხილული იქნა 21 კომკავშირის უჯრედზე: უჯრედის კრებებს დაესწრო 2.803 კაცი. აქედან წინააღმდეგ მისცა ხმა 79 კაცმა, თავი შეიკავა 26-მა (ადს).

ტაშკენტი, 18 ნოემბერი. ახალი ქალაქში ცეკას თეზისები გარჩეული იქნა 60 უჯრედის კრებაზე. კრებას დაესწრო 4.773 კ. ცეკას ხაზს ხმა მისცა 4.740 კ. წინააღმდეგ 13 კ. თავი შეიკავა 12-მა.

ძველ ქალაქში ცხრა ჯგუფურ კრებას დაესწრო 938 კაცი. ამ რიცხვიდან წინააღმდეგ ხმა მისცა 1-მა, თავი შეიკავა 4-მა (ადს).

დეზორგანიზატორების წინააღმდეგ

ლენინგრადი, 18 ნოემბერი. ლენინგრადის საოლქო პარტკონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია ცენტ. საკ. კომისიის მოხსენების გარშემო, რომელშიაც აღნიშნავს იმ დიდ მიღწევებს, რომელიც აქვს ცენტრ. საკ. კომისიას და მუშ. გლეხ. ინსპექციას თავის მუშაობაში. იწონებს ტროცკის და ზინოვიევის გამორიცხვას პარტიიდან და გამოსთქვამს რწმენას რომ ცენტრ. საკ. კომისია ბოლომდე გასწმენდს პარტიას ახალ მენშევიკ-გამთიშველებისაგან. (ადს).

მოსკოვი. 18 ნოემბერი. ლუგანსკიდან; მელიტოპოლიდან, ვინიციდან, ჩერკასიდან, გომელიდან, მოგილევიდამ და სხვა ქალაქებიდან მიღებულია ცნობა, რომ პარტიული კონფერენციები სავსებით იწონებენ ცეკას და ცენტ. საკ კომისიის დადგენილებას ტროცკის და ზინოვიევის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. ლუგანსკის პარტკონფერენციაზე მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ამხ. კამენევის, სმილგის, ევდოკიმოვის, რაკოვსკის და სხვა ოპოზიციონერების შემდგომი დატოვება ლენინური პარტიის რიგებში დაუშვებელია. (ადს).

დავამუშაოთ ცეკას თეზისები

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტს, ყველა საოლქო, სამაზრო და რაიონულ კომიტეტებს.

საკავშირო ლენინურ კომკავშირის ცეკას უკანასკნელ პლენუმის გადაწყვეტილებით კომკავშირის ორგანიზაციები მონაწილეობას იღებენ დისკუსიაში, რომელსაც პარტია ატარებს მეხუთმეტე პარტყრილობის წინ.

საქართველოს კომკავშირი მტკიცედ იცავს ლენინურ პოზიციებს კომკავშირის შიგნით, მიუხედავათ იმისა, რომ პარტიის ოპოზიციამ არა ერთხელ სცადა გადაეტანა კომკავშირში ფრაქციულ-გამთიშველი მუშაობა და დაეპირდაპირებია კომკავშირი პარტიისათვის. საქართველოს კომკავშირს არ შეუძლია ნეიტრალური ხაზი დაიკავოს იმ მომენტში, როცა ტროცკიზმს გაფეთრებული იერიშები მოაქვს ლენინიზმზე, როცა სწარმოებს ბრძოლა ბოლშევიზმსა და ოპორტუნიზმს შორის. და ამიტომ გადაწყვეტილება კომკავშირის მონაწილეობის შესახებ პარტიულ დისკუსიაში ე. ი. იმ საკითხების გარჩევაში, რომლებიც წამოყენებულია მეხუთმეტე პარტყრილობაზე და რომლებიც განსაზღვრავენ პარტიის შემდგომ განვითარებას, აბსოლიუტურად სწორია და მას ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ ადგილობრივი პარტორგანიზაციები.

საქართველოს ლენინურ კომკავშირის ცეკამ შეიმუშავა დისკუსიაში მონაწილეობის შემდეგი წესი:

თბილისში და ბათომში მოწვეულ უნდა იქნეს აქტივის კრებები და უჯრედთა ჯგუფური კრებები ორჯერ მეხუთმეტე პარტყრილობის თეზისების დასამუშავებლათ და ლენინურ კომკავშირის ცეკას უკანასკნელი პლენუმის შედეგების განსახილველად. სამაზრო ცენტრებში და სამრეწველო რაიონებში: ხაშურში, ბორჯომში, ჭიათურაში, სამტრედიაში და ტყიბულში აღნიშნულ ორგანიზაციების საერთო კრებებზე ირჩევა იგივე საკითხები. და სოფლად—ტარდება მუშაობა კომკავშირის წევრთათვის სადისკუსიო საკითხების გასაცნობათ.

საქართველოს კომპარტიის ცეკა წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ამაში აქტიური მონაწილეობა და მიაწოდოთ კომკავშირის ორგანიზაციებს საჭირო პარტძალები მეხუთმეტე პარტყრილობის თეზისების დასამუშავებლად.

სოფლებში, იქ, სადაც ჯერ კიდევ არ არის თეზისები დამუშავებული, პარტუჯრედებში თეზისების გარჩევის დროს კომკავშირელები დაშვებული უნდა იქნენ სათათბირო ხმით. იქ, სადაც თეზისების დამუშავება უკვე გატარებულია, მოწვეულ უნდა იქნეს კომკავშირის სათემო ან საუჯრედო კრებები მეხუთმეტე პარტყრილობაზე წამოყენებულ საკითხების გასაცნობათ, ადგილობრივ პარტორგანიზაციების აუცილებელ ხელმძღვანელობით.

საქართველოს კომპარტიის ცეკა წინადადებას გაძლევთ რეგულიარულად მიაწოდოთ ცეკას ინფორმაცია დისკუსიის მსვლელობისა და შედეგების შესახებ კომკავშირის ხაზით.

დისკუსიის გატარების ვადა დაწესებულია ა. წ. 1 დეკემბრამდე.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი
მ. კახიანი.

პარტიის პროლეტარულ შემადგენლობის გაძლიერებისათვის

ოქტომბრის გაწვევის კამპანია ფართოვდება. მოკლე ხნის განმავლობაში შემოტანილია 30.000-მდე განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. პარტიაში მოდის წმინდა პროლეტარული ელემენტი. (მოსკოვის მუშათა რაიონებში 25 პროც. მილითონეები) დიდი საწარმოო სტაჟით. მოდის მუშათა აქტივი, რომელიც დაწინაურდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობაში, პროფესიონალურ, კოოპერატიულ, კულტურულ და სხვა დარგებში

უეჭველია, რომ ამ კამპანიის ტემპის განვითარებით (ეს ტემპი უნდა განვითარდეს) მე-15 ყრილობის წინ ჩვენ მოწმე ვიქნებით პარტიის პროლეტარულ შემადგენლობის მნიშვნელოვან გაძლიერების, რაც საუკეთესო საბუთი იქნება ჩვენი პარტიის კლასიურ პროლეტარულ ხაზის სისწორისა.

ის სრულიად უდავო ფაქტი, რომ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის გაწვევას გამოეხმაურენ მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტები, დიდ სტაჟიანი აქტივისტები, ამტკიცებს, რომ მუშათა კლასმა და ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სავსებით შეიგნეს ახალ გაწვევის აზრი. საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავს, საბჭოთა მეურნეობის ზრდას, პროლეტარიატის მბრძანებელ სიმაღლეთა განმტკიცებას, სოციალისტურ მრეწველობის ზრდას, რომელიც წინ უსწრებს მეურნეობის სხვა სექტორების განვითარებას, მუშათა კლასის კეთილდღეობისა და კულტუროსნობის ზრდას, მის პოლიტიკურ შეგნებას, აქტივობას,—ყოველივე ამას არ შეიძლება შედეგად არ მოჰყვეს კომუნისტური პარტიის ზრდა. პარტიაში მოდიან ის პროლეტარები, რომლებიც ყველაზე უფრო აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სოციალისტურ აღმშენებლობაში, რომლებსაც ყველაზე უფრო ნათლად აქვთ შეგნებული ჩვენი აღმშენებლობის ძირითადი პრინციპიალური განსხვავება კაპიტალისტურ განვითარებისაგან, რომლებიც არა სიტყვით, არამედ საქმით არიან მზად თავი დასდონ სოციალიზმის გამარჯვებისათვის ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში. მუშათა კლასი, რომელიც კონტროლს უწევს თავისი პარტიის რიგების შევსებას, აწარმოებს შერჩევას უწინარეს ყოვლისა კომუნისტურ აქტივობისა და საწარმოო სტაჟის მიხედვით, წვრილ მესაკუთრის ფსიხოლოგიის ან მესაკუთრეებთან კავშირის უქონლობით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, და მსხვილ მრეწველობაში მუშაობის მიხედვით .

სამრეწველო წარმოებაში ახლად შემოსული გლეხები, მოსამსახურენი და ინტელიგენტები შიძლება უაღრესად ერთგული იყვნენ პარტიის, მაგრამ მათ არა აქვთ ის პროლეტარული კლასიური გამოწრთობა, რომელსაც იძლევა მხოლოდ მრავალწლოვანი მონაწილეობა პროლეტარულ ბრძოლაში და დაკავშირება მთელ მუშათა მასასთან.

მუშათა კლასს ესმის სიძნელენი სოციალისტურ აღმშენებლობის გრანდიოზულ საქმეში. მუშები და მუშა-ქალები ანგარიშს აძლევენ თავს ამ სიძნელეებში, მათ სურთ აწარმოონ შემოქმედებითი მუშაობა და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის ტეხნიკურ ჩამორჩენილობის წინააღმდეგ, უკულტურობისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, კულაკისა და ნეპმანის წინააღმდეგ. და ისინი პარტიაში გზავნიან მათ, ვისაც ყველაზე უფრო მედგრად შეუძლია იმ სიძნელეთა და დაბრკოლებათა დაძლევა, რომლებიც აღმართული არიან სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. პარტია ოდნავადაც არ მალავს და არასოდეს არ უმალავდა მუშათა კლასს თავისი მუშაობის შეცდომებს, დამახინჯებას და ნაკლს. საკმაოა გადაათვალიეროთ ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ოქტომბრის გაერთიანებული პლენუმის თეზისები, რომ ამ მხრივ არავითარ ეჭვებს არ ექნეს ადგილი. მაგრამ მუშებს და მუშა-ქალებს ესმის, რომ ჩვენ სიძნელეთა ფესვები იფარება არა იმაში, თითქოს ჩვენი პარტიის ხაზი სწორი არ იყოს, მათ ე მით, რომ ეს სიძნელენი აუცილებლად გამომდინარეობენ პრაქტიკულ მუშაობიდან, მათ ესმით, რომ ამ სიძნელეებს პარტია აუცილებლად დასძლევს თუ მთელი მუშათა კლასი აღმოუჩენს მას მუდმივ აქტიურ დახმარებას და გააძლიერებს მის რიგებს ახალი ძალებით. და ამიტომ ოპოზიციის ცილისწამებლურ ჭორებზე ლენინის პარტიის „გადაგვარების" შესახებ, მუშათა კლასი პასუხს აძლევს მასსიური შესვლით საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებში.

ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლის თავით გამოწვეულმა ენტუზიაზმმა მოიცვა ძმური კომპარტიები საზღვარგარეთაც. გერმანიაში ოქტომბრის გაწვევის პირველ დღეებშივე პარტიაში შევიდა ოთხი ათასზე მეტი ახალი წევრი და კომუნისტურ გამოცემებზე კიდევ მოაწერა ხელი 15.000-მდე მუშამ.

კამპანიის განმავლობაში ჩვენ უნდა დავიცვათ შერჩევის ის პრინციპები, რომლებიც დაწესებული იყო ცენტრალურ კომიტეტის მიერ. ჩვენ უნდა დავიცვათ კომუნისტურ პარტიის ახალ აქტიურ წევრთა ენტუზიაზმი, ჩვენ კიდევ მეტი ენერგიით უნდა ჩავაბათ პარტიაში მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტები.

კამპანიის შედეგად ჩვენ უნდა მივიღოთ მნიშვნელოვანი განმტკიცება და ზრდა ლენინის პარტიის კავშირისა მუშათა კლასთან, უნდა მივიღოთ პარტიის ხელმძღვანელობის გაძლიერება მუშათა მასაზე. ამასთან ერთად პარტიის პროლეტარულ შემადგენლობის გაძლიერება, პარტიის კავშირის გაძლიერება მუშათა მასსასთან, კიდევ უფრო უზრუნველყოფს პარტიას მასაში წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრებისა და ტენდენციების განვითარებისაგან და კიდევ უფრო განამტკიცებს იმ წინააღმდეგობას, რომელსაც პარტია ყოველთვის უწევდა და მომავალშიაც გაუწევს ანტი-ლენინურ ოპოზიციონურ მიმდინარეობებს, კერძოდ ტროცკიზმს.

მე-15 ყრილობაზე პარტია მივა კიდევ უფრო მტკიცედ დაკავშირებული მუშათა კლასთან და მზად იქნება აწარმოოს ახალი დიადი ბრძოლები სოციალიზმის აღმშენებლობისათვის, მსოფლიო რევოლიუციისათვის.

„პრავდა", 16 ნოემბერი.

უპატრონო ბავშთა სამდღიური

როგორ უვლიან და ეხმარებიან უპატრონო ბავშვებს

(ბავშვების მეგობართა საზოგადოების მუშაობა)

ბავშვების მეგობართა საზოგადოების გამგეობის მუშაობა მიმართულია, ერთი მხრით, თავის წევრთა აქტივობის გაძლიერების და ძირითად ორგანიზაციების მუშაობის გაცხოველებისაკენ და მეორე მხრით,—საშუალებათა გამოძიებისაკენ საზოგადოების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ამჟამად საზოგადოების უჯრედების რიცხვი აღწევს 204, რომელიც აერთიანებს 16 ათას წევრს. წევრების 60 პროცენტს შეადგენენ ქალები.

საზოგადოების საშუალებანი შესდგებიან საწევრო ანარიცხებისა, სხვადასხვა შენაკრეფისა (სამდღიური), და შემოწირულებისაგან. მაგრამ საზოგადოებას ეს წყაროები ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ უხდება მიმართოს მთავრობის დოტაციას. მაგ. 1927 წლის პირველი აპრილიდან პირველ ოქტომბრამდე მიღებულია დოტაცია 30,000 მანეთის რაოდენობით. ამავე ხნის განმავლობაში საბავშვო სახლების შესანახად დახარჯულია 27.173 მანეთი, საბავშვო სახლების მოსაწყობად 9.446 მანეთი, ლენინაკანს დასახმარებლად მიეცა 1.215 მანეთი, განათლების სახკომისარიატის კოლექტორს 600 მანეთი და ა. შ. სულ დახარჯულია 47.999 მან.

საზოგადოება უმთავრეს დახმარებას უწევს საბავშვო სახლებს, რომლის შენახვა წლიურად ჯდება დახლოვებით 50.000 მანეთი. საბავშვო სახლებში ბავშვების ფიზიკური აღზრდის გარდა, მთავარი ყურადღება ექცევა სასწავლო აღმზრდელობით მუშაობას. ამ მხრივ საბავშვო სახლები იმყოფებიან თბილისის ალმასკომის განათლების განყოფილების უშუალო მეთვალყურეობის და ხელმძღვანელობის ქვეშ. ბავშვების მოსამზადებლად დამოუკიდებელი შრომისათვის საბავშვო სახლებთან მოწყობილია სხვადასხვა სახელოსნოები, სადაც ბავშვები სწავლობენ სხვადასხვა ხელობას.

საზოგადოების საბავშვო სახლებში იმყოფება 150 ბავშვი, მაგრამ გამგეობას ეს რიცხვი არ მიაჩნდა და არ მიაჩნია საკმარისად ვინაიდან გამგეობას მეტი შეძლება არა ქონდა, იგი სისტემატიურ მუშაობას აწარმოებდა უპატრონო ბავშვებს შორის პროფილაქტიური ღონისძიებათა და ინდივიდუალურ დახმარების დარგში ამ მიმართულებით შესრულებულია შემდეგი მუშაობა:

1) განათლების კომისარიატის საშუალებით სამშობლოში გაგზავნილია უპატრონო ბავშვთა მნიშვნელოვანი რიცხვი, 2) პროლეტარულ ოჯახებს შვილობილათ მიეცა 11 ბავშვი, 3) 43 მოზარდი ბავშვი მიეცა ხელობის შესასწავლად შინა-მრეწველებს, რომელთაც საზოგადოება თვითეული ბავშვის გაწრთვნისათვის ყოველთვიურად აძლევს 11 მანეთიდან 18 მანეთამდე 4) საზოგადოებამ ჩააცვა-დაახურა 150 ბავშვს

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საზოგადოების ზოგიერთი ქვედა უჯრედები ვერ იჩენენ საკმაო აქტივობას და ამიტომ გამგეობა ვერ ახერხებს მუშაობის იმ მასშტაბით წარმოებას, რომელსაც საჭიროება მოითხოვს.

სამდღიურის ქრონიკა

კონცერტები

კვირას თბილისის მუშათა კლუბებში გაიმართება კონცერტები ცნობილ მომღერალთა მონაწილეობით.

კონცერტებიდან შემოსული თანხა მთლიანად გადაეცემა სამდღიურის ჩამტარებელ კომისიას.

ბავშვების ალლუმი არ შესდგება

კვირისათვის სამდღიურის ჩამტარებელ კომისიას განზრახვა ჰქონდა მოეწყო უპატრონო ბავშვთა ალლუმი, მაგრამ ვინაიდან ქალაქში გავრცელებულია ქუნთრუშის და დიფტერიტის ეპიდემია, ალლუმი აღარ შესდგება.

სამდღიური კარგად მიმდინარეობს

გუშინ დილიდან დაიწყო ყულაბებით ფულის შეგროვება თბილისის ქუჩებში. ცუდი ამინდის გამო ქუჩაში გამოშვებულ იქმა მხოლოდ 160 ყულაბა.

შუადღისას სამდღიურის მომწყობ კომისიაში დააბრუნეს ფულით სავსე რამოდენიმე ყულაბა.

უცხოელთა რემედასების დელეგაცია თბილისში

გუშინ, ღამით თბილისში ჩამოვიდა გერმანიისა და საფრანგეთის რემედასების შერეული დელეგაცია 7 წევრის შემადგენლობით. დელეგაციაში საფრანგეთის რემედასიდან შედის ორი კაცი, ხოლო დანარჩენები გერმანიის რემედასის დელეგატები არიან.

გერმანიის დელეგატმა ამხ. მენცელმა ჩვენს თანამშრომელს განუცხადა:

— ჩვენს დელეგაციას განსაკუთრებული მიზნები აქვს დასახული. ჩვენ გვინდა საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში შევკრიბოთ ისეთი ცნობები, პატიმართა გამოსწორების საკითხის შესახებ, რომელიც გამოგვადგება ჩვენ რემედასის საქმიანობაში. საქართველო განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ევროპაში და სწორედ აქედან ჩვენ წავიღებთ ნამდვილ სიმართლეს აქაური გამასწორებელი სახლების დანიშნულებისა და პატიმართა მდგომარეობის შესახებ. ეს ცნობები სხვათა შორის გამოსადეგი იქნება იმისათვისაც, რომ დარწმუნდეს გერმანიისა და სხვა ქვეყნების მუშათა კლასი, თუ რა უპირატესობა აქვს საბჭოთა რესპუბლიკას იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ცხოვრების ყოველ დარგში.

გერმანიის რემედასის წევრთა რიცხვი ამჟამად აღემატება 500.000 კაცს. ერთი წლის განმავლობაში გერმანიის რემედასის ცეკას შემოუვიდა 1.000.000 მარკა. ჩვენ დახმარებას უწევთ გერმანიის სხვადასხვა ციხეებში მოთავსებულ 4000 მეტ დაპატიმრებულ რევოლიუციონერს. ვენის ამბების შემდეგ ბერლინში მოწყობილია სპეციალური საბავშვო სახლი, რომელშიაც რემედასის ხარჯით იზრდებიან ვენაში დაღუპულ რევოლიუციონერთა შვილები.

საფრანგეთის რემედასის წარმომადგენელმა ამხ. შაბრიმ განაცხადა:

— რემედასის მუშაობას საფრანგეთში ხელს უშლიან არა მარტო მთავრობის ორგანოები და მემარჯვენე ჯგუფები, არამედ რეფორმისტული პარტიებიც. მიუხედავათ ამისა რემედასის წევრთა რიცხვი მაინც დღითი-დღე იზრდება და ამჟამად უკვე უდრის 50.000 კაცს.

რემედასის მუშაობა გამოიხატება შემდეგში: სისტემატიურ ნივთიერ დახმარებას ვაწოდებთ პოლიტ. პატიმრებს, ვაწოდებთ შეძლებისდაგვარად წიგნებს, გაზეთებს და ლიტერატურას, უწევთ იურიდიულ დახმარებას და სხვა.

აღნიშნული შერეული დელეგაცია საქართველოში დარჩება 4-5 დღე. ამ ხნის განმავლობაში მათ განზრახვა აქვთ დაათვალიერონ გამასწორებელი სახლები და გაეცნონ ჩვენს აღმშენებლობას და წარმოებების მუშაობას. დელეგაციასთან სამუშაოთ საქ. რემედასმა გამოყო სპეციალური კომისია.

7 საათის სამუშაო დღე ტრამვაის მეურნეობაში

გუშინ საღამოს შესდგა საქართველოს კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის სხდომა.

სხდომაზე მოსმენილ იქნა ტრამვაის სამმართველოს დირექტორის ს. ფარნიევის მოხსენება —ტრამვაის მომავალი მუშაობისა და 7 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1927—28 წ. გაყვანილი იქნება ტრამვაის ახალი ხაზები დიდუბეში, ლენინის რაიონში, ვაკეში და სხვაგან. ეხლა სწარმოებს იმ ვიწრო ქუჩების გაფართოება, რომელნიც დაბრკოლებას წარმოადგენენ ახალი ხაზების გასაყვანად.

გარდა ამისა, საბჭოს ქუჩაზე ტრამვაის ლიანდაგი გაყვანილი იქნება ქუჩის შუა ადგილას, რის წყალობითაც ეტლების, ავტომობილების და ტრამვაის მოძრაობა იწარმოებს სრულიად დაუბრკოლებლად.

შეეხო რა იმ ღონისძიებებს, რომლებიც ეხლა ტარდება ცხოვრებაში, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად სრული შესაძლებლობა არსებობს ტრამვაის მეურნეობაში 7 საათის სამუშაო დღის შემოსაღებად.

ამხ. ფარნიევმა განაცხადა, რომ ტრამვაის ზოგიერთ წარმოებაში 7 საათის სამუშაო დღე ფაქტიურად განხორციელებულია.

ეხლა 276 კაცი 6 საათს მუშაობს, 698—7 საათს, 635 — 7 ნახ. საათს, ხოლო 172 კაცი კი 8 საათს.

დასასრულ მომხსენებელმა სთქვა, რომ ახლო ხანში ტრამვაი გადავა ზაჰესის ენერგიაზე, რის გამო დაიხურება ტრამვაის ცენტრალური ელექტრო - სადგური. სადგურის თანამშრომლები (180 კაცი) გაიგზავნებიან სამუშაოდ ტრამვაის ცეხებში.

ამ 180 კაცისათვის სამუშაოს მიცემას კიდევ უფრო უზრუნველჰყოფს 7 საათის სამუშაო დღის შემოღება.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

გამგეობამ ტრამვაის მეურნეობის 7 საათზე გადასვლის საკითხი მომწიფებულად სცნო და გამოსთქვა სურვილი ამ ღონისძიების ცხოვრებაში ადრიანად გატარების შესახებ.

სახალხო მეურნეობა

სახალხო მეურნეობის თვითეულ დარგის პერსპექტიული და წლიური გეგმების ცხოვრებაში გასატარებლად და სისტემატიური მეთვალყურეობის გასაწევად საგეგმო კომისიამ დაადგინა, თავის სექციების საშუალებით მუდმივად ადევნოს თვალყური წლიურ და პერსპექტიულ გეგმების შესრულებას. ამ მიზნით საგეგმო კომისია სისტემატიურად განიხილავს გეგმების შესრულების მასალებს და ადგილობრივად დაათვალიერებს და გამოიკვლევს გეგმით გათვალისწინებულ ამა თუ იმ სახის მშენებლობის მდგომარეობას. ამას გარდა საგეგმო კომისიამ დაადგინა თავის მხრივ შეისწავლოს საქართველოს ბუნებრივი საწარმოო ძალები და შეკრებილ მასალებით იხელმძღვანელოს პერსპექტიულ და წლიურ გეგმების განხილვა-დამტკიცების დროს.

მუშათა ახალი სახლები

მუშაობა ახალ მუშათა სახლების ასაგებად ჭიათურაში ინტენსიურად მიმდინარეობს. ოქტომბრის ათი წლისთავისათვის დამთავრდა ერთი დიდი მუშათა სახლის აგება. სახლს უჭირავს სიგრძით 66 მეტრი, ხოლო სიგანით 21 მეტრი. სახლი აგებულია პერევისის მაღაროების ახლო; დაიტევს 170 მდგმურს. აგებულია საზ. „საქართველოს მარგანეცის" მიერ. გარდა საცხოვრებელ ოთახებისა სახლს აქვს საერთო სამზარეულო, სასადილო 200 კაცისათვის, პირსაბანი განყოფილება და სხვა გათბობა ორთქლისაა—ორი ქვაბით და ბოილერით. იქვეა დარბაზი კლუბისათვის რომელიც დაიტევს 300 კაცს. სახლი დაჯდა 145 ათასი მან.

ამ რამოდენიმე დღეში დამთავრდება ექვსი ერთსართულიანი სახლების აგება, რომელსაც ხელმძღვანელობს ინჟ. ჩხეიძე, პროფკავშირების და შრ. სახკომის კომისიებმა, სახლები დაათვალიერა და ძალიან მოიწონეს.

ზაჰესის სინათლე

მცხეთაში

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე საფუძველი ჩაეყარა პროვინციის ელექტროფიკაციას. ამ დღისათვის მცხეთაში დამთავრდა მაღალვოლტიან გადამცემ ხაზის გაყვანა, რომლითაც მცხეთა მიიღებს ზაჰესის სინათლეს.

გადამცემი ხაზი, რომლის ძაბვა უდრის 6000 ვოლტს და სიგრძე 4 კილომეტრს, იწყება ზაჰესის მთავარ საგუბარიდან, მიჰყვება არაგვის მარცხენა ნაპირს „ბებრის-ციხის" - ნანგრევებამდე, აქ გადასჭრის მდინარეს და საქართველოს სამხედრო გზას და არაგვის მარჯვენა ნაპირით უერთდება მცხეთის ტრანსფორმატორულ ბუდკას.

ხაზი ისეა გაყვანილი, რომ ადვილად შეიძლება მისი გაგრძელება „ბებრის - ციხის" ნანგრევებიდან ნატახტარამდი და საგურამომდე. ამ მიმართულებით ხაზის გაგრძელების დროს შეიძლება ზაჰესის ენერგია მიეწოდოს იმ სამუშაოებს, რომლებიც ამჟამად სწარმოებს ნატახტარის წყაროების რაიონში თბილისის ახალი წყალსადენის გასაყვანად. ზაჰესის ენერგიის საშუალებით შესაძლებელია ამ სამუშაოების მექანიზაცია.

მეორეს მხრივ, გადამცემი ხაზი შეიძლება გაგრძელებული იქნეს რკინისგზის სადგურამდე და აგარაკ მცხეთამდე, სადაც საჭიროებისამებრ ენერგია შეიძლება გამოყენებული იქნეს ხე-ტყის სახერხ ქარხნისათვის, რომელიც იქ ააგო ამას წინათ სატყეო მრეწველობის ტრესტმა.

ხაზი გაყვანილია ხის ბოძებზე, გადასავალ ადგილებზე დადგმულია რკინის მაჩტები. ტრანსფორმატორული კიოსკი აგებულია ძველ ქართულ სტილზე და წააგავს ძველებურ კოშკს.

ხაზზე ენერგია გაშვებული იქნა პირველად 5 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე მცხეთის ყველა ქუჩები და მოსახვევები ისევე გაჩახჩახებული იყო, როგორც თბილისში.

ადგილობრივი ბიუჯეტი

გორის სამაზრო ალმასკომის 1927-28 წლის ბიუჯეტი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გორის სამაზრო ალმასკომის ბიუჯეტი 1.553.105 მანეთის რაოდენობით.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გორის სამაზრო ალმასკომის ბიუჯეტი ზრდის შემდეგ სურათს იძლევა. 1923—24 წელს—275.519 მან., 1924—25 წ. 765.184 მან., 1925 — 26 წელს — 1.254.431 მან.; 1926 — 27 წ. 1.431.557 მან. და 1927—28 წლისათვის 1.553.105 მან.

სიღნაღის სამაზრო ალმასკომის ბიუჯეტი 1927—28 წ.

სიღნაღის სამაზრო ალმასკომის ბიუჯეტი 1927—28 წლისათვის დამტკიცებულია 1.076.000 მანეთის რაოდენობით. ბიუჯეტი შედგენილია უდეფიციტოდ და შარშანდელთან შედარებით გადიდებულია 100.000 მანეთით, რაც 10 პროც. შეადგენს. ბიუჯეტი გაჯანსაღებულია იმ მხრივაც, რომ საშემოსავლო ნაწილში უმთავრესი ადგილი უჭირავს არა გადასახადებს,არამედ წარმოებათა და მეურნეობათა შემოსავალს. თემის ფარგლებში არსებული სკოლების და სხვა დაწესებულებათა შენახვა შეტანილია თემის ბიუჯეტში. ამიტომ თემალმასკომებთა ბიუჯეტები წელს სიღნაღის მაზრაში შესამჩნევად არის გადიდებული. სიღნაღის მაზრაში არსებულ 29 თემიდან წ. უდეფიციტოა 17; დანარჩენი 72 დეფიციტიანია. ამ უკანასკნელთ ალმასკომი აძლევთ დოტაციას თავის ფონდიდან.

საქართველოს ცაკში

გაცემული დახმარების რაოდენობა. საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით, შორაპნის მაზრაში გლეხკომებმა ინვალიდებს, ობლებს და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს საბიუჯეტო წლის მეოთხე კვარტალში დახმარებათ მისცა 939 მანეთი და 50 კაპ., ღარიბ გლეხებს მეურნეობაში მოსახმარად ასესხა 1.576 მანეთი და 31 კაპ., კოოპერატივში წევრებად შეიყვანა თავის ხარჯზე 47 კაცი, და დახმარების სახით მისცა სხვადასხვა სახის დაწესებულებებს 715 მანეთი და 89 კაპ., შრომით აღმოუჩინა დახმარება წითელ არმიელების 9 ოჯახს.

დახმარება გლეხის სახლს. — დუშეთის სამაზრო გლეხკომს, რომელმაც გახსნა ოქტომბრის 10 წლის თავზე დუშეთში გლეხთა სახლი. ავეჯეულობის შესაძენად დახმარების სახით მისცა საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ ხუთასი (500 მ.) მანეთი.

— **ინვალიდების თავშესაფარი ფოთში.** —ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე საქართველოს ცაკში მიღებული ცნობით, ფოთში გაიხსნა ამხ. კ. ხომერიკის სახელობის ინვალიდების თავშესაფარი.

— **ქუთაისის მაზრაში.** — საქ ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით, ივლისში, აგვისტოში და სექტემბერში ქუთაისის მაზრაში მომუშავე გლეხკომებმა ინვალიდებს და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს დახმარება მისცეს 1.267 მანეთი და 37 კაპ., ასესხეს ღარიბ გლეხებს 1.361 მანეთი და 80 კაპ.. თავის ხარჯზე კოოპერატივებში ჩასწერეს წევრებად 311 ღარიბი გლეხი, სხვადასხვა სახის დაწესებულებებს ამავე დროს განმავლობაში დახმარების სახით მისცეს 277 მანეთი და 91 კაპ., უფასო შრომით დახმარება აღმოუჩინა 103 ოჯახს.

ახალი კათედრა

სახელმწიფო უნივერსიტეტში

სახელმწიფო უნივერს. პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან დაარსდა კათედრა **ბოჭკოვან მასალათა მექანიკურ და ქიმიურ ტეხნოლოგიისა.**

შესწავლილი იქნება მექანიკური და ქიმიური დამუშავება მატყლისა, აბრეშუმისა, ბამბის სელისა და ძაფის რთვა, ქსოვილების ქსოვა, თეთრება და ღებვა.

ამ კათედრაზე ფაკულტეტის მიერ მოწვეულია **ინჟ. ვალერიან ახვლედიანი.**

14 ნოემბერს ფაკულტეტის სხდომაზე ინჟ. ახვლედიანმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე **„თუშური მატყლი და მისი გამოყენება კამვოლისა და მაუდის ქსოვილებისათვის".**

ლექციაზე ნაჩვენები იყო ჩვენი მატყლისგან დამზადებული სხვადასხვა ქსოვილები.

თავის მოხსენებაში ინჟ. ახვლედიანმა ის აზრი გამოსთქვა, რომ თუ ჩვენი მატყლის დახარისხების სულ სხვა მეთოდს შემოვიღებთ, ვიდრე დღეს ხმარობენ, ქსოვილებს გაცილებით მაღალ ხარისხისას დავამზადებთ.

მისი აზრით, პოლიტეხნიკური ფაკულტეტის მიერ გადადგმული ნაბიჯი დიდად შეუწყობს ხელს ჩვენში ახლად ფეხ ადგმულ მატყლისა და აბრეშუმის მრეწველობას.

ამ საქმეში დიდათ არიან დაინტერესებული საქ. აბრეშუმისა და საფეიქრო ტრესტები, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, საზოგადოება „მეჭყიმსი". ჯარისთვის ქსოვილების მიმწოდებელი სამხედრო უწყება და ფართოდ განვითარებული ჩვენი საფეიქრო შინამრეწველობა.

ახალი ქარხნები

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განიხილა საქართველოში და ავტონომიურ რესპუბლიკებში ახალი წარმოებების მოწყობის გეგმა და დაადგინა: სამხრეთ - ოსეთში აიგოს ხე-ტყის სახერხი ქარხანა და მის მოსაწყობად გადაიდოს 294.000 მანეთი. საგეგმო კომისიამ აგრეთვე დაადგინა აფხაზეთში სატყეო კაბინეტის მოსაწყობად გადაიდოს—590.000 მანეთი, აქედან 250.000 მანეთი გადაიდება ადგილობრივი თანხებიდან, ხოლო 340.000 მანეთი გამოთხოვილი იქნება საკავშირო სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამას გარდა საგეგმო კომისიამ განიხილა ადგილობრივი მრეწველობის გაფართოების საკითხი ოზურგეთის მაზრაში და სახალხო მეურნეობის უმ. საბჭოს დაავალა გამოარკვიოს, თუ ოზურგეთის მაზრაში რომელი წარმოების გაფართოება იქნება მიზანშეწონილი, რის შემდეგ დაიწყება ახალი წარმოებების მოწყობა აღნიშნულ მაზრაში. ოზურგეთის მაზრაში ახალი მრეწველობისათვის წელს დაიხარჯება 50.000 მანეთი.

გორის აღდგენა

მუშაობა ქ. გორის აღსადგენად აჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. უკანასკნელ თვეში ქალაქის ალმასკომმა „ახალშენის" რაიონში მცხოვრებლებს გადასცა 40 მიწის ნაჭერი ახალ სახლების ასაგებად. თვითეული ნაჭერის ნორმას შეადგენს 200 კვ. საჟენი. იმ შემთხვევაში, თუ კი იგი ქალაქის ცენტრს ახლო მდებარეობს, და 400 საჟენი თუ იგი ქალაქის განაპირა უბანში მდებარეობს, ზოგიერთ მცხოვრებლებს ალმასკომის მიერ მიცემულ ადგილზე უკვე, შეუდგენ სახლების აგებას.

მდ. ფშანის წყალზე ძველი ხის ხიდის მაგივრად ქალაქის ალმასკომი აშენებს ტინობის ახალ ხიდს; რომელიც რამოდენიმე ათასი მანეთი უჯდება, მიმდინარეობს ქალაქის აბანოს შენობის მეორე ნაწილის აგება. გაწმენდილი და გასუთავებული ჰიდროელსადგურის არხი, რომლის სათავეში მოწყობილია მექანიკური შლიუზები. ტყავის ქარხნის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ქალაქის საბჭომ ააგო თრიმლის საფქვავი წისქვილი.

ტელეფონის ახალი ქსელი

ოქტომბრის ათი წლისთავიდან ბათომში მოქმედება დაიწყო ტელეფონის ახალ სისტემამ, რომლის მოსაწყობად მთელი გასული წლის განმავლობაში სწარმოებდა მუშაობა. საჰაერო ხაზი შეცვლილია მიწისქვეშა კაბელით, რისთვის გაყვანილია თხრილები 2 კილომეტრის სიგრძეზე იმ ანგარიშით, რომ კანალიზაცია დააკმაყოფილებს ტელეფონის ქსელის ზრდას 20 წლის განმავლობაში კაბელი დაწყობილია 4 ვერსის მანძილზე ამჟამად ტელეფონების დიდი ნაწილი გადაყვანილია კაბელზე. ჯერჯერობით ქსელი აკმაყოფილებს 800 აბონენტს. ტელეფონის დგმის მსურველთა რიცხვი იზრდება. ტელეფონის ქსელი ახალი სისტემის შემოღებაზე დაიხარჯა დაახლოებით 65.000 ათასი მანეთი. მთელი სამუშაოები ქსელის გადასაკეთებლად შესრულებულ იქნა ადგილობრივი ძალებით.

როგორ მიმდინარეობს გადასვლა ზაჰესის დენზე

ზაჰესის დამთავრებისას.—განაცხადა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში „თელასის" მთავარმა ინჟენერმა **მ. არისტაკოვმა**,—„თელასის" ქსელი უკვე გადაკეთებული იყო. ზაჰესის ტრანსფორმატორულ სადგურებს გარდა „თელასის„ მიერ ქალაქის სხვადასხვა ადგილებში აშენებული იყო დამეტებითი ტრანსფორმატორული ბუდკები.

ხუთი ბუდკის აგება გადადებული იყო მიმდინარე წლისათვის, სანამ გამოირკვეოდა რეალური დატვირთვა; ამ ბუდკების აგება უკვე დაწყებულია და უახლოესი თვეების განმავლობაში გაძლიერებული იქნება ელექტრო-შუქი ზედმეტად დატვირთულ რაიონებში, როგორიც არის, მაგალითად; პლეხანოვის პროსპექტი, ალავერდისა და პურის მოედანი და გამსახლი.

აბონენტების უმრავლესობა უკვე გადაყვანილია ზაჰესის დენზე. აბონენტებს მიერ ჯგუფი, რომელიც ამჟამად სარგებლობს „არტოს" სადგურის ელექტრო-ენერგიით, ახლო მომავალში გადაყვანილ იქნება „თელასის" ქსელზე.

რაც შეეხება მატორიან აბონენტებს, უნდა ითქვას, რომ მცირე მატორების უმრავლესობა უკვე გადყვანილია ზაჰესზე. მსხვილი წარმოებების გადაყვანა კი აქამდი შეუძლებელი იყო საჭირო აპარატურის უქონლობის გამო. ს. მ. უ. ს.-ის ცნობებით, აპარატურის ნაწილი უკვე მიღებულია და ზოგიერთ ქარხნებში დაიწყო ახალი მატორების დადგმა. ასეთია, მაგალითად კალინინის სახელობის ქარხანა, 26 კომუნარის სახელობის ქარხანა, გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკა და სხვა. დანარჩენი წარმოებები. როგორიც არის ტყავის ტრესტი, საპონ-ზეთის ტრესტი და სხვები, მუშაობას დაიწყებენ მატორების მიღებისთანავე. რკინის გზამ უკვე დაიწყო მუშაობა ზაჰესის დენზე გადასასვლელად. საამშენებლო მუშაობა დაწყებულია და ამ დღეებში „თელასი" შეუდგება მავთულების გაბმას დიდუბის ქვე-სადგურიდან.

კომუნალური განყოფილების წარმოებებიდან ტრამვაი ამ დღეებში გადავა ზაჰესის დენზე მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც. სასაკლაოზე ელექტრო-მოწყობილობა გადაკეთებულია. შეკვეთილია საჭირო აპარატურა, რომელიც ახლო მომავალში იქნება მიღებული.

მსხვილი აბონენტებიდან ზაჰესის დენზე გადასულია ლუდის ქარხანა, სახკინმრეწვი, რადიოსადგური, „ზარია ვოსტოკას" სტამბა, მაკარონის ფაბრიკა; ხე-ტყის სახერხი ქარხანა ნაწილობრივ ზაჰესის ენერგიით მუშაობს. რუსთაველის თეატრი შეუდგა საამშენებლო მუშაობას და ტრანსფორმატორების მიღებისთანავე დახურავს თავის სადგურს.

თითქმის ყველა მსხვილმა სტამბებმა მიიღეს საჭირო მოწყ. და ამჟამად მუშაობას აწარმოებენ ახალი მატორების დასადგმელად. ასე, მაგალითად, პოლიგრაფტრესტის მეხუთე სტამბა ოცი დღის შემდეგ გადაყვანილი იქნება ზაჰესის დენზე.

ბინების მოწყობა მავთულებით არ სწარმოებს ისეთი ტემპით, როგორიც სასურველია უმთავრესად კვალიფიციური მუშა ხელის (მანტიორები; ბრიგადირები) ნაკლებობის გამო, მაგრამ მიუხედავად ამისა ზაჰესის ენერგიაზე უკვე გადყვანილია 20.000 წერტილზე მეტი მიმდინარე წელში მიღებული იქნება ენერგიული ზომები მუშაობის ტემპის გასაძლიერებლად უმთავრესად განაპირა უბნებში, სადაც „თელასის" მიერ გამოყოფილი იქნება სპეციალური ბრიგადები. მიღებულია აგრეთვე ზომები ელექტრო-გაყვანილობის ფასის შესამცირებლად. რამდენათაც ეს შესაძლებელია. ამ მხრივ სწარმოებს სათანადო მოლაპარაკება.

აქ საჭიროა მოქალაქეების ყურადღება მივაპყროთ იმ გარემოებაზე, რომ ისინი ხშირად შეცდომაში შეყავთ კერძო მანტიორებს, რომლებსაც, ვითომდა; უფრო იაფად გაჰყავთ ელექტრო-მოწყობილობა, ვიდრე „თელასს", ნამდვილად კი ისინი უფრო მეტს იღებენ, რადგან შინაური გაყვანილობის ღირებულებას შემდეგ ემატება მაგისტრალების, პლომბიანი ყუთების და სხვათა ღირებულება. ამას ყურადღება უნდა მიაქციონ მოქალაქეებმა და არ უნდა წამოეგონ სპეკულიანტების ანკესზე.

ამჟამად სწარმოებს მუშაობა ელექტრო-ქსელის გასაყვანად ზემო და ქვემო ავჭალაში და ახლო მომავალში მუშაობა დაიწყება სოფელ გლდანში. მთელი მუშაობა დამთავრებული იქნება ოთხი თვის განმავლობაში. განაპირა უბნების ზოგიერთ ქუჩებზე ქსელი კიდევ არ არის გაყვანილი. შეფერხება გამოიწვია ქუჩების აგეგმვამ. ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ დაიწყება ქსელის გაყვანა; საჭირო მასალა უკვე დამზადებულია.

ზაჰესის ამუშავებამდე „თელასს" თბილისში ჰქონდა 16 სადგური, ამ სადგურებიდან ამჟამად მუშაობს მხოლოდ ორი—მესამე და მეორე სადგური—მცირე დატვირთვით. სხვათა შორის ერთი სადგური გუშინ დაიხურა. ეს ორი სადგური მუშაობს სტამბებისათვის ეს უკანასკნელები როგორც კი მიიღებენ საჭირო მოწყობილობას. სადგურების მუშაობა შეჩერებული იქნება. მომავალი წლიდან თბილისში აღარ იმუშავებს „თელასის" არც ერთი ელექტრო-სადგური.

ქრონიკა

ჩეხო - სლოვაკიის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლა

ორშაბათს, 21 ნოემბერს, მოსკოვიდან თბილისში ჩამოვა ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია 16 კაცის შემადგენლობით.

დელეგაცია თბილისში დარჩება ორი-სამი დღე და დაათვალიერებს წარმოება - დაწესებულებებს.

ამხ. სოლცის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრი ამხ. სოლცი.

გ. ისმაილ - ხანის დაბრუნება

თბილისში დაბრუნდა სპარსეთის გენერალური საკონსულოს პირველი მდივანი თბილისში **გ. ისმაილ - ხანი**, რომელიც დროებით ასრულებდა სპარსეთის კონსულის მოვალეობას ერევანში.

პურის ქარხანა

მუშკოოპი შეუდგა პურის დიდი ქარხნის აგებას დიდუბეში. ქარხნის დამთავრება განზრახულია 1928 წლის პირველ სექტემბრისათვის.

ქარხანა ყოველთვიურად გამოაცხობს 9.750 ფუთ შავ და 29.250 ფუთ თეთრ პურს.

მილოცვა განათლების კომისარიატს

განათლების კომისარიატმა მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა: „შამიანის, აკურის, იყალთოს და ხოდაშენის თემების მასწავლებელთა კონფერენცია მხურვალე სალამს უძღვნის განათლების კომისარიატს და ფიცს სდებს, რომ აღნიშნულ თემების მასწავლებლები მთელი შესაძლებლობით იმუშავებენ საბჭოთა ახალი თაობის აღზრდის საქმეში და საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად.

მოწყობილობა ჩაის ქარხნებისათვის

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ლონდონიდან მიიღო ცნობა, რომ ამ დღეებში ლივერპულიდან გემ „კალინინი"-თ ამიერ - კავკასიაში გამოიგზავნა მოწყობილობა ჩაის ქარხნებისათვის, რომელიც ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიერ შეკვეთილი ჰქონდა ფირმა „მარშალს".

„ზაკსოიუზი"-ს საბჭოს მეშვიდე სესია

26 ნოემბერს გაიხსნება „ზაკსოიუზი"-ს საბჭოს მეშვიდე სესია. სესია „ზაკსოიუზის" გამგეობის საინფორმაციო მოხსენების გარდა განიხილავს, ორგანიზაციის მიმდინარე წლის სავაჭრო - საფინანსო გეგმებს და სხვა საკითხებს.

უმიწაწყლო გლეხები

საგეგმო კომისია შეუდგა დაწვრილებითი გეგმის შედგენას საქართველოში მცხოვრებ უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხების ახალ ადგილებზე მოსაწყობად. გლეხებს ახალ ადგილებზე დასასახლებლად მიეცემათ გრძელვადიანი სესხი, საამშენებლო მასალა, საძოვრი და სახნავ-სათესი ადგილები.

ადგილობრივი მეურნეობა

სამაზრო ალმასკომებს დაევალათ ადგილობრივი მეურნეობის გეგმების შედგენა. ალმასკომებისათვის ამ მიზნით დირექტივების მისაცემად და გეგმების შედგენისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად საგეგმო კომისიამ დაარსა კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. კვირიკაძე (თავმჯდომარე), ა. სიგუა, ი. კარბელაშვილი, ვ. ცომაია და ოქროპირიძე.

შრომის ნაყოფიერება

საგეგმო კომისიამ განიხილა შრომის ნაყოფიერების სტატისტიკური აღრიცხვის საკითხი და ეკონომიურ - სტატისტიკურ სექციას დაავალა ერთი თვის განმავლობაში შეადგინოს დაწვრილებითი გეგმა შრომის ნაყოფიერების აღრიცხვის სტატისტიკის მოსაწესრიგებლად.

აჭარის წყალის ჰიდროელსადგურის შემოწმება

დღეს აჭარის წყალის ჰიდროელსადგურის ნაგებობათა დასათვალიერებლად და შესამოწმებლად მიემგზავრება ს. მ. უ. ს. მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისია.

კომისიაში შედიან გეოლოგები და საგვირაბო საქმეთა სპეციალისტები, რომლებმაც უნდა შეამოწმონ ყველა ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოები.

გეოდეზიური კომისია

საქართ. სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან დაარსდა გეოდეზიური კომისია. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა სამრეწველო - საამშენებლო სექციის თავმჯდომარე ინჟ. ალშიბაია, იმავე თანამდებობაზე დატოვებით. ინჟ. ალშიბაიას დაევალა შეადგინოს გეოდეზიურ კომისიის შტატი და მისი მუშაობის გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინოს საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს.

თბილისის ალმასკომში

◆ დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილებას დახმარების სახით თბ. ალმასკომმა გადასცა 500 მან.

◆ გარე უბნებში წყალსადენის მთავარი მაგისტრალების გასაყვანად გადაიდო 60.000 მან.

◆ ალბულაღის საბავშვო ახალშენის მდგომარეობის გამოსარკვევად განათლების განყოფილებამ ადგილობრივ მიავლინა კომისია. გამოკვლევის შემდეგ განზრახულია ახალშენის გაფართოვება.

◆ **განათება ტრაქტორებით.** თბ. ალმასკომმა გადასწყვიტა ზამთრის განმავლობაში ტრაქტორებით მაზრაში მოაწყოს სასოფლო დაწესებულების განათება.

მიწსახკომში

◆ **სამკურნალო მცენარეები.** მიწსახკომმა გადასწყვიტა ჯანსახკომთან ერთად შეუდგეს სამკურნალო მცენარეების გაშენებას.

◆ საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად მიწსახკომმა გერმანიიდან მიიღო 22 საუკეთესო ჯიშის ძროხა.

◆ **ხეხილის ნერგები.** სახალხო მამულების ტრესტმა მუხრანის მამულში დაამზადა 30 ათასი ძირი სხვადასხვა ხეხილის ნერგები, რომლებიც დაურიგდებათ მებაღე გლეხებს.

◆ სეტყვისაგან დაზარალებულ ბაღ-ვენახების აღსადგენად მიწსახკომმა გადასდო 8461 მანეთი.

◆ **ტყეების მოწყობა.** მიწსახკომმა თელავსა, სიღნაღსა ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში მიავლინა ტყის მომწყობი რაზმები ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მოსაწყობად.

◆ **ძვირფასი კულტურები.** მიწსახკომმა დაადგინა მომავალ წლიდან ფართოთ შეუდგეს კულტურულ მცენარეების მეურნეობას. ამ მიზნით მიწსახკომი იმუშავებს გეგმას.

სასოფლო მეურნეობა

◆ **ღვინის შეძენა.** რაჭის საკრედიტო ამხ-ბა შეუდგა ღვინის შეძენას გლეხებისაგან.

◆ **თამბაქო.** წელს თამბაქოს მოსავალი გურიაში საშუალოზე ნაკლებია.

◆ **გამგეობათა გადარჩევა.** თელავის მაზრაში დაიწყო კოოპერატივების გამგეობათა გადარჩევა.

◆ **არაყის დამზადება.** წელს გურიაში დამზადებული იქნება ნახევარი მილიონი გრადუსი არაყი.

◆ **სასოფლო-სამეურნეო ბანკის სიღნაღის** განყოფილება გადატანილი იქნა გურჯაანში.

◆ **ხარჯების შემცირება.** სიღნაღის სას.-სამ. კოოპერატივის გამგეობამ ხარჯები შეამცირა 25 პროც.

საბინაო მშენებლობა

◆ **ამხანაგობების რიცხვი.** ამჟამად თბილისში არსებობს 32 საბინაო-საამშენებლო ამხ-ბა.

◆ **ახალი სახლები.** დაარსებიდან დღემდე საბინაო - საამშენებლო ამხ-ბების მიერ თბილისში აგებული იქნა 74 ახალი სახლი.

◆ **ნაძალადევში ამ დღეებში შეუდგებიან 2** ახალი სახლის აგებას.

◆ **სახლების შეკეთება.** საბინაო-საიჯარო ამხანაგობებს წინადადება მიეცათ საფუძვლიანად შეაკეთონ სახლები და გასწმინდონ ღუმელები.

სხვადასხვა

◆ **ერთიანი დროშები.** საქ. ცაკთან არსებული უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისია აცხადებს დარაბების მქონე სახლის მეპატრონეთა და მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ერთიანი დროშების დარიგება დაიწყება ახლო ხანში იმ უბნებში, საიდანაც მიიღეს ქვითრები.

◆ **დამცველთა კოლეგიაში.** იუსტიციის სახ. კომისარიატში კვირას 20 ნოემბ. შესდგება დამცველთა კოლეგიის სხდომა ახალ პრეზიდიუმის ასარჩევად.

◆ **მანქანების მიღება.** სახ. მეურ. უმ. საბჭომ გერმანიიდან მიიღო ქუთაისის ბარიტის ქარხნისათვის საჭირო მანქანები და მოწყობილობა.

◆ **საცხებელი სარდაფები.** მუშკოოპი ნავთლუღში აგებს საცხებელ სარდაფებს.

— **სკოლის გარეშე განათლების** მუშაკთა სახლში დღეს საღამოს 7 ს. მოხდება საბავშვო ბიბლიოთეკის საზეიმო გახსნა. მოხსენებებს წაიკითხავენ: ა. ბახტაძე და ვ. ბრ[illegible]. შემდეგ გაიმართება საბავშვო საღამო.

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** ჭიათურიდან—მესხიშვილს, ქუთაისიდან—გიგიაშვილს, ბათომიდან—ხანჯარიას. ბაქოდან ედიგაროვს; ორდუბათიდან—კარგანოვს.

შემთხვევები

მკვლელობა ალბულაღის რაიონში

ალბულაღის რაიონში მოქ. არამ ასრაკიანმა მოჰკლა ყოფილი ცოლი თამარა აბრაკიანი და ამ უკანასკნელის ძმა არამ აბრამიანი (იხ. ჩვენი გაზეთის ხუშინდელი ნომერი).

. გუშინ, სისხლის სამართლის მილიციაში მიღებული იქნა დაწვრილებითი ცნობები მკვლელობის შესახებ.

როგორც გამოირკვა, რამარა ასრაკიანი ქმარს განშორებია იმის გამო, რომ იგი (ქმარი) ავიწროებდა მას და უხეშად ეპყრობოდა. განშორების შემდეგ შვილი დედამ წაიყვანა.

ასრაკიანმა რამოდენიმეჯერ სთხოვა ყოფილ ცოლს დაებრუნებია მისთვის შვილი, მაგრამ ქალი უარზე იყო.

ბოლო ხანებში თამარა ასრაკიანი მასწავლებლად დანიშნეს სოფ. დაგეთხაჩინში და საცხოვრებლად მშობლებთან იმყოფებოდა.

ასრაკიანმა გადასწყვიტა ყოფილ ცოლის მოკვლა. ამ მიზნით იგი დანითა და ხანჯლით შეიარაღებული ღამით ადესხა აბრამიანის ოჯახს.

ასრაკიანი შეიპარა ქალის საწოლ ოთახში და მძინარეს დანა ჩასცა მუცელში. ქალმა გამოიღვიძა და მორთო კივილი. მაგრამ ასრაკიანმა ხელები წაუჭირა მას ყელში და ხანჯლით ჩასცა გულში. ქალი იქავე გარდაიცვალა.

ხმაურობაზე გამოიღვიძა ქალის ძმამ, რომელსაც მახლობელ ოთახში ეძინა. იმ დროს. როცა მკვლელი მიიპარებოდა, აბრამიანი დაეწია ასრაკიანს და შეებრძოლა. უკანასკნელმა აბრამიანს დასცა და ზურგში ჩასცა დანა. მიყენებულ ჭრილობებისაგან აბრამიანი გარდაიცვალა.

მილიციის მიერ მიღებული ზომებით მკვლელი დაპატიმრებულია.

◆ **სასტუმრო „ორიანტის"** წინ 17 ნოემბ. შეიპყრეს ქურდი ეგნატიევი.

◆ **სამკერვალოს გაქურდვა.** 17 ნოემბ. გრიფის ქ. 12 გაქურდეს მოქ. ჯაფარიძის აზიური ტანისამოსის სამკერვალო.

◆ **მუშკოოპის მაღაზიაში** (მდებარე თავისუფლების მოედანზე) მუშანიკა მარტიროსოვს მოპარეს რედიკული ფულით და სხვადასხვა საბუთებით.

◆ **ღიათ დატოვებულ კარებიდან 17 ნოემბ.** ლენინის ქ. 22 ანა გედევანს მოპარეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები და ტანისამოსი.

◆ **ამავე დღეს** ჰონქაძის ქ. 15 გაქურდეს აშხენ აგაბალიანის ბინა. წაიღეს 300 მ. ნივთები.

◆ **ბოქლომის აგლეჯის** საშუალებით 17 ნოემბ. ეტაპის ჩიხი 5 გაქურდეს ზაქარია ბასილაშვილის ბინა.

◆ **ამავე დღეს** ავჭალის მოედ. 5 ვლადიმერ კარგარეთელის ბინიდან მოიპარეს 225 მ. ნივთები.

◆ **პალტოების მოპარვა.** 17 ნოემბ. პლეხ. გამზ. 181 ვასილ ჩხაიძის ბინის დერეფანიდან მოიპარეს მასთან მყოფ სტუმრების პალტოები.

თათბირი კოოპერატიულ სამმართველოში

გუშინ დამთავრდა საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ კოოპერატიულ სამმართველოს მიერ მოწვეული თათბირი. თათბირი გაგრძელდა ორ დღეს. მას დაესწრენ წარმომადგენლები: ცეკავშირიდან, „ზაკსოიუზი"-დან, „ხლებოპროდუქტი"-დან, საფეიქრო სინდიკატიდან, „ტექსტილტორგი"-დან, ვაჭრობის სახ. კომისარიატიდან და საქ. სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო საზოგადოებიდან.

თათბირმა განიხილა საკითხები: საქართველოში კამვოლის და შალის ნაწარმოებთა შემოზიდვის, ცეკავშირისათვის ყოველთვიურად გეგმის გარეშე ათი ვაგონი დაბალი ხარისხის ფქვილის შემოზიდვის ნების დართვის, „ტექსტილტორგი"-ს სავაჭროების შემცირების და კერძო ვაჭართა კომიტეტისათვის ფართლეულის მიცემის შეწყვეტის შესახებ.

კამვოლის და შალის ნაწარმოებთა შემოზიდვის საკითხის განხილვის დროს გამოირკვა, რომ თანახმად უმაღლეს ორგანოების დადგენილებისა ეს ნაწარმოები შეიძლება შემოზიდულ იქნენ მხოლოდ გადამუშავებული სახით (მზა ტანთსაცმელი).

ამის მიხედვით თათბირმა აღძრა შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, რომ კამვოლისა და შალის ნაწარმოები საქართველოში შემოზიდული იქნას დაუმუშავებელი სახით.

მდარე ხარისხის პურის ფქვილის შემოზიდვის საკითხი თათბირმა დაავალა კოოპერატიულ სამმართველოს აღძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა ცეკავშირს ნება მიეცეს ყოველთვიურად, გეგმის გარეშე შემოზიდოს ათ-ათი ვაგონი დაბალ ხარისხის ფქვილი გლეხობის დასაკმაყოფილებლად.

ვინაიდან სამომხმარებლო კოოპერაცია დღეს იმდენად ძლიერია, რომ იგი თავისი ქსელის საშუალებით სავსებით აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს ფართლეულის მოწოდების მხრივ, პარალელურად „ტექსტილტორგი"-ს სავაჭროების არსებობა ზედმეტად არის ცნობილი.

ამის მიხედვით თათბირმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ვაჭრობის კომისარიატის წინაშე, რომ „ტექსტილტორგს" მიეცეს წვრილმანი ვაჭრობის წარმოების უფლება, თუ იგი ფართალს შემოიტანს გეგმის გარეშე.

თათბირმა საჭიროდ სცნო აგრეთვე შეწყდეს ფართლის მიწოდება კერძო ვაჭრებისათვის. სამი ვაგონი ფართალი, რომელიც კერძო ვაჭართა კომიტეტს ეძლეოდა ყოველ კვარტალში, გადაეცემა ცეკავშირს.

ახალწვეულნი

1905 წელში დაბადებულ ახალგაზრდათა გაწვევა წითელ ჯარში ჩატარდა წარმატებით. გამწვევი კომისიების ენერგიული მუშაობით და წინასწარ მიღებული ყველა საჭირო ზომებით მიღწეული იქნა ახალგაზრდათა 100 პროცენტით გამოცხადება გაწვევაზე. ამის გარდა გასაწვევ ახალგაზრდობიდან გადარჩეულ იქნენ სრულიად ჯანმრთელნი, რომლებიც აიტანენ წითელი არმიელის მძიმე ცხოვრებას და ბრძოლის დროს ადვილად გადალახავენ ყოველგვარ გაჭირვებას.

ახალწვეულებს, დღიდან დანიშნისა ნაწილში სამსახურის გასავლელად, მიეცათ მოკლე ვადიანი შვებულება თავისი პირადი საქმეების მოსაგვარებლად. მათი შვებულება დამთავრდა და წითელ ყაზარმას უკვე ესტუმრენ ახალწვეული წითელარმიელნი.

სადგურზე ახალწვეულებს ძველი მსახურნი არმიელნი ხვდებიან ზეიმით. ყოველ ეშელონის მოსვლისას იმართება მიტინგი. ახალწვეულებს ულოცავენ წითელი არმიელის წოდების მიღებას. სადგურიდან ახალწვეულნი მიემართებიან ყაზარმისაკენ. მიდიან მწყობრად. მხედრული ნაბიჯით და ლაშქრული სიმღერებით. ახალწვეულებმა კარგად იციან მხედრული სიარული მწყობრში. მეტ წილს გავლილი აქვთ სამხედრო წვრთნამდე მზადება, იციან წითელი არმიელის მოვალეობა და უეჭველია არ გაუძნელდებათ როთული სამხედრო საგნების შეთვისება.

ახალწვეულთა სულიერი განწყობილება კარგია. ბევრი მათგანი პირველად არის თბილისში და ქალაქი მეტად აინტერესებს მათ. ყველას აქვს სურვილი შეიძინოს წითელ ყაზარმაში სამხედრო ცოდნასთან ერთად სხვა ისეთი ცოდნაც, რომელიც მას გამოადგება შემდეგში მუშაობის დროს.

აი, ახალწვეული ნამგალაური, ჩამოსული მთიულეთიდან. „სახლში ვერ ვისწავლე წიგნი, სკოლა არ გვქონდა. ამბობენ ყაზარმაში ყველაფერს ასწავლიანო; ჩემი საქმე სწორედ ეს არის"—ამბობს იგი მხიარულად და თან ათვალიერებს ყაზარმის უზარმაზარ შენობას.

მრავლად არიან ახალწვეულთა შორის კახელები, გურულები, მეგრელები. მათ შორის უკვე გაბმულია მეგობრული კავშირი, ესაუბრებიან ერთი-მეორეს, მართავენ ცეკვა-თამაშს, უმასპინძლდებიან სოფლიდან ჩამოტანილი ტკბილეულობით და სანოვაგით.

ახალწვეულნი რამდენიმე დღეს დაჰყოფენ კარანტინში და შემდეგ შეუდგებიან სამხედრო საქმის შესწავლას.

მათი მხიარული გამოხედვა, სწავლის შეძენის წყურვილი თავდებია იმის, რომ ახალწვეულნი სავსებით გაამართლებენ მათზე დამყარებულ იმედს.

ზ. ა.

სასამართლო

„სამალარიჩო“-გამოცლილ ტიკების დაბრუნებისათვის

მცხეთაში ერთი ინვალიდი სცხოვრობს, ხელობით მეწაღე, გვარათ კაპანაძე. ერთ დღეს კაპანაძე თავის სავაჭროს მახლობლად პურსა სჭამდა თავის ბიძაშვილთან ერთად. უეცრად მათთან შეიჭრა ავჭალის სამილიციო რაიონის უფროსი **ნესტორ ზენაიშვილი** თავის ხელქვეით მილიცია-თანხლებით.

— შენ ასეთო, შენ ისეთო, ვინ მოგცა ვაჭრობის ნება. ეხლავე შენი სავაჭრო დაკეტე, თორემ მე შენ გიჩვენებ ფეთებას. წამოდი, გამიძეხი წინ რა გიწყვია შენს სავაჭროში სულ ყველაფერი უნდა გავჩხრიკო, — უყვიროდა ზენაიშვილი კაპანაძეს.

უფროსმა დაიწყო ჩხრეკა და აღმოაჩინა შემდეგი „განძეულობა“: 6 კვარტი არაყი, ორი ტიკი ღვინო, 10 კოლოფი პაპიროსი, ასანთი და სხვ.

— ოჰო! ეს კარგი საქმეა! — ჩაულაპარაკა თავის თანამშრომელს ზენაიშვილმა.

დაბრუნდა უფროსი მილიციელი ხელდამშვენებული.

— კარგი კიდევ, რომ ასე ადვილად გადავრჩი, თუ კიდევ არ „მიშარა“, — სთქვა კაპანაძემ და გულისტკივილით თვალი გააყოლა ტიკებს, რომლებიც ზურგზე აეკიდა უფროსის ხელქვეითს.

გავიდა რამოდენიმე დღე. ზენაიშვილმა ჩამოუარა კაპანაძეს.

— აი, ეს ცარიელი ტიკები მოგიტანე და „მალარიჩი შენზეა“, — გადაუკრა სიტყვა ზენაიშვილმა.

— ეს ხუთი მანეთი ეხლა ინებეთ და დანარჩენი მერე იყოს, — ჰკადრა „უფროსს“ კაპანაძემ.

— ისიც კარგია, „ყვავს, რომ კაკალი გააგდებიო“, — გაიფიქრა ზენაიშვილმა, გამოართვა ხუთი მანეთი, ხოლო „დანარჩენზე“ შევლა კი ბლარ დასცალდა.

ზენაიშვილი დააპატიმრეს და გაგზავნეს სადაც ჯერ არს.

ვ.

მეჯურნე ხახვიაშვილის საქმე

თბილისის სამაზრო სასამართლოში ირჩევა **მეჯურნე პლატონ ხახვიაშვილის საქმე.**

ხახვიაშვილმა ხუთი თვის წინ დანით მოჰკლა თავისი ცოლი ელენე.

ბრალდებულმა სასამართლოში განაცხადა, რომ ვერ შეეთვისა ცოლის ხასიათს. მუდამ უსიამოვნება ჰქონდა მასთან და უკანასკნელად სიმთვრალეში შემოაკვდა.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე **ამხ. კალანდაძე,** პროკურორი — **ქავთარაძე.** სახალხო მსაჯულები: **ზაქარიაძე** და **გოგელია.**

ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი **ს. დადიანი.**

ამხანაგის მოკვლის განზრახვა

ირაკლი ზაქარიაძე ქაჯაია და ტოგოშვილი სხვა ამხანაგებთან ერთად სცხოვრობდენ საერთო საცხოვრებელში (თბილისი, ელისაბედის ქ. № 119) ერთად, სჭამდენ ერთად სვამდენ, ერთად დადიოდენ სამეცადინოდ. ისინი იყვნენ კომკავშირლები.

ბოლო ხანებში მათ ხშირად მოსდიოდათ ჩხუბი. ა-წ. 3 სექტემბერს კი მათმა ჩხუბმა ტრაგიკული ხასიათი მიიღო. მოხდა ეს ასე:

ტოგოშვილი და მისი ამხანაგი სტურუა ერთმანეთს ეთამაშებოდენ კიბეზე, უჯიკავებდენ ერთმანეთს. ამ ხუმრობაში სტურუას ხელი გაეკაწრა მსუბუქად და გული მოუვიდა. სტურუას გამოესარჩლა ირაკლი ქაჯაია. მივარდა ტოგოშვილთან და შემოკრა სახეზე ხელი. ტოგოშვილმაც გარტყმით უპასუხა. ჩაერიენ სხვები და გააშველეს.

ქაჯაია ძალიან უკმაყოფილო და შეურაცყოფილი დარჩა მით, რომ ტოგოშვილმა ხელის შებრუნება გაუბედა და გაშველების შემდეგ ტოგოშვილს ასეთი სიტყვებით დაემუქრა:

„მე ბიჭი არ ვიქნები, შენ თუ არ მოგკალიო“.

კომკავშირელების საერთაშორისო დღეა. კომკავშირელების რიგები ქუჩებში ერთმანეთს ზედი-ზედ მისდევენ.

ქაჯაია უგუნებოთ არის და უარს ამბობს დემონსტრაციაში მონაწილეობაზე. დაღამდა. ტოგოშვილი დაღლილ - დაქანცული დაბრუნდა დემონსტრაციიდან, შევიდა ოთახში და მკვდარივით დაეძინა.

ღამის ოთხი საათია. ქაჯაიამ გააღო ტოგოშვილის ოთახის კარი. ხელში მომარჯვებული აქვს დანა. ოთახში სიბნელეა. გაჰკრა ასანთს. დაინახა ტოგოშვილი მძინარე და დაჰკრა ბეჭში დანა.

ტოგოშვილი ისე ღრმა ძილში იყო, რომ ვერც კი გაიგო დაჭრა.

— კაცო რად გამაღვიძე, — სთქვა მან, მაგრამ მალე ტკივილები იგრძნო წამოვარდა ზეზე, მიხვდა რაშიაც იყო საქმე და ყვირილით გაექანა კარებისაკენ. ქაჯაია დაედევნა, კიდევ უნდოდა დანის ჩარტყმა, მაგრამ სიბნელემ ხელი შეუშალა და ტოგოშვილი სიკვდილს გადარჩა სრულიად შემთხვევით. ყვირილზე გამოვარდენ მეზობლები. შეკრეს ქაჯაია და გაგზავნეს კომისარიატში.

საქმის გამოძიება უკვე დამთავრდა. საქმე ამ დღეებში გაირჩევა თბილისის სამაზრო სასამართლოში.

შრომის ინსპექცია

თბილისში დაარსდა მე-4 უბნის შრომის ინსპექციის კამერა, რომელიც ამჟამად მოთავსებულია თბილისის შრომის ბირჟის შენობაში. მის ფარგლებში შედის შემდეგი ადგილები: სოლოლაკის გვირაბიდან დაწყებული დუმბაძის, პუშკინის, რუსის, ვანქის, მადატოვის, გლეხთა სახლის კუთხემდე მტკვრის მარჯვენა მხარე და კუკიის პატარა ხიდიდან მტკვრის მარჯვენა მხარე ვერის ხიდის დაწყებამდე; აქედან ეორესის ქუჩის თავამდე მარჯვენა მხარე ყოფილ სომხის სემინარიის გადასწვრივ, არსენალის შარა გზა მარჯვნივ, ლაზარევის, ქალაქის, ვალიაევის ქუჩები. ღვინის დაღმართი ბაყლის ქუჩა, ავლაბრის პატარა ხიდი. კომუნალური ქუჩით აბანოს ქუჩამდე, მარჯვნივ ბოტანიკურ ბაღის შესავლიდან გადასწვრივ სოლოლაკის გვირაბის გამოსვლამდე. გარდა თბ. ტრამვაის ცენტრალურ ელექტრონის სადგურისა.

უმუშევართა კოლექტივები

უმუშევართა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით თბილისის შრომის ბირჟასთან არსებობს უმუშევართა კოლექტივები, რომელშიც ამჟამად მუშაობს 1.300 კაცამდე.

ამ კოლექტივებში 1926 წლის პირველ ოქტომბრიდან მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრამდე სამუშაო მიიღო 12.116 კაცმა.

ყოველ ექვსი თვის განმავლობაში კოლექტივები ივსება ახალ-ახალი თანამშრომლებით. კოლექტივებში მომუშავეთა უმრავლესობა მოდის საგზაო-სატრანსპორტო კოლექტივზე.

უმუშევართა კოლექტივებში მომუშავეთა საშუალო დღიური ხელფასი უდრის 2 მანეთს და 29 კაპ.

კოოპერატიული რძე

საგარეჯოს რაიონის მესაქონლეები რძეს აბარებენ საკომისიოთ საგარეჯოს სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას, უკანასკნელი ამავე პირობით აბარებს რძეს მუშკოოპს. მუშკოოპი რძის ყიდის კილოს 24 კაპ., საკრედიტო ამხანაგობას უსწორდება 17 კაპ. ანგარიშით, ხოლო უკანასკნელი მესაქონლეებს აძლევს რძის ფასად 10 — 12 კაპ. ამრიგად რძის ფასი მწარმოებლიდან მომხმარებლამდე გაზრდილია 100 პროცენტით.

ამის გამო საგარეჯოს სას. სამ. საკ. ამხანაგობა შუამდგომლობს საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა უკანასკნელმა გადასინჯოს საკომისიო განაკვეთი რძეზე.

მონადირეობა

ვინაიდან გარეულ ნადირს დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობაში (წარმოადგენს დამატებითი კვების, და საგარეო და საშინაო ვაჭრობისათვის საქონლის დამზადების წყაროს, ხოლო ზოგიერთ გარეულ ნადირს, რომელიც ანადგურებს მავნებლებს, მოაქვს სარგებლობა სასოფლო მეურნეობისათვის) და ვინაიდან, დაუცველობის გამო, მონადირეობას მოელის სრული განადგურება, ა.-კ. საგეგმო კომისიამ ა.-კ. სახკომსაბჭოსწინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს დაევალოს ღონისძიების მიღება სამონადირეო მეურნეობის დასაცავად.

ა.-კ. საგეგმო კომისია საჭიროდ სცნობს, რომ რესპუბლიკებმა დაამუშაონ ღონისძიებები სანადირო ობიექტების აღსარიცხავად, გამოარკვიონ მათი სამეურნეო მნიშვნელობა, დაამუშაონ კანონები ნადირობის შესახებ, გამოიმუშაონ ღონისძიებები ძვირფასი ნადირის ფაქტიური დაცვისა და ნადირობის აკრძალი მიდამოების და ნადირების გასაშენებელი ადგილების მოწყობისათვის, დაამუშაონ აგრეთვე საკითხები იმ მტაცებელთან ბრძოლის რაციონალიზაციის შესახებ, რომელნიც ზარალს აყენებენ სანადირო მეურნეობას.

კალოშები

წვიმიანი დარების დადგომის გამო გაძლიერდა მოთხოვნილება კალოშებზე. მიმდინარე სეზონისათვის თბილისი, ისე როგორც ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებიც უზრუნველყოფილი არიან კალოშების საკმაო რაოდენობით. „რეზინოტრესტის“ თბილისის განყოფილებას 1927—28 წლის სეზონისათვის მომარაგებული აქვს 440 ათასი წყვილი კალოში. „რეზინოტრესტთან დადებულ გენერალურ ხელშეკრულების თანახმად სხვადასხვა რაიონების მისაწოდებლად კოოპერატიულ ორგანიზაციების სახელზე გამოწერილია 269.000 წყვილი კალოში. დანარჩენი—171 ათასი წყვილი განაწილებულია პერიფერიებს შორის შემდეგნაირად—საქართველოს ქალაქებისათვის—308 ათასი წყვილი, აფხაზეთისათვის—40 ათასი, აჭარისტანისათვის—28.000; სამხრეთ ოსეთისათვის—2000 წყვილი, სომხეთისათვის—57.000 წყვილი და ნახჩევანისათვის—5000 წყვილი. ამგვარად კალოშების კრიზისი სრულიად მოსალოდნელი არ არის.

ხელოვნება

აკადემიური დრამა

„ზაგმუკ“

გლებოვის პიესა 4 მოქ. დადგმა ა. ახმეტელის

მძიმე პიესაა და, მიუხედავად მისი რევოლიუციონური სიუჟეტისა, მოსაწყენი. სცენაზე გადმოტანილია ორი ათასი წლის წინანდელი ამბები ბაბილიონის ცხოვრებიდან.

ერთ-ერთ სიკვდილ მისჯილს ეძლევა უფლება, სამხედრო დღესასწაულის „ზაგმუკი“-ს წესით, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ხუთი დღის განმავლობაში გახდეს განუსაზღვრელი მფლობელი ქალაქის. ბაბილონის მონები სარგებლობენ ამ შემთხვევით და „ზაგმუკ“-ს აგრძელებენ რამოდენიმე თვეს. დაამხობენ ხელისუფლებას და დაამყარებენ ახალ სამეფოს კომუნისტურ საფუძველზე. მაგრამ მათი ქალაქი ლარეკი, ერთია მთელს ქვეყანაზე და მთელი ქვეყანა მისი წინააღმდეგია. ძლიერმა ასურეთის მხედრობამ ცეცხლითა და მახვილით ჩააქრო ამბოხება. მეამბოხეები იხოცებიან იმ რწმენით, რომ ათასი წლების შემდეგ მაინც განხორციელდება მათი ოცნება მუდმივ „ზაგმუკის“ შესახებ.

პიესა იმითაა საყურადღებო, რომ ისტორიულ სიუჟეტში ვითარდება კლასთა ბრძოლა და ძალიან მოგვაგონებს ჩვენი დროის გმირულ დღეებს. პიესის მარცხიც აქედან იწყება, რადგან ორი ათასი წლის მანძილს თავისი გააქვს და სცენა მაყურებელს ვერ იტაცებს. ათეული მონის სცენაზე გამოყვანა და მათდამი მოწოდების სიტყვები ძალზე ფერწასულად მოისმის ჩვენს დღევანდელ ქუჩასთან შედარებით, სადაც თითქმის ყოველ კვირას ვხედავთ ულეველ მასების ფოლადისებურ რიგებს, წითელი დროშებით და ამოძახილით „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“.

ამის გარეშე, პიესისადმი ინტერესს იწვევს დადგმა, მაგრამ მხატვრული დადგმის ისტორიზმი მოითხოვს ყოველ დეტალის ზედმიწევნით დამუშავებას. ამის გარეშე თუნდაც ოდნავი ილიუსტრაცია ბაბილიონის დიდი კულტურის—შეუძლებელია.

თეატრი თითქმის ცარიელი იყო.

ხ. გ.

სახელმწიფო ოპერა

„დუბროვსკი“

ნაპრავნიკის ოპერა „დუბროვსკის“ მუსიკა მეტად მარტივია, მაგრამ ამასთანავე ძლიერ მელოდიურია; აღნიშნული ოპერაც სწორედ ამიტომ სარგებლობს პოპულიარობით. ოპერის სიუჟეტი აგებულია პუშკინის იმავე სახელწოდების მოთხრობაზე.

ოპერის მთავარი გმირის — **მაშა ტროეკუროვის** პარტია დაწერილია უმთავრესად ლირიულ სოპრანოსათვის, დრამატიული მომენტები ამ პარტიაში იშვიათია, ამიტომ ეს პარტიაც არ ეგუება მსახიობ ქალის **სლივინსკაიას** დიდ ხმას და ძლიერ ტემპერამენტს. ამით აიხსნება, რომ უფერულად იქნა ჩატარებული არიეტა ტყეში და ვოკალიზმები. ზევრად სჯობდა სცენა მამასთან, სადაც მაშა პროტესტს უცხადებს მას ძალით გათხოვების წინააღმდეგ. კარგი იყო უკანასკნელი სცენა დუბროვსკისთან.

მოხუც დუბროვსკის როლს ასრულებს **მესხიევი,** მიუხედავათ იმისა, რომ ეს პარტია ეპიზოდურია, მესხიევის შესრულებაში ის ქმნის უდიდეს შთაბეჭდილებას. მსახიობი თავისი პარტიას თავიდან ბოლომდე რეალურ ტონებში ასრულებს.

ნერვიულად ასრულებს ვლადიმერ დუბროვსკის როლს **კულაგინი.** მეტად უფერულია ის 1 ნაწილში. მეორე ნაწილში მაინც მრავალი ნაკლია. კარგია კულაგინი სცენაში ტყეში და სცენაში ფრანგ დეფორჟთან. ყველას-კი სჯობდა უკანასკნელი სცენა მაშასთან და სიკვდილი.

მემამულე ტროეკუროვის ტიპიურ სახეს იძლევა **ორლოვი.** მუსიკალურად მღეროდა ეგოროვნას პარტიას **ხუმაროვას** ქალი, მაგრამ ვუნდთან მონოლოგის დროს საჭიროა მეტი ხმიერება. მისაღები იყო მისი გარეგნობა. **გაეც** კი კარგად ანსახიერებდა თავად ვერეისკის, მაგრამ კანცონეტა „В полдень знойный“-ს შესრულებაში საჭიროა მეტი მგრძნობიერება. კარგად მღეროდა გუნდი მეორე ნაწილში, პირველ ნაწილში-კი მოისუსტებდა. ორკესტრმა **მელიქ - ფაშაევის** ხელმძღვანელობით შექმნა მრავალი წარმტაცი მუსიკალური სურათი. ბალეტი ძლიერ მწირე რიცხოვანია, რაც აფუჭებს შთაბეჭდილებას. კარგად ცეკვავდენ სოლისტები **დმიტრიევი** და **ბაუერი.**

ჰ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

— **პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში** დღეს და ხვალ ადგილობრივი დრამატიული წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „იორიალე ჩინეთო“.

— **ხელოვნების სასახლეში** კვირას 20 ნოემბერს, ხელოვნების სასახლეში გაიმართება ოქტომბრის ათი წლის თავის აღსანიშნავი საზეიმო საღამო—მწერლების, მომღერლების, მუსიკოსების და არტისტების მონაწილეობით.

შესვლა მოწვევით.

— **გარმონისტების შეჯიბრი.** კვირას მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართება კავშირის წევრ გარმონისტების შეჯიბრი.

— **სათეატრო მუზეუმის** საზეიმო გახსნა მოხდება ამ თვის ბოლო რიცხვებში.

— **საღამო - კონცერტი.** მუშათა ახალ კლუბში დღეს გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი.

— **„ვაი ჭკუისაგან“.** წითელარმიელთა კლუბში დღეს მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ვაი ჭკუისაგან“.

— **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „აიდა“.

— **ეგონ პეტრის** პირველი კონცერტი გაიმართება ხვალ კონსერვატორიის დარბაზში.

— **კონფერენცია.** დეკემბრის პირველ რიცხვებში თბილისში შედგება ფოტო-კინო მუშათა კონფერენცია.

— **ქართველ მომღერალთა გუნდები მოსკოვში.** დღეს მოსკოვში საკავშირო ეტნოგრაფიულ საღამოზე მონაწილეობის მისაღებათ მიემგზავრება ქართველ მომღერალთა გუნდები და მოცეკვავენი.

— **„ამერიკელი ძია“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია“.

დღეს კინოებში

— აპოლოში—„იბრაგიმ და გოდერძი“.
— არფასტოში—„იბრაგიმ და გოდერძი“.
— სოლეიში—„იბრაგიმ და გოდერძი“.
— მინიონში—„იბრაგიმ და გოდერძი“.
— პალასში — „დეკაბრისტები“.
—დარბაზში—„გამცემი“.

სურსათ-სანოვაგე

ხორცი

ხორცის მიმწოდებელი თბილისის ბაზრისათვის არის „მიასოტორგის“ ამიერ-კავკასიის განყოფილება, რომლის ცნობებით, მას თბილისისათვის აქვს მუდმივ მარაგი, რომელიც 3000 მსხვილფეხა საკლავ საქონელს შეიცავს. აქედან 2000 სული მუდმივად იმყოფება ნავთლუღის სასაკლაოზე. ხოლო 1000 სული კი ჩრდილოეთ კავკასიაში. გარდა ამისა „მიასოტორგს“ დადებული აქვს ხელშეკრულება ჩრდილოეთ კავკასიის სას. სამ. კავშირთან, რომელიც მოვალეა მიაწოდოს „მიასოტორგ“ ამიერ-კავკასიისათვის საჭირო საკლავ საქონლის სრული რაოდენობა. ამგვარად მიმდინარე წელს არავითარი დაბრკოლება ხორცის მიწოდების საქმეში მოსალოდნელი არ არის.

ბოსტნეულობა

მიმდინარე წლისათვის თბილისის ბაზრის ბოსტნეულ მწვანეულობით უზრუნველყოფა იკისრეს კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა, რომელთა მიერ დამზადებული იქნება: კარტოფილი—200 ათასი ფუთი, კომბოსტო—70 ათასი ფუთი, ხახვი—20 ათასი ფუთი.

ამიერ-კავკასიის კოოპერატიულმა კავშირმა ხელშეკრულების ძალით ვალდებულია მიაწოდოს თბილისის მუშკოოპს 100 ათასი ფუთი კარტოფილი და 165 ფუთი დამჟავებული კიტრი, სოფლის კავშირისაგან—მუშკოოპი მიიღებს—15 ათასს ფუთ კომბოსტოს და 6 ათასს ფუთს ხახვს. ცეკავშირი ა. კ. კოოპერატივთა კავშირისათვის ამზადებს 150 ათასს ფუთს კარტოფილს. გარდა ამისა ცეკავშირისა და სოფლის კავშირისაგან დამზადებული იქნება 50 ათასი ფუთი ლობიო.

რკინისგზეგზე

მატარებლის გაწყვეტა

18 ნოემბერს კიურაკ-ჩაისა და მის ახლო მდებარე ბაქანის შუა გაწყდა საქონლის მატ. № 203 შემადგენლობა.

მატარებლის მოწყვეტილი უკანა ნაწილი დაეჯახა წინას. ამის გამო სრულიად დაიმსხვრა ორი დატვირთული ვაგონი და ლიანდაგიდან გადავარდა სამი ცისტერნა, მათგან ერთი დატვირთული იყო ბამბის ზეთით.

ხაზი არ დაზიანებულა. ადამიანთა მარცხს ადგილი არ ჰქონია.

შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი, რომელმაც ხაზი გაწმინდა.

დაჯახება

18 ნოემბერს, სად. ბალაჯარის დეპოდან გამომავალი ორთქლმავალი დაეჯახა მეორე ორთქლმავალს. ორთავე ორთქლმავალი ლიანდაგიდან გადავარდა. ხაზი არ დაზიანებულა. ორთქლმავლები ამოიღეს.

სახანძრო ტეხნიკუმი

თბილისში მიღებული ცნობებით, მოსკოვში ამჟამად მუშავდება საკითხი მთელს საბჭოთა კავშირში სახანძრო-ტეხნიკურ სასწავლებელთა ქსელის შექმნის შესახებ.

ამის გამო ყველა რკინის გზებს და მათ შორისა მ.- კავკასიისაც მიცემული აქვთ წინადადება, აცნობონ გზათა კომისარიატს თავის საჭიროებები ხანძრის საქმის სპეციალისტების მხრივ.

ტეხნიკუმების შესანახ ხარჯებს სხვა დაინტერესებულ ორგანოთა შორის თავის თავზე იღებს გზათა კომისარიატიც.

მეცნიერება და ტექნიკა

მექანიკური ადამიანები

ის, რაც რამდენიმე წლის წინად უტოპიად მიაჩნდათ, ახლა სინამდვილედ იქცა. განხორციელდა მრავალ ათეულ წლების ოცნება. ადამიანმა გამოიგონა მექანიკური მოსამსახურე, დამზადებული ფოლადიდან, მავთულებიდან. რომელიც ემორჩილება ადამიანის ხმას და ასრულებს მის ბრძანებას.

ყველაფერ ამას ფანტასტიკის ელფერი აკრავს და ზოგს შეიძლება ზღაპრადაც მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტები—ჯიუტი რამ არის.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ახალგაზრდა ამერიკელმა ინჟინერმა ვენსლეიმ, საზოგადოება ვესტინჰაუზის თანამშრომელმა, თავის ლაბორატორიაში მოახდინა მის მიერ გამოგონებულ მექანიკურ ადამიანის საჯარო დემონსტრაცია, რომელსაც დაესწრენ ამერიკის მთელი რიგი გამოჩენილი მეცნიერები.

ინჟ. ვენსლეის ბრძანებით, მის მიერ გამოგონებულმა მოწყობილობამ—„ტელევოქსმა“ აანთო რამდენიმე ელექტრონის ლამპა. შემდეგ შეასრულა შემდეგი დავალებები: აამუშავა ელექტრონის მარაო, [illegible]-ექტორით გაანათა ოთახი, აანთო სასიგნალო ლამპა და აამუშავა ელექტრონის ცოცხი.

გამომგონებელი ამტკიცებს, რომ ტელევოქსი ასეთი სისწორით ასრულებს ტელეფონით გადაცემულ ბრძანებას. რადგან მექანიკური ადამიანი მეტად მგრძნობიარეა ხმის ყოველგვარი ცვლილებების მიმართ და ემორჩილება მხოლოდ იმ სიტყვებს, რომლებიც განსაზღვრული ტონით არის თქმული, ხმა გადაეცემა მას სპეციალური მოწყობილობის საშუალებით.

ამჟამად სამი მექანიკური კაცი „თავისი შრომით პოულობს ლუკმა პურს“ სამხედრო სამინისტროს სამსახურში.

ისინი თვალყურს ადევნებენ წყალსაცავს, რომელიც წყალს აწვდის ვაშინგტონის წყალსადენს (უკანასკნელი სამხედრო სამინისტროს კონტროლის ქვეშ იმყოფება).

ეს მომთმენი და უტყუვი ადამიანები, მექანიკური მოწყობილობის საშუალებით იძლევიან ცნობებს წყლის რაოდენობის შესახებ წყალსაცავში, წნევის გადიდებისა და შემცირების შესახებ და სხ. მანამდი, სანამ მექანიკურ ადამიანებს „დაიქირავებდენ“, ამ მოვალეობას ასრულებდენ სპეციალურად ამ მიზნით დაქირავებული დარაჯები.

ვენსლეის ლაბორატორიაში ჩატარებულ ცდებიდან ყველაზე მეტი განცვიფრება გამოიწვია შემდეგმა ცდამ: ვენსლეიმ გასცა ბრძანება: „სეზამო, გაიღე“ და გაიღო დახურული კარები.

გამომგონებლის სიტყვით, დამზადება მექანიკური ადამიანის, რომელიც კარებს აღებს, ძვირი ჯდება და ამიტომ მისი გამოყენება არაა მიზანშეწონილი. დამზადება მექანიკურ მოსამსახურეების, რომლებიც ასრულებენ სხვა ფუნქციებს, გაცილებით იაფი ჯდება და ვესტინჰაუზის საზოგადოებას განზრახვა აქვს დიდი რაოდენობით გამოუშვას ასეთები ბაზარზე.

ალიუმინის მეტოქე

ალიუმინის გამოუჩნდა ახალი მეტოქე—უფრო მსუბუქი ლითონი-**ბერილიუმი.** უკანასკნელი წლების განმავლობაში გერმანელი ქიმიკოსები, მთელ რიგ მსხვილი ფირმების დახმარებით, ფართო ცდებს აწარმოებენ ბერილიუმის მიღების წესების და გამოყენების შესასწავლად. ეს ლითონი ჯერ კიდევ 1828 წ. აღმოაჩინა ცნობილმა ველერმა, მას შემდეგ, რაც მან აღმოაჩინა ალიუმინი.

წმინდა ბერილიუმი—ერთი მესამედით მსუბუქია ალიუმინზე. სიმაგრე აღემატება შუშისას, დნება—1.285 გრადუსზე.

იოდი და ძროხების წველა

ბერლინის ბიო-ქიმიური ლაბორატორიის ცნობით, გამორკვეულია, რომ ყოველდღიურათ რამდენიმე მილიგრამ იოდის ჩარევა ძროხის საჭმელში, ადიდებს ძროხის წველას. იოდი ძროხაზე არავითარ ცუდ გავლენას არ ახდენს, არც რძეს აფუჭებს. მცირე რაოდენობით კლებულობს მხოლოდ ცხიმის რაოდენობა რძეში.

ფეხბურთი

კალენდარული შეჯიბრებები

გრძელდება ქალაქის პირველობის გათამაშება ფეხბურთში.

კვირას, 20 ნოემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების სამი შეჯიბრი.

დილის 11 საათზე თამაშობენ „ავტოკლუბი“ და „შტურმი“, მსაჯი **მ. ფაჩულია.**

დღის 1 საათზე: „დინამო - პირველი“—„საბჭოთა მუშაკები“, მსაჯი **ა. იოსავა.**

ნაშუადღევის 3 საათზე: „არსრაიონი“—„დინამო - მეორე“, მსაჯი **კ. კრავჩენკო.**

სტადიონზე წესრიგის დასაცავად გამოწვეულია საქ. სატყეო მრეწველობის გუნდი.

ა.-კ. პირველობის გათამაშება

25 ნოემბერს იწყება ა.-კ. პირველობის გათამაშება ფეხბურთში.

გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ის გუნდები, რომლებმაც პირველობა აიღეს რესპუბლიკანურ ცილობაში.

საქართველოდან გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ბათომის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“.

სულ ჩატარებული იქნება სამი შეჯიბრი. ფეხბურთთან ერთად შეჯიბრები ამიერ-კავკასიის პირველობაზე ჩატარებული იქნება მძლეოსნობაში. შეჯიბრები ფეხბურთში გაიმართება „დინამო“-ს სტადიონზე. ცილობა მძლეოსნობაში კი ლენინის სახელობის სტადიონზე.

სტადიონის რემონტი.

ახლო ხანში დამთავრდება ლენინის სახელობის სტადიონის რემონტი. ამ მოედანის ნაკლი მდგომარეობდა იმაში, რომ სტადიონზე არ იყო დასაჯდომი ადგილები. ეხლა მაყურებელი საზოგადოებისათვის მოწყობილია ამფითეატრი. სათამაშო მოედანი შემოკავებულია და სხვა. ხვალიდან სტადიონზე იწყება კალენდარული შეჯიბრებები.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 19 ნოემბერი

დღეს, 19 ნოემბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

გაზ. „რემედასი“—ქართულ ენაზე, ინდუსტრიალიზაციის სესხი—სომხურ ენაზე, გლეხთა გაზეთი „ახალი სოფელი“—ქართულ ენაზე, გლეხთა გაზეთი „ენეკენდი“—თურქულ ენაზე, ინფორმაცია ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ—რუსულ ენაზე, გაზეთი „პროლეტარი“—[illegible] ენაზე, მუსიკის თეორიული ახსნა, ოპერის ტრანსლიაცია, ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

წერილი რედ. მიმართ

პატივცემულო ამხ. რედაქტორო

გაზ. „კომუნისტი“-ს 16 ნოემბრის მე-259 №-ში მოთავსებულია წერილი ამხ. თალაკვაძისა, რომელსაც, რასაკვირველია, არ შეეძლო „ქათინაური“ არ მოეძღვნა ჩემთვის.

სრულიად ზედმეტად და უსარგებლოდ მიმაჩნია უპასუხო გაკოტრებულ უკლონისტურ ფრაქციის ლიტერატურულ წარმომადგენელს, რომლის პერმანენტული იდეური აბნეულობა მუდამ იყო მაჩვენებელი მისი (თალაკვაძის) აზროვნების სიღარიბისა.

საჭიროდ მიმაჩნია არ ვუპასუხო, ვინაიდან სწორედ ასეთი ქათინაური მომიძღვნა **მენშევიკურმა „ბრძოლამ“** თავის მორიგ ნომერში.

ეს მსგავსება შემთხვევითი არაა.

კომუნისტური სალამით **რუბენი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

კვირას, 20 ნოემბერს, დილის 10 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) **თბილისის კომიტეტის მეორე პლენუმი.**

დღის წესრიგშია: მოხსენება ქალაქის სამომხმარებლო კოოპერაციის პერსპექტივებისა და ამოცანების შესახებ.

თბილისის კომიტეტის ყველა წევრ-კანდიდატების და სადუქნო კომისიების რაიონული ბიუროს თავმჯდომარე კომუნისტების დასწრება სავალდებულოა.

შაბათს, 19 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე საქ. კ. პ. (ბ) **თბილისის კომიტეტი** აგიტპროპ მუშაკის ცენტრალურ კლუბის შენობაშიშესდგება **პარტქსელის მე-2-რე საფეხურის პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების მეთოდ-თათბირი.**

იქვე შესდგება სახ. ახ. ლკკ. პირველ და მეორე საფეხურის პარტქსელის სკოლათა ყველა ხელმძღვანელების მეთოდ-თათბირი.

აღნიშნულ სკოლათა ყველა ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა.

საქ. ახ. ლკკ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი დღეს, საღამოს 5 საათისათვის სახ. უნივერს. უჯრედთან იწვევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს რაიკომის სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპ. 21).

კ. პეტრიაშვილი, პ. კაგავა, ს. ფანცხავა, კ. ბობოხიძე, სვანიძე, ქალავა, ს.ჩანია, ო. სვანიძე, მ. კირველი, კ. მუშკუდიანი, აჯანიშვილი, სუხაშვილი, პეტრიაშვილი, მ. ბარდაველიძე.

დღეს, 19 ნოემბერს, დღის 10 საათზე, შესდგება **სახელ. უნივერს. არსებულ ალკკ უჯრედთა ბიურო - კოლექტივის სხდომა.** წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულო დაუგვიანებლად. უნდა გამოცხადდენ ის ამხანაგებიც, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები. გარდა ამისა უნდა გამოცხადდენ: 1) რუხაძე ივანე, 2) მელუა, 3) ჯაფარიძე, 4) ცინცაძე გრიგოლ, 5) სვანიძე რაჟდენ, 6) ლეჟავა გიორგი, 7) ცირეკიძე, 8) ფირცხალაიშვილი, 9) ბეშკენაძე და 10) დაქტიონოვი.

თბ. სახ. უნ. პედაგოგ. ფაკულტეტის მათემატიკური დარგის მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით [illegible] ამავე დარგის მეოთხე კურსის სტუდენტის

შალვა იროდისძე კუხიანიძის

გარდაცვალების გამო. რომლის დაკრძალვა მოხდება 20 ნოემბერს ქალ. ქუთაისში. გამოსვენება საკუთარ ბინიდან მესხიშვილის ქ № 22. 528

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, ღრმა მწუხარებით აუწყებს თავის წევრებს და საზოგადოებას, რომ ა. წ. 15 ნოემბერს, მოულოდნელათ გარდაიცვალა წრის წევრი და საყვარელი ამხანაგი

ეკატერინე (კატუშა) ქინქლაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება 20 ნოემბერს, ღ. სუფსაში. 513

თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის 1927 წელს კურს დამთავრებული საბუნების-მეტყველო დარგის სტუდენტობა მწუხარებით აუწყებს მეგობრებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა საყვარელი, სიცოცხლით სავსე ამხანაგი

ეკატერინე (კატუშა) გიორგის ასული ქინქლაძე

დაკრძალვა ღ. სუფსაში, კვირას, 20 ნოემბერს. 524

ს. ს. ს. რ. ცენტრალური საარქივო სამმართველო და თანამშრომელნი აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაცვალებულის ცენტრარქივის მეცნიერ-თანამშრომლის

სვიმონ სპირიდონის ძის ესაძის

სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება შაბათს ნოემბრის 19-ს, საღამოს 6 საათზე მთავარ საავადმყოფოს შენობაში (ყოფ. მიხეილის სახ. საავდ. კამოს ქ.) გამოსვენება ნოემბრის 20-ს, დილის 11 საათზე ხსენებული საავადმყოფოდან დიდუბის სასაფლაოზე. 520—2-1

კვირას, 20 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, თბილისში ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი

გენო ისიდორეს ასულის ვაჩეიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად, რასაც ღრმად მწუხარე მშობლები ისიდორე და მატრონა ვაჩეიშვილები, ძმები ნესტორ და ლეონიდე, რძლები ეკატერინე და მარიამ, დები მარიამ ვაჩეიშვილი, თამარა ჭუმბურიძისა და ელენე ბეზარაშვილისა, სიძეები ვლადიმერ ჭუმბურიძე და ივანე ბეზარაშვილი და აღმზრდელი ელისაბედ დარჩიაშვილისა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს. 522

შვილები გივი და არჩილ მურვანიშვილები, ძმები რომან და გიორგი ჩიკოიძეები ცოლშვილით, მაზლები მიხეილ და ვანო მურვანიშვილები დედით და ოჯახით, მული დარია ქებაძისა ოჯახით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ დაუვიწყარ

გაიანე ალექსანდრეს ასული მურვანიშვილის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო, გადახდილ იქნება პანაშვიდი კვირას, 20 ნოემბერს, 12 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე.

514

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე—ანა, შვილები - აკაკი, ევტიხი, ვალიკო, გრიშა, ფილიმონი და ნადეჟდა, რძალი—დომნა, შვილის შვილები—თამარა და ვახტანგი აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

პავლე ბეკოს ძე ჭანტურია,

რომლის დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 20 ნოემბერს ქალაქ ფოთში ნახუტურის სასაფლაოზე. (დეპ.)

აპოლლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

დღეს და ყოველდღე საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული ფილმი

„იბრაგიმ და გოდერძი“

8 ნაწილად. დადგმა რეჟისორ შაქრო ბერიშვილის, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი, მთავარ როლებში: ლ. ყიფიანი, ი. ნაზარაშვილი, კახიძე, ძნელაძე, გვარაძე, კავსაძე, სვანი, ლვამიჩავა, კარუხნიშვილი.
პირველი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.

უკანასკნელად თბილისში სეზონის საუკეთესო სურათი
„გამცემი“
დადგმა ა. როომის.

0—12 ნ. 1388

ანონსი: მალე გრანდიოზული სურათი „პოეტი და მეფე“

ცირკი
„კოლოს“
ტელ. 16—67

შაბათს 19-ტს და კვირას 20 ნოემბერს
საცირკო ხელოვნების ყოველგვარი სანახაობა 3 განყოფ. 14 ნომრ
დამსახ. მსახიობ. ძმ. ტანტები ახალი რეპერტუარში მხოლოდ 2 დღეს განახლებ. დადგმა
„შეთქმულება დედოფლის შეთქმულების წინაალმდეგ“
ლეო ტენტის სკეტჩი, მონაწილეობენ ყველა პაროდიტები
კვირას, 20 ნოემბ.,—სანახაობა ბავშვებისათვის დასაწყ. დღის 2 საათ.

ნ. 239 1—1
დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნებული გროდზინსკი. ადმინისტრატ. ტადე.

21 ნოემბერს შუადღის 12 საათზე

რიონჰესის (ქუთაისი)

მთავარ კანტორაში დანიშნულია წერილობითი

საჯარო ვაჭრობა

დროებითი ძალოვანი სადგურის შენობის აგებაზე 770 მეტრის სივრცით

ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, აღნიშნულ ვადისთვის უნდა შემოიტანოს განცხადება დაბეჭდილ კონვერტში წარწერით: „დროებით ძალოვან სადგურის შენობის აგებაზე დანიშნულ საჯარო ვაჭრობისათვის“ ერთეულ ფასების აღნიშვნით რიონჰესის მთავარ კანტორიდან მიღებულ სპეციალურ ბლანკებზე.

განცხადებას დართული უნდა ექნეს ქვითარი რიონჰესის სალაროში საჯარო ვაჭრობის უზრუნველსაყოფათ ბეს შეტანის შესახებ 500 მანეთის რაოდენობით.

ორგანიზაციები, რომელნიც განთავისუფლებული არიან ბეს წინასწარ შეტანისაგან, განცხადებასთან ერთად არდგენენ სათანადო მოწმობებს.

ცნობების მიღება და კონდიციების გაცნობა მსურველთ შეუძლიათ რიონჰესის სამუშაოთა მთავარი მწარმოებლის კანტორის ტეხნიკურ განყოფილებაში, რომელიც მოთავსებულია ქუთაისში, კომუნარების მოედნის და აკ. წერეთლის ქ. კუთხეში, კოკოჩევის სახლში, ნაშუადღევის 12-დან 2 საათამდე.

2—1 ნ. 238
სამუშაოთა მთავარი მწარმოებელი მიქელაძე

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული სურათი

„იბრაგიმ და გოდერძი“
რეჟ. შაქრო ბერიშვილი

დადგმა გრძელდება კინო-თეატრებში
აპოლო, არფასტო, სოლეი და მინიონი
ნ. 241

საქ. შინაგან საქმეთა სახ. კომისარ. ადმინისტრატიული

სამმართველო

აცხადებს, რომ „ქალ. თბილისის მსუბუქ მეეტლეთა გაერთიანებული მშრომელი საზოგადოება“, რომელიც დამტკიცებული იყო შ. ს. ს. კ. მიერ 1924 წლ. იანვრის 31 მოწ. № 213.

ლიკვიდაცია ქმნილია

ზემო დასახელებულ საზოგადოების ნაცვლად ამავე კომისარიატთან არსებულ კომისიის ა | წ. 24 თებერვლის სხდომის დადგენილებით (ოქმი № 1) დაარსებულია „ქ. თბილისის მსუბუქ და მტვირთ მზიდველთა გაერთიანებული მშრომელი საზოგადოება“, რომელიც ჩამოყალიბებულია **პირადი შრომის პრინციპეზე.**

საქ. შ.ს.ს.კ. ადმინ. სამართველოს უფროსი ბ. ზერაძე
527 საქ. შ.ს.ს.კ. საად. ნაწ. გამგე დ. ზიფერტი

ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის
ინსტიტუტში
ორჯონიკიძის ქუჩა (ყოფ. ანდრეევის) № 30. ტელეფონი 10—90
მიიღება ფასიანი ავადმყოფები
წყლით, ელექტრონით, სინათლით, რადიუმით, რენტგენით, ფინზენით და სხ. სამკურნალო კაბინეტებში. ავადმყოფების გასინჯვა სპეციალისტების მიერ, განსაკუთრებულ საათებში დღის 1-დან 3-მდე.
ყველა ცნობები მიიღება ინსტიტუტის რეგისტრატურაში
ინსტიტუტის დირექტორი მ. ზანდუკელი
25—1 ქვ. 288

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ კვირას, 20 ნოებერს, დღის 12 საათზე სასახლის ქ. № 3, ფინსახკომის, საფინგანის და დამზღვევი კასისადმი დავალიანების ასანაზღაურებლად დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება როიალი, გარდერობები, კამოდები, ხალიჩები, უწვავი სალარო და სხვა საოჯახო ნივთები. ნ. 236

Т-ВО А. и Л. ЗЛАТОГОРСКИЕ

извещает, что доверенность, выданная

ГРИГОРИЮ АРКАДЬЕВИЧУ ХОДОРОВУ

18 Июля 1927 г. по реестру № 2007 в 4-й Гос. Нот. Конторе, **АННУЛИРОВАНА** и Г. А. Ходоров доверенным Товарищества больше не состоит.

523 **Т-ВО А. и Л. Златогорские**

ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლ. არღუთინსკი

აცხადებს, რომ ა. წ. 22 ნოემბერს, დილის 11 საათზე, გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** ნიკოლოზ ისაის-ძე დერზიბაშევის სახლი, მდებარე ქალ. თბილისში ჭავჭავაძის ქუჩ. № 16, აშენებული ქვითკირით და შეფასებული გასასყიდათ ათი ათას (10000) მან., რა შეფასებიდანაც დაიწყობა ვაჭრობა. სახლი არის ორ სართულიანი და ეზოში ერთსართულიანი ფლიგელი სულ—10 ოთახი და 2 სამზარეულო.

ვინც ისურვებს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს ვაჭრობის დღეს, სამ. საპრ. კოდ. 311 მუხ. გათვალისწინებული ცნობები და საწინდარი 1000 მან.

ამავე დღეს ნაშუადღევის 2 საათზე ხსენებულ სახლშივე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით იმავე დერზიბაშევის ბინის მოწყობილობა, როგორც არის ბუფეტის შკაფი, სასადილო მაგიდა, სკამები, ხალიჩები და სხვ. შეფასებული სულ 435 მ. ნ. 240

ამბროლაურის და ჭრებალოს უბნების სახ. სასამართლოების აღმასრულებელი ბ. ავალიანი

ამით აცხადებს, რომ 3 დეკემბერს 1927 წ. სოფ. მოტყიერში რაჭის მაზრაში სილოვან ოქროპირის-ძე მიქიაშვილის ეზოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მის მოძრავ ქონებას, სახელდობრ ოც კასრ ღვინოს, შეფასებულს 120 მ. და 60 ღერ ნაძვის ხის ლამფას, შეფასებულს 72 მ., დასაკმაყოფილებლად იასონ სვიმონის-ძე მიქიაშვილის ვალისა. საფუძვლისა გამო აღმასრულებელი ფურცელი ამბროლაურის უბ. სახალხო სასამართლოისა 8 სექტ. 1927 წ. № 1946. ნ. 243

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტომატოლოგიურ
(კბილის სნეულებათა)
კლინიკაში
ავადმყოფების მიღება 1 ნოემბრიდან იწარმოებს
დილით 8—12 საათამდე
საღამ. 4— 6 საათამდე
საღამოობით რჩევა-დარიგება უფასოა, მკურნალობა დაკლებულ ფასებში
კლინიკასთან არსებობს რენტგენის კაბინეტი. მისამართი: პლეხანოვის გამზირი 126, ტელეფ. 25—34.

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი მეგრაბიანცი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ძლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ 2—5

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
ქალთა სნეულება და მეანობა. მიღება საღამოს 5—7 ს.-დე ყოველდღე (გარდა ხუთშაბათისა), ბელგიის ქ. № 5 მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. 25—

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი სნეულებანი.** სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7 ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს,** და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ** ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე

ექიმი
ვლ. ა. თოხაძე
გადავიდა ალექსანდროვის ქუჩიდან **ბესიკის** (ყოფ. დავიდოვის) ქ. № 20.
ღებულობს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—13

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8. საათ. პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1) 25—1

დავკარგე პარტბილეთი № 0853630, სამხედრო სამსახურის აღრიცხვის ბარათი № 418 გაცემული ფოთის სამხედრო მაგიდის მიერ და კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 1075 ხარიტონ ლოგუას სახელზე, ჩ. გ. ნ. 242

დავკარგე შრომის ბირჟის დაზღვევის წიგნაკი № 1610, რძის ქაღალდი № 5042, კოოპერატივის წიგნაკი № 15352, პეტრე კაზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 529

დავკარგე აღმშენებელთა კავშირის წიგნაკი № 14 | 8207, გაცემულ შავი ზღვის რკინის გზის საუბკომის მიერ გრიგოლ ჩილაჩავის სახელზე, ჩ. გ. ნ. 244

დავკარგე კომკავშირის წიგნაკი № 39551 ზუგდიდის სამკომიტეტის მიერ გაცემული შოთა გულუას სახელზე ჩ. გ. ნ. 244

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 83 ნიკოლოზ იოსების-ძე მაკალათიის სახელზე, ჩ. გ. 526

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი, გაცემული შორაპნის მაზრის სამხედრო კომისარიატისაგან ალექსანდრე ჩინჩალაძის სახელზე, ჩ. გ. 526

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი, გაცემული ლანჩხუთის სამხედრო მაგიდის მიერ შალვა ფირცხალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 516

დავკარგე განათლების მუშაკთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 720 კონსტანტინე ჯანაშიას სახელზე, ჩ. გ. 526

დავკარგე სამხედრო ნუსხა, გაცემული ბანძის რაი-სამხედრო მაგიდის მიერ ფ. № 4, დოროთე ბერას-ძე გვილავას სახელზე, ჩ. გ. 526

დავკარგე მიწა-წყლის პროფკავშირის წიგნაკი № 26629 ალექსანდრე პავლეს-ძე დანელიას სახელზე, ჩ. გ. 526

დავკარგე სენაკის მაზრის მიმღებ კომისიის მიერ გაცემული პირადი წიგნაკი ფ. № 6, ოლიფანტე საბას-ძე სილაგაძეს სახელზე, ჩ. გ 526

დავკარგე სამხედრო წიგნაკი ვალერიან ალექსის-ძე მხეიძეს სახელზე, ჩ. გ. 510

დავკარგე პირადობის მოწმობა იაკობ მოსეს-ძე მეჩითოვის სახელზე, № 523, ჩ. გ. 525

დავკარგე ვინაობის წიგნაკი, გაცემული თბილისის აღმასკომის ადმინისტრ. განყოფილ. მიერ № 2933 ნიკოლოზ გრიგოლის-ძე ვარდანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 521

დავკარგე პირადობის მოწმობა № 410 ოლღა ყარამანის ასული მოსეშვილის სახელზე, ჩ. გ. 519

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი, გაცემული სენაკის სამხედრო კომისარიატის მიერ № 61 | 56 ივანე ლევანის-ძე კაჭარავას სახელზე, ჩ. გ. 516

დავკარგე გასაწვევი წიგნაკი წვეამდელისა, მოცემული ბათომის სამხედრო მაგიდის მიერ № 223 და პოლიტიკურ სამართველოდან მოცემული მოწმობა იარაღის შენახვის № 2713 ვალერიან თომას-ძე მახარაძის სახელზე, ჩ. გ. 512

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 7498 გაცემული ლევან პავლეს-ძე არჩვაძეს სახელზე, ჩ. გ. 515

დავკარგე ერთი წყვილი ხარების მოწმობა, მოცემული ხოსირის თემ-აღმასკომიდან ნესტორ ლუკას-ძე კილასონიას სახელზე, ჩ. გ. 516

დავკარგე სახალხო კვების კავშირის წიგნაკი № 4806 ადამ ყაზახაშვილის სახელზე, ჩ. გ. 516

დავკარგე პარტბილეთი № 0862613 სანდრო გიორგის-ძე თურქიას სახელზე, ჩ. გ. 516

დავკარგე პირადობის მოწმობა, გაცემული ბორითის თემ-აღმასკომის მიერ ვალერიან ლუარსაბის-ძე გაჩეჩილაძეს [illegible] ჩ. გ 516

დავკარგე ცხენთ აღრიცხვის წიგნაკი № 190, გაცემული კაჰრეთის სამხედრო მაგიდიდან სონკა ჯავახიშვილის სახელზე, ჩ. გ. 516

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68